# არსენალი

1425
2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

№24 (145). 25 ნოემბერი – 8 დეკემბერი, 2011 წ. სა ტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



## რა ხდება ქართულ ჰაუპტვახტებში...

## ირანის რაკეტული ამბიციები

## შეუმდგარი ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორი

## სამგზავრო ლაინერების კატასტროფები საქართველოს თავზე

## დემოკრატიის სიმცირე და რუსეთის ფაქტორი: ძირითადი პრობლემები NATO-ში გასაწევრებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰუნების ბელადი ატილა 47




როგორ იქმნება მტრის ხატი 22



ვის არ აწყობს „იარაღის ბარონის“ ალაპარაკება... 10

რაკეტული ტანკები, თვითმავალი არტილერია და სხვა ტექნიკა 30





დენთის ევოლუცია 35

ხიშტ-დანა... პისტოლეტისთვის 54



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**პერსპექტივა**

7 დემოკრატიის სიმცირე და რუსეთის ფაქტორი: ძირითადი პრობლემები NATO-ში გასაწევრებლად

**პრობლემა**

9 რა ხდება ქართულ ჰაუპტვახტებში...

**სკანდალი**

10 ვის არ აწყობს „იარაღის ბარონის" ალაპარაკება...

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

13 სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

**რეგიონი**

16 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**საიდუმლო ფრონტი**

18 რუსეთის საგარეო დაზვერვა: მარცხი მარცხს მოსდევს

**აგვისტოს ომის ნამოძახილი**

22 ინფორმაციული ომი, ანუ როგორ იქმნება მტრის ხატი

**ტერორისტული ორგანიზაციები**

25 „ანსარ ალ-ისლამი" — სადამ ჰუსეინის იდეების ერთგული ქურთი ვაჰაბიტები

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 რაკეტული ტანკები, თვითმავალი არტილერია და სხვა ტექნიკა

**იარაღის ისტორიიდან**

35 დენთის ევოლუცია

**რაკეტული საფრთხე**

39 თეირანის რაკეტული ამბიციები

**მეორე მსოფლიო ომი**

43 კამიკაძე — „ღვთაებრივი ქარი"

**შემთხვევები**

45 სამგზავრო ლაინერების კატასტროფები ქართულ ცაში

**100 დიდი მხედართმთავარი**

47 ატილა

**სამხედრო ისტორიები**

49 შეუმდგარი ქართული ჯავშანტრანსპორტიორი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 ხიშტ-დანა... პისტოლეტისთვის


გარეკანზე: გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების Tornado

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის საზღვაო ძალების მდივანი, რომელიც საზღვაო ძალებსა და საზღვაო ქვეითთა ძალებს კურირებს. ამერიკელი სტუმარი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს შეხვდა. თუკი თავდაცვის მინისტრთან მისი შეხვედრა გასაგებია, შინაგან საქმეთა მინისტრთან მისი საუბარი საქართველოს სანაპირო დაცვას შეეხო (საზღვაო პოლიციის სანაპირო დაცვა შსს-ში შედის). დაგეგმილია ერთიანი სარადარო სისტემის ამუშავება საქართველოს სანაპიროს გასწვრივ, რომელიც კონტროლს გაუწევს საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და საჰაერო სივრცესაც.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი


ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73


რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
21.11.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო გუნდი სამხედრო ინსტრუქტორებმა ავარჯიშეს



უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ინგლისური საფეხბურთო გუნდის „ასტონ ვილას“ სამწვრთნელო შტაბმა. როგორც ჩანს, მწვრთნელებმა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების დონე არასახარბიელოდ მიიჩნიეს და გასაუმჯობესებლად ფიზმომზადების სპეციალისტს კი არა, სამხედრო ინსტრუქტორებს მიმართეს.

ეს უცნაური გადაწყვეტილება პირადად ბირმინგემელთა მთავარმა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა მიიღო. შედეგად, „ასტონ ვილას“ ფეხბურთელებს სამხედრო ნაწილიდან საგანგებოდ მოტანილი სავარჯიშო ბარიერების გადალახვა მკაცრი ბრიტანელი სამხედრო ინსტრუქტორების მეთვალყურეობით მოუხდათ. რაც მთავარია, ექსპერიმენტით კმაყოფილი დარჩნენ გუნდის მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთელებიც, რომლებმაც სამხედრო „ნორმატივები“ წარმატებით ჩააბარეს, ფეხბურთელთა ჯარისკაცური წესით გაწვრთნის ეფექტიანობა კი პრემიერლიგის მომავალ მატჩებში გამოჩნდება.



# ერთ საათში დედამიწის ნებისმიერ ადგილს დაბომბავენ...

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ახალი ჰიპებგერითი ბომბი AHW (Advanced Hypersonic Weapon) გამოსცადა, რომლის წყალობით ამერიკელ სამხედროებს დარტყმის განხორციელება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ერთი საათის განმავლობაში შეეძლებათ. გამოცდის ძირითადი მიზანი ბომბის მანევრულობის, მართვადობისა და მაღალი ტემპერატურისადმი გამძლეობის შემოწმება იყო. პენტაგონი გამოცდის დეტალებს არ ახმაურებს, ცნობილია მხოლოდ, რომ AHW ატმოსფეროს ზედა ფენაში, რაკეტმზიდმა გაიტანა, რომლის სტარტი ჰავაის კუნძულებიდან განხორციელდა. რაკეტასთან დაშორიშორების შემდეგ ბომბი, რომლის მოხსენიება მანევრირებად ქობინად ან ზებგერით აპარატად უდრო მართებული იქნებოდა, ჰიპერბგერითი სიჩქარით სამიზნისკენ გაემართა. პროექტ AHW-ზე მუშაობა, გაცილებით მასშტაბური პროგრამის — სწრაფი გლობალური დარტყმის ფარგლებში მიმდინარეობს. პროგრამის დაფინანსებამ 2011 წელს 239,9 მილიონი დოლარი შეადგინა, საიდანაც 69 მილიონი AHW-ის პროექტს მოხმარდა.



# ირანელები თავს ამერიკული F-18-ის კლონით იწონებენ



ირანმა სამამულო წარმოების რეაქტიული გამანადგურებელ Saegheh-ისგან შედგენილი 12-თვითმფრინავიანი ესკადრილიის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ გამოაცხადა.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისლამისტურმა რესპუბლიკამ გადაკეთებული ამერიკული გამანადგურებლები F-5-ები წარმოადგინა და ახალი თვითმფრინავის — Saegheh-ის შექმნის შესახებ განაცხადა. ირანელებმა ის ამერიკული F-18-ის ანალოგად კი მოიხსენიეს, თუმცა 60-იანი წლების ეპოქის F-5, თუნდაც შეცვლილი კუდითა და გაუმჯობესებული ელექტრონიკით მაინც დაბალი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით გამოირჩევა.

გამანადგურებელი Saegheh-ი ირანელთა მიერ F-5-ის განახლების პირველი მცდელობა არაა. 90-იან წლებში მათ F-5E-ს კლონი შექმნეს და მას Azarakhsh-ი უწოდეს.

# „მფრინავ ჯიპზე“ მუშაობის მეორე ფაზა დაიწყო



აშშ-ის სამხედრო უწყებამ უკვე დაამტკიცა ვერტიკალური აფრენის შესაძლებლობის მქონე სამხედრო ჯავშანმანქანების პროექტი და პროტოტიპთა დემონსტრაციის ვადაც დანიშნა. კორპორაცია DARPA-მ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად კომპანიების Lockheed Martin-ისა და AAI-ის კონსტრუქციები მიიჩნია და შედეგად პროგრამა Transformer-ის განხორციელება მეორე ფაზაში შევიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მფრინავ Humvee“-ის სადემონსტრაციო პროტოტიპები მალე მზად იქნება. DARPA წარმოდგენილ მოდელებს 2012 წელს განიხილავს და მათგან საუკეთესოს პროგრამის მესამე ფაზისთვის, რომელიც 2015 წლიდან დაიწყება, მწვანე შუქს მისცემს. საბოლოოდ, ამერიკელებს ოთხადგილიანი „ჯიპი“ ეყოლებათ, რომლის ჯავშანი ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღისთვის შეუვალი იქნება და უმოკლეს დროში (დაახლოებით წუთში) გარდაისახება საფრენ აპარატად. ამასთან, „ჰიბრიდი“ ჰაერში უპილოტო საფრენი აპარატის მსგავსად დისტანციურადაც „ინავარდებს“ და მისთვის პროფესიონალი პილოტი აუცილებელი არ იქნება. DARPA-ში ვარაუდობენ, რომ მფრინავი ჯავშანმანქანის მიახლოებითი ღირებულება მილიონ დოლარს მიაღწევს. ცნობისთვის, ჩვეულებრივი Humvee-ს ფასი 400 ათასი დოლარია, ხოლო მსუბუქი შვეულმფრენის კი – 4 მლნ დოლარი.

# ავღანელთა „სპორტული ინტერესით“ მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

სერჟანტ კელვინ გიბსს, რომელსაც ბრალად 2010 წლის იანვარში ყანდაარის პროვინციაში სამი მშვიდობიანი ავღანელის „სპორტული ინტერესით“ მკვლელობა ედებოდა, სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. 26 წლის ამერიკელს შეწყალების მოთხოვნა, სულ ცოტა, ათწლიანი პატიმრობის შემდეგ შეეძლება. ხუთი ნაფიცი მსაჯულისგან შემდგარმა კოლეგიამ სამხედრო ტრიბუნალზე გიბსი დამნაშავედ 15 პუნქტით, მათ შორის სამ განზრახ მკვლელობაში ცნო. ბრალდების მხარე სერჟანტისთვის, რომელმაც დანაშაული არ აღიარა, სამუდამო პატიმრობის მისჯას შეწყალების მოთხოვნის უფლების გარეშე ითხოვდა. გამოძიების თანახმად, სერჟანტი კელვინ გიბსი ხუთკაციან ჯარისკაცთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელიც ყანდაარის პროვინციაში მშვიდობიან ავღანელებს „გართობის“ მიზნით ხვრეტდა, ხოლო დახოცილთა სხეულის ნაწილებს კი „სამახსოვროდ“ ინახავდა.



# ავღანეთს „რწყილი-რობოტები“ შეესევიან





ამ ზამთარს ავღანეთში გამოჩნდება რობოტის ახალი ტიპი, რომელიც მაღალი ბარიერების დაძლევას შეძლებს. მომცრო ოთხბორბლიანი რობოტი Sand Flea (ინგ. ქვიშის რწყილი) კომპანიების Sandia National Laborator-ისა და Boston Dynamics-ის შექმნილია და დაზვერვისთვის არის განკუთვნილი. სხვა სამხედრო მანქანა-აპარატებისგან განსხვავებით, 4,5 კგ-იანი მასის Sand Flea-ს 10 მეტრ სიმაღლეზე 30 ნახტომის გაკეთება „ეხერხება“ და სწორედ ამიტომაც შეარქვეს „რწყილი“. ერთი სიტყვით, სპეციალურად შექმნილი უნიკალური სანავიგაციო სისტემის წყალობით რობოტს არა მხოლოდ დაბრკოლებების იოლად გადალახვა, არამედ მეორე სართულის ფანჯარაში შეხტომაც შეუძლია.

რობოტი-რწყილი კამერითაა აღჭურვილი და დისტანციურად იმართება, ხოლო ნახტომს სპეციალური „ფეხებით“ ასრულებს.

შემქმნელები იმედოვნებენ, რომ ორიგინალური რობოტი მებრძოლებს სრულიად ახალ შესაძლებლობებს მისცემს, რისი მიღწევაც აქამდე მხოლოდ ძვირად ღირებული და ხმაურიანი ლეტალური აპარატებით ხდებოდა. პოტენციურად, დაზვერვის ამ საშუალების აღჭურვა მსხვრევადი ყუმბარითაც შეიძლება, რაც საჭიროების შემთხვევაში რობოტს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის „კედლის იქით“ გასანადგურებლად ეფექტურ იარაღად აქცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველ კოსმოსურ ტურისტებს ორბიტაზე ერაყის ომის მონაწილე პილოტი გაიყვანს



კომპანია Virgin Galactic-მა, რომელიც უახლოეს მომავალში მსურველებს კოსმოსურ მოგზაურობას შესთავაზებს, პირველი კომერციული კოსმოპილოტის ვინაობა დაასახელა. სპეციალურად გამართულ კონკურსში 500 კანდიდატს შორის შეირჩა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი პილოტი კიტ კოლმერი. ის კომპანიის საფრენი აპარატების: თვითმფრინავმზიდის WhiteKnightTwo-ისა და სუბორბიტული ხომალდ SpaceShipTwo-ის მართვას უახლოეს ხანში შეუდგება. კიტ კოლმერის ბიოგრაფია აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში მიღებული ათწლიანი სტაჟითა და სხვადასხვა ექსპერიმენტული საფრენი აპარატებით ფრენის 12-წლიანი გამოცდილებითაა მდიდარი. მას ასამდე სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავით ხუთი ათასზე მეტი საათი აქვს ჰაერში გატარებული. პილოტი ორჯერ მონაწილეობდა ერაყის ომშიც.

# ფრანგმა სპეცრაზმელებმა შეცდომით პენსიონერის ბინა იერიშით ორჯერ აიღეს

მარსელის პოლიციას ბოლო დროს ძალიან არ უმართლებს. უფრო ზუსტად კი არ უმართლებს ამ ქალაქის მკვიდრ 85 წლის მოხუცს, ვინმე ფრანჩესკას, რომლის ბინაში სპეცრაზმელები ბოლო ერთ თვეში შეცდომით ორჯერ შეიჭრნენ. შეჭრაც არის და შეჭრაც. თურმე სპეცრაზმელებმა ბინა ჩვეულ სტილში, იერიშით აიღეს — შეამტვრიეს კარი, დაფეთებული მასპინძელი საწოლზე პირქვე დაამხეს, შემდეგ კი ოთახების ჩხრეკას არცთუ მოწიწებით მიჰყვეს ხელი და სხვადასხვა ნივთი და ინტერიერი გააჩანაგეს. პოლიციელები ვითარებაში გვიანღა გაერკვნენ, ბინა შეშლიათ და დამნაშავე, რომლის შეპყრობასაც ლამობდნენ, სინამდვილეში მეზობლად ცხოვრობდა. დაზარალებულ ქალბატონს მხოლოდ ბოდიშები აკმარეს, მისი გატეხილი კარის შეკეთებაზე კი პენსიონერის ქალიშვილმა იზრუნა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამაოდ. რამდენიმე დღის შემდეგ ფრანჩესკას ბინა სპეცრაზმელებმა მეორედაც „აიღეს“. ამჯერად სამართალდამცველები დამნაშავის ყოფნას ფრანჩესკას აივანზე ვარაუდობდნენ, თუმცა მეორედაც შეცდნენ. სპეცრაზმელებმა საბრალო პენსიონერს ამჯერადაც მხოლოდ სიტყვიერი ბოდიში აკმარეს, ხოლო ვინ აუნაზღაურებს მიყენებულ ზარალს, რომელიც 2.000 ევროდ შეფასდა, გაურკვეველია.




# ჩინელებმა დისტანციურად მართვადი ამერიკული იარაღის ანალოგიც შექმნეს




ჩინეთის თავდაცვითმა მრეწველობამ მაღალტექნოლოგიური არმიის კიდევ ერთი ელემენტი — დისტანციურად მართვადი იარაღის მოდული აითვისა. ჩინური მოდული კომპანია Kongsberg-ში შექმნილი სისტემა PROTECTOR-ის ანალოგია და 5,8 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევით არის აღჭურვილი. მისი გამოყენება ჯავშანმანქანის შეიარაღებისთვის პერიმეტრის დაცვისა და კონტრტერორისტული ოპერაციებისთვისაა განკუთვნილი.

ჩინელებმა იგივე მოდული უფრო მძლავრი შეიარაღებით — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევითა და ორი საზენიტო რაკეტითაც დაამზადეს.

მოდულის მართვის სისტემა ამერიკული CROWS-ს მსგავსია და მონიტორი და ჯოისტიკის პანელი აქვს. რამდენადაც გეიმერები არც ჩინურ არმიას აკლია, ოპერატორებმა ახალი იარაღი სწრაფად აითვისეს. აზიელთა ნაწარმს, განსხვავებით ამერიკული მოდულისგან, მწვანე დამაბრმავებელი ლაზერი არ ერთვის.

დისტანციურად მართვადი იარაღის მოდული თანამედროვე ომში დიდ როლს ასრულებს და შეიძლება ითქვას, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა, რომელმაც მრავალ ჯარისკაცს სიცოცხლე შეუნარჩუნა. არადა, თავდაპირველად ვეტერანი სამხედროები დისტანციურად სამართავი იარაღის მოუხერხებლობაზე წუხდნენ და მიზეზად გარემოს ცუდად აღქმას ასახელებდნენ. თუმცა ახალგაზრდა მეომრებმა ახალ „ვიდეოთამაშს“ ალღო სწრაფად აუღეს და ამჟამად მოდულს წარმატებითაც მოიხმარენ.



# დემოკრატიის სიმცირე და რუსეთის ფაქტორი: ძირითადი პრობლემები NATO-ში გასაწევრებლად

## ავღანეთში მთელი ქართული არმიაც რომ გავგზავნოთ, საქართველოს NATO-ში გაწევრებას ვერ დავაჩქარებთ

თბილისში NATO-საქართველოს კომისიის სხდომაზე ჩამოსულმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა გააწბილა ხელისუფლების ის იდეოლოგები, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რაც მეტ ქართველ სამხედროს გავგზავნით ავღანეთში ISAF-ის ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, მით მალე მიგვიღებს NATO თავის რიგებშიო.

რასმუსენმა ხაზგასმით აღნიშნა:

— ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს წვლილსა და NATO-ში მის გაწევრებას შორის პირდაპირი კავშირი არ არის, ეს ერთ-ერთი ფაქტორია, მაგრამ არის სხვა მოთხოვნებიც, რომლებიც შესრულებული და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს, ვიდრე NATO-ში საქართველოს გაწევრების გადაწყვეტილებას მივიღებთ.

სიმართლე ითქვას, ბოლო წლებში NATO-ს წევრი ევროპის ბევრი ისეთი ქვეყანა გახდა, სადაც ჩვენზე არანაკლებ ირღვევა დემოკრატიის პრინციპები, მაგრამ ალიანსში მათი გაწევრების კატეგორიული წინააღმდეგი არ ყოფილა ზესახელმწიფოს იმიჯის მოსაპოვებლად მებრძოლი, ბირთვული იარაღის მქონე რუსეთის ფედერაცია.

რასმუსენმა თბილისში ისიც განაცხადა, კრემლის პოლიტიკას არ უკავშირდება ის, რომ საქართველო დღემდე NATO-ს წევრი არ არისო, თუმცა თავისი წინა განცხადებებისგან განსხვავებით, NATO-ს გენერალური მდივანი ამჯერად ნახევრად სიმართლეს ამბობს, რადგან ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ რუსეთია, რის გამოც NATO საქართველოს სრულფასოვან წევრად მიღებას ვერ ბედავს (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), მით უმეტეს — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ.

რამდენიმე დღის წინ ევროპაში ვიზიტით მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ საქართველო NATO-ს რუსეთთან ომში არ ჩაითრევს.

ამავე დღეებში პოლონური საინფორმაციო საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არ დამალა:

— 2012 წელს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა შეიძლება კიდევ უფრო დაიძაბოს.

რა გამოდის? მთელმა მსოფლიომ



ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები ავღანელებს უკვე Д-30 ტიპის ჰაუბიცებიდან სროლას ასწავლიან



ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის მუდმივი ზრდა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას არ დააჩქარებს...

იცის, რომ 2012 წელს რუსეთის პრეზიდენტი ისევ პუტინი გახდება და მისი ქართველი კოლეგა თითქმის დარწმუნებულია, რომ ორ ქვეყანას შორის ისედაც „გაყინული ომის“ მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება, თუნდაც მათი უკიდურესად დაძაბული პირადი ურთიერთობის გამო.

ბაქრაძის სიტყვები, საქართველო NATO-ს რუსეთთან ომში არ ჩაითრევსო, თავის გამართლების ცდაა, რადგან არათუ ბაქრაძემ, არამედ სააკაშვილმა და თავად NATO-მაც არ იციან, რას მოიმოქმედებს გაპრეზიდენტებული პუტინი.

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იჩქარებს და 2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე საქართველოს MAP-ს მისცემს? სულაც არა, პირიქით, ალიანსის წევრი წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელები ყურადღებით დააკვირდებიან როგორც პუტინის გაპრეზიდენტებას, ისე 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დიდ ყურადღებას მიაქცევს საქართველოში ახალი ანგარიშგასაწევი ფიგურის — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას და იმას, თუ როგორი ხერხებით ეცდება ამჟამინდელი ხელისუფლება ხელი შეუშალოს ივანიშვილსა და მის პარტიას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მიღწევაში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ყოველთვის ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოს მიღწევებს არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკურ ასპარეზზეც და 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში მომიტინგეთა დარბევა იმ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცა, რის გამოც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველო MAP-ის გარეშე დარჩა, 2008 წლის აგვისტოს ომმა კი NATO-ს კიდევ უფრო დაგვაშორა.

2007 წლის 19 ნოემბრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ომი თავიდან უსათუოდ უნდა ავიცილოთ“, ვწერდით: „7-მა ნოემბერმა NATO-სკენ მიმავალი საქართველო სერიოზულად შეაფერხა, ახალმა ომმა კი შეიძლება დაღუპოს.

...7 ნოემბრის მოვლენებმა NATO-სკენ მიმავალ გზაზე დიდი ხნით შეგვაფერხა და 2008 წლის გაზაფხულზე NATO-ს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ჩართვა გაწევრების სამოქმედო გეგმაში (MAP) მეტად საეჭვო ჩანს.

...რუსეთი ყველაფერს გააკეთებს NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების შესაფერხებლად, მით უმეტეს, ყველანაირად ეცდება, არ დაუშვას საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება. ვფიქრობთ, კრემლი ამის გაკეთებას შეეცდება საქართველოს ჩათრევით მორიგ შეიარაღებულ კონფლიქტში ცხინვალის რეგიონში ან აფხაზეთში“.

როგორც ხედავთ, ბუქარესტის სამიტამდე ოთხი და აგვისტოს ომამდე რვა თვით ადრე გაკეთებული პროგნოზი, სამწუხაროდ, გამართლდა — არც ბუქარესტში მოგვცეს MAP-ი და ვერც რუსეთთან ომი ავიცილეთ, რასაც საქართველოს ორი ნაწილის ოკუპაცია მოჰყვა.

ამჯერად ვისურვებდით, ჩვენივარაუდი არ გამართლდეს და 2012 წლის მაისში, ჩიკაგოში, NATO-ს მორიგ სამიტზე საქართველოს მართლაც მისცენ MAP-ი, რაც NATO-სთან რეალური დაახლოება იქნება, თუმცა საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის ნოემბერშია დაგეგმილი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტი კი თითქმის ნახევარი წლით ადრე გაიმართება და რა თქმა უნდა, დასავლეთს არ ეცოდინება, როგორ ჩატარდება ჩვენთან არჩევნები (თუკი ხელისუფლებამ წინასწარი არჩევნები არ ჩაატარა), ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველო NATO-სგან MAP-ს ვერც 2012 წელს მიიღებს.

*ირაკლი ალადაშვილი*



რუსეთის კატეგორიულ წინააღმდეგობას საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესისადმი, ალიანსის ხელმძღვანელობა ანგარიშა უწევს



# რა ხდება ქართულ ჰაუპტვახტებში...

**ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება" თავდაცვის სამინისტროს ახალ ინიციატივას სთავაზობს. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი ამბობს, საქართველოში ჰაუპტვახტი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომელიც უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების ეფექტურ გატარებას, რათა არ დავუშვათ დაპატიმრებული სამხედრო მოსამსახურის წამება, უსამართლოდ დასჯა. ამიტომ ასოციაციამ ევროკავშირის პროექტის („წამების პრევენცია სამხედრო ჰაუპტვახტებში") ფარგლებში შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის საშუალებითაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჰაუპტვახტების ფუნქციონირებაში არსებული დარღვევები აღმოიფხვრება. თუ რა ვითარებაა დღეს ქართული არმიის ჰაუპტვახტებში და როგორია ახალი ინიციატივა, ამის შესახებ ირაკლი სესიაშვილი გვესაუბრება:**

— ქართულ არმიაში ორი ჰაუპტვახტია, — ერთი სენაკში, მეორე კი ვაზიანში. ორივე შენობა შეესაბამება ევროსტანდარტებს, მაგრამ არის ბევრი საკითხი, რომლებიც დარეგულირებას მოითხოვენ.

**— მაგალითად?**

— არ არსებობს მარეგულირებელი ნორმატიული აქტი, რომელიც ჰაუპტვახტის წესებს განსაზღვრავს, ამიტომ იქ წესებს ადმინისტრაცია ან სამხედრო პოლიცია თვითნებურად ადგენს. ეს არასწორია, რადგან ჰაუპტვახტი არის საპატიმრო, სადაც ადამიანები ხვდებიან სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად და სისტემა ვინმეს პირადი შეხედულებისამებრ არ უნდა იმართებოდეს. სხვადასხვა დროს ჩატარებული მონიტორინგით დადგინდა, რომ ვაზიანისა და სენაკის ჰაუპტვახტებში სხვადასხვა სტანდარტია და სიტუაციაც ინდივიდუალურად იმართება. ზოგიერთ შემთხვევაში დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემული პირი ისეთივე პირობებშია, როგორშიც სისხლის სამართლის დამნაშავე. უფრო მეტიც, ზოგჯერ ჩვეულებრივ ციხეში მყოფი ექვმიტანილი გაცილებით უკეთეს პირობებშია, ვიდრე ჰაუპტვახტში მყოფი სამხედრო მოსამსახურე, რაც დაუშვებელია.

**— შეგიძლიათ კონკრეტული ფაქტები დაგვისახელოთ, თუ როგორ ეპყრობიან სამხედრო მოსამსახურეებს ჰაუპტვახტში?**

— არის შემთხვევები ღირსების შემლახველი მოპყრობისა, რაც შეიძლება წამებასაც კი უტოლდებოდეს. სენაკის ჰაუპტვახტში, ერთ-ერთი მონიტორინგის დროს აღმოვაჩინეთ, რომ ადმინისტრაცია დაპატიმრებულს მთელი დღის განმავლობაში ჩამოჯდომის უფლებას არ აძლევდა. როდესაც პატიმარს ვკითხე, რატომ არ ჯდებოდა, მითხრა, უფლება არ მაქვსო. რომ დაჯდე, რა მოხდება-მეთქი? სათვალთვალოდან მიყურებენ და რომ დავჯდე, ჯარიმად აზიდვას გამაკეთებინებენო. ასეთი ფაქტი ვაზიანში არ მომხდარა. იქ პატიმარს დაჯდომას და წამოწოლას არავინ უკრძალავს.

ნებისმიერ სასჯელს სადისციპლინო წესდება არეგულირებს. წესდებაში კი ნამდვილად არ წერია, რომ ვინმეს უფლება აქვს ჯარისკაცს მთელი დღის განმავლობაში დაჯდომა აუკრძალოს ან აზიდვების გაკეთება აიძულოს.

დაპატიმრებულ სამხედროებს ლიტერატურის გაცნობის საშუალება არა აქვთ. არადა, კანონით გათვალისწინებულია, რომ სამხედრო მოსამსახურის დასჯა პრევენციული ხასიათის უნდა იყოს. მისთვის პატიმრობის დროს სავალდებულოც კი უნდა იყოს სადისციპლინო წესდების კითხვა. არმიის საპატიმრო დაწესებულებებში ასეთი ხარვეზები იმიტომ ხდება, რომ ადმინისტრაციის დაკომპლექტებისას კომპეტენტურ კადრებს არ არჩევენ. ნებისმიერი პირი, რომელიც სამხედრო პოლიციაში მსახურობს, შეიძლება ჰაუპტვახტის ადმინისტრაციის თანამშრომელი გახდეს. მას სულაც არ მოეთხოვება ადამიანის უფლებებისა და პატიმართა მოპყრობის წესების ცოდნა. ამ სისტემაში აუცილებლად უნდა მუშაობდნენ იურისტები, რომლებიც გათვითცნობიერებულნი იქნებიან სამართლებრივ საკითხებში. სხვათა შორის, ჰაუპტვახტის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მონიტორინგის ჩატარების დროს მიცემული შენიშვნები გაითვალისწინა და დარღვევების აღმოსაფხვრელად ზომებიც მიიღო.

**— ჰაუპტვახტის ადმინისტრაციაში ქალები თუ მსახურობენ?**

— არ მსახურობენ, რაც პრობლემას ქმნის. ადმინისტრაციაში აუცილებლად უნდა იყოს ქალი. ბოლო დროს არმიაში ქალების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. როგორც მოგეხსენებათ, ჰაუპტვახტში ჩასმამდე ჯარისკაცს ჩხრეკენ. არ შეიძლება ქალი მამაკაცმა გაჩხრიკოს.

**— ქალი სამხედრო მოსამსახურეების დაპატიმრების შემთხვევები ხშირია?**

— ჩემს პრაქტიკაში არ დაფიქსირებულა. არ მახსოვს, რომ დისციპლინური სასჯელის გამო ქალი ჰაუპტვახტში ჩაესვათ, მაგრამ ამის თეორიული შანსი არსებობს. ამიტომ ჰაუპტვახტის ადმინისტრაციაში ქალი უნდა მსახურობდეს.

**— სამხედრო მოსამსახურის პატიმრობის ვადა რამდენი დღით განისაზღვრება?**

— სამხედრო მოსამსახურის ჰაუპტვახტში ყოფნის მაქსიმალური ვადა 30 დღე-ღამეა.

**— არმიის საპატიმროში კვების, ჰიგიენისა და სამედიცინო მომსახურების საქმე მოგვარებულია?**

— არა, ესეც მოსაგვარებელია. სამხედრო მოსამსახურე მშვიდობის დროსაც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს. ამიტომ თუნდაც ჰაუპტვახტში იჯდეს, საკვებითა და სამედიცინო მომსახურებითაც უნდა უზრუნველყონ და ვარჯიშის პირობებიც შეუქმნან.

**— თქვენი აზრით, ჰაუპტვახტის გაუქმების შემთხვევაში რა ფორმით უნდა შეიცვალოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც სამხედრო პირს დაეკისრება დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში?**

— ჩვენ გვყავს სამი ტიპის სამხედრო მოსამსახურე (ვადიანი, ანუ წვევამდელები, საკონტრაქტო მოსამსახურეები და კადრის ოფიცრები. ჩემი აზრით, საკონტრაქტო მოსამსახურეებისა და კადრის ოფიცრების ჰაუპტვახტში ჩასმა შეცდომაა. მით უფრო, რომ არსებობს დასჯის სხვა უფრო ეფექტური მექანიზმები, მაგალითად, ხელფასის დაქვითვა. წვევამდელებს ნაკლები სურვილი და მოტივაცია აქვთ იმისთვის, რომ შეიარაღებულ ძალებში იმსახურონ. ამიტომ დისციპლინური გადაცდომებიც ხშირად აქვთ. რადგან მათ ხელფასის დაქვითვით ვერ დავემუქრებით, შეიძლება ისეთი ტიპის სასჯელები დავაკისროთ, როგორიცაა გამოსასწორებელი სამუშაოები, ანუ ყაზარმის ან სამხედრო ნაწილის ტერიტორიის დალაგება-დასუფთავება, დისციპლინარული მუხლების წესდების შესწავლა... კრიზისულ ვითარებაში, მაგალითად, თუ ჩხუბი მოხდა, შეიძლება მათი იზოლირება ყაზარმაშივე.

**— ეს ინიციატივა თავდაცვის სამინისტროს უკვე შესთავაზეთ?**

— ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს ის ძირითადი ინსტრუქციები, რაც საჭიროა ჰაუპტვახტის ადმინისტრაციის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის და ვაპირებთ, მთელი ამ ანალიზის პაკეტი და კონცეფცია როგორც კანონპროექტი „სამხედრო ჰაუპტვახტების შესახებ“ თავდაცვის სამინისტროს გავუგზავნოთ. ასევე, მივცეთ რეკომენდაციები, რომლებიც მათ მსჯელობის საშუალებას მისცემს.

**ხათუნა ბახტურიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის არ აწყობს „იარაღის ბარონის“ ალაპარაკება...



„ყველაზე საზარელი ადამიანი დედამიწაზე“, — ასე უწოდა ტელეკომპანია „სი-ბი-ესის“ პოპულარული პროგრამა „60 წუთის“ წამყვანმა საათურში გამოტანილ მეტსახელებით ცნობილ რუს ოფიცერს, 44 წლის ვიქტორ ბუტს, რომლის სასამართლო პროცესი 2 ნოემბერს დასრულდა მანჰეტენის ფედერალურ სასამართლოში! იმის გარდა, რომ წლების განმავლობაში ამერიკის სპეცსამსახურებს ნადირობა ჰქონდათ გაჩაღებული ბუტის დასაჭერად, ეს კაცი მწერალ-დეტექტივისტების ნაწარმოებებისა და თვით ჰოლივუდის ფილმის გმირთა პროტოტიპადაც კი იქცა! ცნობილმა ბრიტანელმა დეტექტივისტმა ფრედერიკ ფორსაიტმა ბუტზე დაწერა რომანი „შურისმაძიებელი“; ამერიკელმა მწერლებმა დუგლას ფარამ და სტივენ ბრაუნმა გამოსცეს წიგნი, სახელწოდებით „სიკვდილით მოვაჭრე“; ფრანგი მწერალი ჟერარ დე ვილე კი ორჯერ საგანგებოდ ჩავიდა ბანგკოკში და შეხვდა ბუტს, რომელიც იქაურ ციხეში იჯდა და დაწერა წიგნი სათაურით „ბანგკოკური მახე“; და ბოლოს, ჰოლივუდში მის შესახებ გადაიღეს ფილმი LORD OF WAR!

მაშ, ვინ არის ეს კაცი, ვიქტორ ბუტი, რომელიც ტაილანდიდან შარშან, 2010 წლის 17 ნოემბერს ჩამოიყვანეს ნიუ-იორკიდან 100 კილომეტრში მდებარე სამხედრო-საჰაერო ბაზა სტიუარტში და რომლის ექსტრადიციისთვისაც ამერიკულ თემიდასა და ხელისუფლებას ნამდვილი მცირემასშტაბიანი „ცივი ომის“ გადახდა მოუხდათ რუსეთთან? დავიწყოთ იმით, რომ ჩამოყვანისთანავე ვიქტორ ბუტს ნიუ-იორკის საოლქო სასამართლოში წარუდგინეს ოთხპუნქტიანი ბრალდება: დანაშაულებრივი შეთქმულება ამერიკის მოქალაქეთა და სახელმწიფო მოხელეთა მკვლელობის მიზნით; დანაშაულებრივი შეთქმულება ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა მკვლელობის მიზნით; შეთქმულება საზენიტო-სარაკეტო კომ-

პლექსების მოპოვება-გაყიდვის მიზნით; შეთქმულება ტერორისტული ორგანიზაციების მატერიალური რესურსებითა და იარაღით მომარაგების მიზნით! ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, იარაღით უკანონო ვაჭრობაში ბრალდებას ნიშნავდა! სულ ახლახან კი, 2 ნოემბერს, იმის გამო, რომ ბუტმა თავი არ ცნო დამნაშავედ და უარი თქვა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, მანჰეტენის ფედერალური სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ სამდღიანი ბჭობის შემდეგ ბუტი დამნაშავედ ცნო ბრალდების ოთხივე პუნქტში! ასე რომ, დასრულდა მრავალწლიანი ეპოპეა ამ მოუხელთებელი „იარაღის ბარონისა“ და კონტრაბანდისტისა, რომელიც რუსეთის გენერალიტეტთან იყო უახლოეს კავშირში და არა მარტო მათთან. მისი უშუალო უფროსი გახლდათ რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი, რომელიც კურირებს კიდეც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს.

ბუტმა და სეჩინმა ერთმანეთი გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს გაიცნეს მოზამბიკში, სადაც ისინი თარჯიმნის სტატუსით მუშაობდნენ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში, სინამდვილეში კი, გრუ-ს მზვერავები იყვნენ და მათი მოქმედების არეალს მოზამბიკთან ერთად ანგოლაც წარმოადგენდა. „სუპერინფორმატორი“ — ასე მოიხსენიებს ამერიკული მედია ვიქტორ ბუტს, რომელმაც შეიძლება ყველაფერი დაფქვას სასჯელის შემსუბუქების მიზნით. ამჯერად კი მას 25 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე სასჯელი ელოდება, რომელსაც მოსამართლე შირე შეინდლინი გამოუცხადებს თებერვალში. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, იმ იარაღის დიდი პარტიებით, რომელთაც ბუტი ყიდდა, ჩაღდებოდა ომები ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში! ამერიკული დაზვერვა და სპეცსამსახურები დიდხანს ნადირობდნენ ბუტზე და როგორც იქნა, 2008 წელს ტაილანდში გააბეს ხაფანგში. ბუტთან კავშირზე გავიდნენ ამერიკელი მზვერავები, რომლებიც თავს ასაღებდნენ, როგორც კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების, FARC-ის წარმომადგენლები და რომლებიც, თითქოს იარაღის დიდი პარტიის, მათ შორის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების პოტენციური მყიდველები იყვნენ. აგენტებმა ეს მოახერხეს დიდი ბრიტანეთის მოქალაქისა და ბუტის კომპანიონის ენდრიუ სმულიანის მეშვეობით, რომელსაც კოლუმბიელებად გააცნეს თავი. პროცესზე გაირკვა, რომ სმულიანი 30 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა სამხრეთ აფრიკის ყოფილი აპარტეიდული რეჟიმის სპეცსამსახურებთან და მისი აგენტურული ინფორმაციის წყალობით ნელსონ მანდელას ბევრი თანამებრძოლი გაისტუმრეს საიქიოს ან დააპატიმრეს. სწორედ აფრიკაში გადაიკვეთა ბუტისა და სმულიანის გზები და რუსმა მზვერავმა მოახერხა მისი გადაბირება. შედეგად, ბუტმა და სმულიანმა სომალელი და სხვა დიქტატორული რეჟიმების მომარაგება დაიწყეს იარაღით, რომელთა შორის იყო საზენიტო ЗУ-23-2-ის ტიპის დანადგარებიც. სმულიანის შუამავლობითა და მონაწილეობით ამერიკელი აგენტები ბანგკოკის სასტუმრო „სოფიტელში“ შეხვდნენ ბუტს. ამერიკელებმა რამდენიმე მოლაპარაკება გამართეს ბუტთან და ყველაფერი ფარულად ჩაიწერეს, რაც ერთ-ერთი მთავარი მამხილებელი საბუთი გახდა სასამართლო პროცესზე. ცნობილია ოპერაციის მონაწილე ორი ამერიკელი აგენტის სახელი და გვარი, რომლებიც მთავარ მოწმეებად გამოდიოდნენ პროცესზე; ესენია კარლოს საგასტუმე და ერიკ რიკარდო. მოკლედ, ბუტი და სმულიანი 2008 წლის 6 მარტს დააპატიმრეს და ბანგკოკის ციხეში ჩასვეს. სმულიანი უმალ დათანხმდა ამერიკელებს თანამშრომლობასა და ამერიკაში ეტაპირებაზე. მან თავი დამნაშავედ ცნო და ბუტის წინააღმდეგ მისცა ჩვენებები. მთელი ორი წელი ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ბრძოლა იყო ბუტის ამერიკაში ექსტრადიციისთვის. კრემლი მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ან რუსეთისთვის გადაცემას მოითხოვდა. ტაილანდის სასამართლომ ამერიკული მხარის მტკიცებულებანი სარწმუნოდ ჩათვალა და ექსტრადიციაზე დათანხმდა, მიუხედავად მოსკოვის ძლიერი ზეწოლისა და მუქარისა. **რა მეთოდებსა და საშუალებებს აღარ მიმართავდა ოფიციალური მოსკოვი ბუტის დასახსნელად: სთავაზობდა ტაილანდის მთავრობას ნავთობს იაფად, ემუქრებოდა მას და ვაშინგტონსაც საპასუხო ზომებით, თვით ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკის შეჩერებით და ა.შ. არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იარაღის ექსპორტი რუსეთის მთავრობას აქვს მონოპოლიზებული და ბუტს შეეძლო დაესახელებინა კრემლის მაღალჩინოსნები, გენშტაბის გენერლები და სახელმწიფო დუმის წევრებიც კი, რომლებიც გარეულნი არიან იარაღით უკანონო ვაჭრობაში.** შესაბამისად, მოსკოვს ბუტი სჭირდებოდა ცოცხალი ან მკვდარი. მისი ბანგკოკის ციხეში ყოფნისას ამერიკულ მედიაში ჩნდებოდა ინფორმაცია, რომ რუსებს განზრახული ჰქონდათ ბუტის მოტაცება, მარცხის შემთხვევაში კი მისი მოკვლა, რათა ცოცხალი არ ჩაეყვანათ ამერიკაში! ამიტომ ტაილანდის პრემიერ-მინისტრის უშუალო ბრძანებით ბუტს გაძლიერებულად იცავდნენ. **ტელეკომპანია „ფოქს-ნიუსის“ ცნობით, ბუტი იარაღის დიდი პარტიებით ამარაგებდა თალიბებს, კოლუმბიელ ნარკობარონებს, ლიბანში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰეზბოლასა“ და აფრიკელ დიქტატორებს.** მეტიც, ამერიკულ და ევროპულ მედიაში არაერთხელ გამოქვეყნდა ცნობა, რომ სწორედ ბუტი ეხმარებოდა ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადასვლაში ‚ალ-ქაიდას“ იმ ტერორისტებს, რომლებსაც ეძებდნენ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების სპეცსამსახურები და ირიბი კავშირი ჰქონდა თვით 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტთანაც კი. ამიტომ ბევრი ექსპერტი აცხადებს, რომ ბუტი უნდა გაესამართლებინათ როგორც სამხედრო დამნაშავე. **2004 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო საგანგებო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებდა წევრ სახელმწიფოებს აეკრძალათ ბუტისთვის საკუთარი ქვეყნების როგორც სატრანზიტო ტერიტორიების გამოყენება იარაღის გადასაზიდავად. რუსეთმა რეზოლუციას ვეტო მარტივი მიზეზის გამო არ დაადო: აშკარა გახდებოდა რუსეთის ხელისუფლებასა და ბუტს შორის ურთიერთობა, რაც პუტინის რეჟიმს დიდ საერთაშორისო სკანდალში გახვევდა.** მიუხედავად რეზოლუციისა, ბუტი მაინც ახერხებდა უცხოელი ჩინოვნიკებისა და სამხედრო პირთა მოქრთამვით იარაღის ტრანზიტს! აგენტმა საგასტუმემ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მოლაპარაკებისას **ბუტმა საკუთარი ხელით ჩამოწერა იარაღის ის სახეობები, რომლებიც შეეძლო დაუყოვნებლივ გადაეგზავნა კოლუმბიაში, ვენესუელასა და პარაგვაიში არსებული და ბუტის კონტროლქვეშ მოქმედი ტვირთების გადაზიდვის რამდენიმე კომპანიის მეშვეობით. ეს იარაღი კი იყო „იგლას“ ტიპის რაკეტები, ყუმბარსატყორცნები, ხელყუმბარები, „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატები, ტყვია-წამალი და ა. შ. ბუტმა უახლესი მოდელის ყუმბარსატყორცნიც კი დაუხაზა „კლიენტებს“,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაც საგასტუმემ პროცესზე წარადგინა.** აგენტმა რიკარდომ, რომელიც თავს ასაღებდა როგორც „ფარკის" ერთ-ერთი საველე მეთაური, ბუტს განუცხადა, რომ მათ უწინარესად ესაჭიროებათ „მიწა-ჰაერის" ტიპის საზენიტო რაკეტები ამერიკული შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების ჩამოსაყრელად (შეგახსენებთ, რომ ამერიკელები დროდადრო ბომბავენ კოლუმბიის ნარკოკარტელებს), რაზეც თანხმობა მიიღო ბუტისგან და რომელმაც ბრძანა: **„დიახ, ჩვენ ერთი და იგივე მტერი გვყავს და მიუხედავად მათი ბრწყინვალე შეიარაღებისა, ამერიკელებს არა აქვთ გამარჯვებისკენ სწრაფვა და ნება. მათ არ გააჩნიათ სამშობლო და ნაციონალური იდეა. მათ მხოლოდ ფული აქვთ! მე შემიძლია პირველ ეტაპზე ასი ცალი გადასატანი საზენიტო რაკეტა მოგაწოდოთ!"** ამ საუბრის ჩანაწერიც წარედგინათ ნაფიც მსაჯულებს. **ბუტმა ასევე შესთავაზა „კლიენტებს", რომ ოც რუს სამხედრო სპეციალისტს გაუგზავნიდა „ფარკს", რომლებიც კოლუმბიელ მეამბოხეებს მოამზადებდნენ დივერსიული საქმიანობისთვის.** ბუნებრივია, ლაპარაკი იყო ფულზეც (პირველ ოც მილიონ დოლარზე), რომელიც „კლიენტებს" უნდა გადაეხადათ ყველაფერ ზემოთქმულის სანაცვლოდ. ბუტი ურჩევდა მათ, რომ ნარკობიზნესისგან შემოსული ფული გაეთეთრებინათ ისეთ ქვეყნებში, სადაც ამერიკა ვერ შეძლებდა ანგარიშების გაყინვას. ასეთ ქვეყნებად ბუტმა რუსეთი, ბელორუსია, ვენესუელა და ესპანეთი დაასახელა.

ამჟამად ვიქტორ ბუტი მანჰეტენის ფედერალურ ციხეში ზის და იმავე „ფოქს-ნიუსის" ცნობით მიმდინარეობს მისი ინტენსიური დაკითხვა, — დამუშავება გამოძიებასთან თანამშრომლობის მიზნით. ლეგენდარული პოლკოვნიკის, ოლივერ ნორტის თქმით, რომელიც ტელეკომპანია „ფოქს-ნიუსის" სამხედრო მიმომხილველია და რომელიც ჩემს თაობას, ალბათ, კარგად ახსოვს 80-იანი წლების „ირან-კონტრასის" გახმაურებული საქმიდან, ბუტს ამერიკელები სთავაზობენ 10-დან 15 წლამდე პატიმრობას (სანიმუშო ქცევისთვის ვადაზე ადრე გათავისუფლებასაც კი), ოღონდ **ბუტმა გამოძიებას უნდა დაუსახელოს იარაღით უკანონო ვაჭრობაში გარეული რუსი მაღალჩინოსნები, სატრანზიტო ქვეყნების ჩინოვნიკები, რომლებიც ბუტს ეხმარებოდნენ იარაღის გადაზიდვაში, იარაღის კონკრეტული ადრესატები და საბანკო ანგარიშები.** სხვადასხვა ინფორმაციით, ბუტის ანგარიშებზე ექვს მილიარდ დოლარამდე თანხა ირიცხება(!). მოკლედ, ვიქტორ ბუტი ან დათანხმდება ამერიკელების პირობებს, ან სამუდამოდ ციხეში დარჩენა ელის. განაჩენის თებერვალში გამოცხადებაც იმ მიზნით გადაიდო, რომ ამერიკელებს იმედი აქვთ ბუტის გადაბირებისა. **თუ ბუტი ალაპარაკდა, იოლი წარმოსადგენია, რაც რუს მაღალჩინოსნებს შეიძლება დაემუქრო. არ გამორიცხავენ, რომ კვალი თვით ვლადიმირ პუტინამდე და სერგეი ივანოვამდეც მივიდეს!** რომ იტყვიან, ახლა არჩევანი მასზეა, 44 წლის კაცზე, რომელსაც მშობლები და ცოლ-შვილი ჰყავს რუსეთში. მისი მეუღლე ალა ბუტი ესწრებოდა სასამართლო პროცესს, **შვილი კი რუსებმა არ გაუშვეს ამერიკაში და, ფაქტობრივად, მძევლად დაიტოვეს. ეშინოდათ, რომ ბუტის ოჯახი პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვდა ამერიკის ხელისუფლებას და შესაბამისად, ბუტსაც ხელ-ფეხი გაეხსნებოდა გამოძიებასთან სათანამშრომლოდ.** ამერიკელი მიმომხილველები სწორედ ამ ფაქტს ასახელებენ ბუტის „სიმუნჯის" ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს მოსკოვმა ბუტის დასახსნელად, — ლაპარაკია მიხაილ ხოდორკოვსკის ბუტზე შესაძლო გაცვლის პერსპექტივაზე. მაგრამ ოლივერ ნორტის თქმით, ხოდორკოვსკი არც ანდრეი სახაროვია და არც მფრინავი პაუერსი (შეგახსენებთ, რომ მისი მზვერავი თვითმფრინავი 1961 წლის 1-ელ მაისს ჩამოაგდეს სვერდლოვსკთან და შემდეგ ამერიკელების მიერ დაჭერილ საბჭოთა მზვერავ აბელზე გადაცვალეს), რომ ვაშინგტონი დათანხმდეს გაცვლაზე. ვიქტორ ბუტის სახით ამერიკელებს აქვთ ისეთი ინფორმაციული ბომბი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის ადრე თუ გვიან აუცილებლად ააფეთქებენ. ამასობაში კი კოლუმბიიდან მოვიდა ინფორმაცია, რომ სამთავრობო ჯარებთან ბრძოლისას, 4 ნოემბერს, დაიღუპა კოლუმბიის „რევოლუციური შეიარაღებული ძალების (FARC) ლიდერი ალფონსო კანო, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია გილიერმო საენს ვარგასი. კანო სათავეში „ფარკს" 2008 წელს ჩაუდგა, ორგანიზაციის დამაარსებლის მანუელ ველაზას სიკვდილის შემდეგ. „ფარკი" კოლუმბიის კომუნისტური პარტიის სამხედრო ფრთაა, რომელიც ხელისუფლებას 60-იანი წლებიდან ებრძვის. მის რიგებში ათი ათასამდე მებრძოლია. „ფარკი" ფინანსდება ნარკობიზნესით, რეკეტით, მძევალთა აყვანითა და მათი გათავისუფლებისთვის გამოძალული გამოსასყიდით! ამერიკელები ეჭვობენ, რომ კანოს სიკვდილი ბუტის საქმესთან არის დაკავშირებული, რომ პუტინის ხელისუფლებამ აიძულა კოლუმბიის მთავრობა ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ჩაეტარებინა და შეიძლება, თვითონაც შეაშველა ხელი მისი ლიკვიდაციის საქმეს. ვიქტორ ბუტი ხომ პირადად იცნობდა კანოს.



ბუტის ისტორიას ჰოლივუდიც გამოეხმაურა ბლოკბასტერით LORD OF WAR, რომელშიც „იარაღის ბარონის" როლი ნიკოლას ქეიჯმა შეასრულა

*ზურაბ მჭედლიშვილი*

*სპეციალურად „არსენალისთვის"*

*ნიუ-იორკიდან*



# სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-23, 2011)**

„არსენალის“ გასულ ნომერში შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ფსევდონიმები „ომერი“ და „59“ არ შეიძლება საბჭოთა აგენტ გიორგი გეგელიას ეკუთვნოდეს და „59“-ს ფსევდონიმის უკან ძალზე ცნობილი ქართველი ემიგრანტის ვინაობა იმალება. ამჟამად გთავაზობთ ჩვენი მოსაზრების გამამყარებელ დამატებით არგუმენტებს.

გენერალ სუდოპლატოვის ინფორმაციით, ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისიდან გეგელია ოპერატიულ კავშირზე იყო საბჭოთა დაზვერვის პარიზის რეზიდენტურის ოფიცრებთან: პ. ზუბოვსა და ლ. ვასილევსკისთან. საბჭოთა გენერლის მტკიცებით, ამ კავშირების წყალობით ვითომდა თავიდან იქნა აცილებული ქართველი მენშევიკების თავდასხმა სტალინზე. თუმცა ამ ფაქტის დამადასტურებელი არგუმენტი არ მოჰყავს.

საბჭოთა დაზვერვის ისტორიის შესახებ არსებული წყაროებით ირკვევა, რომ პეტრე ზუბოვს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსა და ქართულ ემიგრაციასთან.

პეტრე ზუბოვი დაიბადა ტიფლისში, 1898 წლის 7 თებერვალს. 1918 წელს გახდა ბოლშევიკური პარტიის წევრი და აქტიურად ჩაერთო ტერორისტულ აქციებში, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. 1920 წლის მარტში პეტრე ზუბოვი საგანგებო რაზმის მეთაურ მექი კედიას მებრძოლებმა დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაამწესეს (სავარაუდოდ, იქ გაიცნო ლავრენტი ბერია), თუმცა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაათავისუფლეს.

1921 წლის 25 თებერვალს პეტრე ზუბოვი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად შემოვიდა თბილისში. იმავე პერიოდიდან ზუევი საქართველოს ჩეკას ოპერატიულ განყოფილებაში მუშაობს. 1922 წლის დასაწყისში ის საქართველოს ჩეკას საგარეო დაზვერვის იმ ქვეგანყოფილების უფროსად დანიშნეს, რომელიც თურქეთში მოქმედი ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობას ეწეოდა.

საბჭოთა კავშირის საგარეო დაზ-

**სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე პროცესები და ინფორმაციებს პირადად იღებდა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლავრენტი ბერიამ ქართულ ემიგრაციაში არაერთი საკუთარი აგენტის ჩანერგვა მოახერხა



ვერვის დოკუმენტებში განსაკუთრებით ხაზგასმულია პეტრე ზუბოვის მონაწილეობა 1922-24 წელს საქართველოში დაგეგმილი სამხედრო გამოსვლების ჩახშობის ოპერაციებში.

ირკვევა, რომ ზუბოვს ჯერ კიდევ 1922 წლის ივნისში ჩაუვარდა ხელთ საიდუმლო აგენტურული ინფორმაცია, საიდანაც ირკვეოდა, რომ ანტიკომუნისტური გამოსვლების ორგანიზაციისთვის საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტები და საქართველოში დარჩენილი პატრიოტები სამხედრო აჯანყებას გეგმავდნენ. ლავრენტი ბერიამ ეს ინფორმაცია გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკის მოახსენა. ქართველი პატრიოტების გამოვლენისა და ემიგრაციიდან ჩამოტყუების სპეცოპერაცია მოსკოვში დაიგეგმა და 1924 წლის აგვისტოს ბოლოს ბოლშევიკების სისხლიანი გამარჯვებით დასრულდა.

1928 წელს პეტრე ზუბოვი დააწინაურეს და კონსტანტინოპოლში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტურაში მიავლინეს, სადაც 1930 წლის ივნისამდე საკონსულო განყოფილების თანამშრომლის, „პეტრე გრიშინის" ფსევდონიმით მოქმედებდა.

განსაკუთრებით საინტერესოა პეტრე ზუბოვის საბჭოთა დაზვერვის პარიზის რეზიდენტურაში მუშაობა 1931-33 წლებში. საქართველოში დაბადებულმა ზუბოვმა კარგად იცოდა ქართული ენა და ქართული ხასიათი. ჯერ კიდევ თურქეთში მუშაობისას ქართული ემიგრაციის წრეებში რამდენიმე აგენტ-ინფორმატორი გადაიბირა. პარიზში ამ აგენტურას უშუალოდ ნოე ჟორდანიას გარემოცვიდან (ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებს საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორია) გადაბირებული ახალი აგენტურა დაემატა. ასე რომ, ზუბოვი და მისი უშუალო ხელმძღვანელობა თბილისსა და მოსკოვში, ქართული ემიგრაციის ყველა საიდუმლო გეგმაში თავიდანვე იყო ჩახედული. პარიზის რეზიდენტურაში ოპერატიული მუშაობა დაუფასეს და ზუბოვი ორდენით დააჯილდოეს.

1933 წლის მაისიდან ზუბოვი საბჭოთა საგარეო დაზვერვის ცენტრალურ აპარატში დააბრუნეს, ხოლო 1937 წლის აპრილში პრაღაში დაზვერვის რეზიდენტად დანიშნეს.

თუმცა ზუბოვსაც მალევე უწია სტალინის რისხვამ და 1938-41 წლები ლეფორტოვოს ციხეში გაატარა. მხოლოდ პაველ სუდოპლატოვის არაერთგზის თხოვნის შემდეგ გადაწყვიტა ლავრენტი ბერიამ ზუბოვის გადარჩენა. ზუბოვი პოლონელი არისტოკრატის, იანოშ როძივილისა და საიდუმლო აგენტ იურეკ სოსნოვსკის გადაბირების ოპერაციაში ჩართეს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზუბოვი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა დივერსანტების მომზადებისა და გერმანიის ტერიტორიაზე შეგზავნის ოპერაციებში. 1943 წელს მიანიჭეს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. პეტრე ზუბოვი გარდაიცვალა 1952 წელს და თან ქართული ემიგრაციის შესახებ ძალზე ბევრი საიდუმლო წაიყოლა.

ირკვევა, რომ თავდაპირველად გეგელია სათანადოდ არ იცავდა კონსპირაციას და 20-იანი წლების ბოლოდან ქართულ ემიგრაციაში მასზე, როგორც ჩეკა-ოგეპეუს აგენტზე, ეჭვი ჰქონდათ.

სპირიდონ კედიას ქვრივი სოფიო ჩიჯავაძე-კედია იხსენებს: „გეგელია არწმუნებდა თავის ამხანაგებს, რომ შოკოლადის ქარხანაში მუშაობს და იქიდან მოტანილი შოკოლადით ხშირად კიდეც უმასპინძლდებოდა ამ უმუშევარ ემიგრანტებს.

მაგრამ ეს შოკოლადის ქარხანა, რაღაც საეჭვოდ ჰქონდათ მიჩნეული. ერთხელ ერთ-ერთმა მოინდომა ფეხდაფეხ გაჰყოლოდა ამ შოკოლადის ქარხნისკენ მიმავალ გზაზედ. ეს ცნობისმოყვარე მიადგა რუსეთის საკონსულოს კარებს გეგელიასთან ერთად; როდესაც ჰკითხა, იქ რად დადის, გეგელიას პასუხი იყო, რომ საქართველოში მას ჰყავს ბიძა, რომელიც „დიდი კაცია და ის ამ საელჩოს საშუალებით პატარა თანხას აწვდის".

ეს საკმარისი იყო, რომ მას თავის წრეში ნდობა დაეკარგა.

სპირიდონს არ სჯეროდა, რომ გეგელია კომუნისტების აგენტია და ეს სულ ბოლო დრომდე".

1931-33 წლებში გეგელია უშუალოდ ზუბოვის ხელმძღვანელობით მოქმედებდა და კარგად გაუგეს ერთმანეთს.

1933 წლის შემდეგ პარიზის რეზიდენტურაში ხელმძღვანელობა ძალზე სწრაფად იცვლებოდა. თავად განსაჯეთ, რეზიდენტები იყვნენ: 1933-36 წლებში – სმირნოვი („მიხაილოვი"), იგივე „ვიქტორი"; 1936-38 წწ. — კოსენკო („კისლოვი") იგივე „ფინი"; 1938-1939 წწ. — ს. გლინსკი, „პეტრე"; 1939-1941 ლ. ვასილევსკი („ტარასოვი"); 1944-1948 წწ. ი. ალაიანცი.

ბუნებრივია, გ. გეგელიასაც უჭირდა ახალ რეზიდენტებთან შეგუება.

თუმცა, მიუხედავად დასაბუთებული ეჭვისა და უნდობლობისა, გეგელიამ თანდათანობით მოიპოვა ქართველი ეროვნულ-დემოკრატების ნდობა და განაგრძობდა აქტიურ მუშაობას საბჭოთა დაზვერვისთვის.

1936 წლიდან ის მოსკოვის დავალებით ემიგრანტული ორგანიზაცია „კავკასიის" აქტიური წევრი გახდა და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა

საბჭოთა დაზვერვას. ჰეიდარ ბამატის ხელმძღვანელობით მოქმედ ამ ანტიბოლშევიკურ სტრუქტურას გერმანიისა და იაპონიის დაზვერვა და საგარეო საქმეთა სამინისტროები აფინანსებდნენ. ამიტომაც ორგანიზაციის წევრებს მათ სადაზვერვო ოპერაციებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

დაღესტნელი ჰაიდარ ბამატი (ბამატოვი) XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში მეფისნაცვლის წარმომადგენლობაში მსახურობდა, 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ბამატი კავკასიის ხალხთა კონფედერაციის იდეის აქტიური მხარდამჭერი გახდა. შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, სადაც იბრძოდა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ.

საქართველოს მხრიდან „კავკასიის“ ორგანიზაციის წევრები უპირატესად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ, მათ შორის — ზურაბ ავალიშვილი, შალვა ამირეჯიბი, გიორგი კვინიტაძე, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი და გიორგი გეგელია. ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი ემიგრანტები უკლებლივ ანტიმენშევიკური განწყობის იყვნენ.

ბამატმა და ამირეჯიბმა ბერლინში ვიზიტის შემდეგ, სადაც გერმანიის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შეხვდნენ, 1938 წლის ბოლოს პარიზში „კავკასიის“ აქტიურ წევრებთან გამართეს შეხვედრა და გერმანელებთან მოლაპარაკების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

საბჭოთა დაზვერვის არქივებში არსებული საიდუმლო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ კა-გე-ბეს ვეტერანმა გენერალმა სოცკოვმა წიგნიც კი გამოსცა „უცნობი სეპარატიზმის“ სახელწოდებით. ამ სუბიექტურ და შოვინისტურ „ნაშრომში“ ჩვენთვის საინტერესოა ემიგრანტულ ორგანიზაცია „კავკასიაში“ საბჭოთა აგენტურის მუშაობა.

სოცკოვი აღნიშნავს, რომ ბამატისა და ამირეჯიბის შეხვედრებმა ბერლინში ქართველი ემიგრანტების დიდი ინტერესი გამოიწვია და ამ საუბრის შინაარსი საბჭოთა აგენტურის მეშვეობით სწრაფადვე გახდა ცნობილი მოსკოვისთვის. ამ შეხვედრაში გიორგი გეგელიაც მონაწილეობდა და განსაკუთრებით აქტიურობდა. ქვემოთ გთავაზობთ მცირე ამონარიდს აგენტის მიერ საბჭოთა საგარეო დაზვერვაში გაგზავნილი ცნობიდან:

**„გეგელია: რა ინტერესები აქვს გერმანიას და რას მოითხოვს ჩვენგან დახმარების სანაცვლოდ?**

**ბამატი — გერმანელების ინტერესები კავკასიაში ეკონომიკური ხასიათისაა.**

**გეგელია — მე მინდა ვიცოდე, რა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენ, ემიგრანტებმა გერმანიისთვის და რა როლი გვენიჭება ამ საქმეში?**

**ბამატი — ჩვენი პროპაგანდით უნდა შევქმნათ ხელსაყრელი გარემო კავკასიურ-გერმანული ურთიერთობებისათვის, ჯერჯერობით სხვა კონკრეტული საკითხი ჩვენ მიერ დამუშავებული არ არის“.**

მიუხედავად იმისა, რომ გენერალი სოცკოვი არ ასახელებს აგენტის გვარს, ჩვენი აზრით, სწორედ გეგელია იყო ის აგენტი, რომელიც სისტემატურად აწვდიდა აგენტურულ ცნობებს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგარეო დაზვერვის ქვედანაყოფს, საიდანაც ინფორმაცია „ცენტრში“ — მოსკოვში იგზავნებოდა.

**ბესიკ ალადაშვილი**

***ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი***

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა



მოდერნიზებული აზერბაიჯანული Ми-24

## აზერბაიჯანი

● ავადმყოფობით 3 ჯარისკაცის გარდაცვალების გამო თავდაცვის მინისტრის ბრძანებით 4 სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილია შეიარაღებული ძალების რიგებიდან, 4 — სამხედრო წოდებით დაქვეითდა, 3-ს საყვედური და 2-ს კი სასტიკი საყვედური გამოეცხადა, ხოლო 6 — გაფრთხილებულია.

● ოქტომბერში თვითალიარებულ ყარაბაღსა და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის გამო აზერბაიჯანის არმიის 3 სამხედრო დაიღუპა, ხოლო 2 სამხედრო და 1 სამოქალაქო პირი კი დაიჭრა. მიმდინარე წლის იანვრიდან დაღუპულთა რაოდენობამ 17-ს მიაღწია, აქედან 13 სამხედროა. დაჭრილთა რიცხვი კი 21 კაცს შეადგენს.

● 10 ნოემბერს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ავტომობილი ყარაბაღში ხოჯავენდის მონაკვეთზე ნაღმზე აფეთქდა. საბედნიეროდ, ავტომობილში მსხდომნი გადარჩნენ, მანქანა კი დაიმტვრა.

● Anama-მ და თურქულმა კომპანია Nokta-მ დაასრულეს თურქეთ-სირიის საზღვრის მახლობლად 160 ათასი კვ მ ტერიტორიის გასუფთავება. ბოლო სამუშაოების ანტიკური ქალაქის კარჰემიშის ნანგრევების მახლობლად ჩატარდა. გააუვნებლეს 72 ქვეითი და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

● უახლეს ხანში მოსალოდნელია რუსეთთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება გაბალის რადიოლოკაციური სადგურის არენდის თაობაზე. მოლაპარაკება მაისში დაიწყო და რამდენიმე საკითხზე კონსენსუსის მიღწევა მოხერხდა. სადგური აზერბაიჯანის საკუთრებაა და რუსეთს 2012 წლამდე არენდით ჰქონდა აღებული, რისთვისაც წელიწადში 7 მლნ დოლარს იხდიდა.

● აზერბაიჯანმა თურქულმა კომპანია Yakupoglu-სგან განსაკუთრებული ტექნოლოგიით დამზადებული სპეციალური ფეხსაცმელები შეიძინა, რომელიც ფეხს ძლიერი ყინვისგან იცავს და წყალსაც არ ატარებს. ასეთი ფეხსაცმელებით არიან ეკიპირებული თურქეთის არმიის ის ჯარისკაცები, რომლებიც სამსახურს მთიან ადგილებში გადიან.

● სამხრეთაფრიკულმა კომპანია ATE Group-მა აზერბაიჯანთან ერთობლივი საწარმო შექმნა. კომპანია ძირითადად დაკავებულია სამოქალაქო და სამხედრო საფრენი აპარატების მოდერნიზაციით, აგრეთვე ამზადებს უპილოტო საფრენი აპარატების კორპუსებს, მართვის სისტემებსა და სატესტო მექანიზმებს. კომპანია ATE Group-ი უკრაინულმა კომპანიასთან ერთად აზერბაიჯანული Ми-24-ების მოდერნიზაციის პროგრამაში მონაწილეობდა.

## სომხეთი

● 4 ნოემბერს თავუშის ოლქის სოფელ ჩინარის მახლობლად სატვირთო ავტომობილი Зил-131 გადაბრუნდა და 23 სამხედრო დაშავდა.

● 8 ნოემბერს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი, — მან ერთ-ერთი წვევამდელის სხვა ნაწილში გადაყვანისთვის 3 ათასი დოლარი აიღო.



სომხეთის არმიაში მექრთამეობისთვის კიდევ ერთი ოფიცერი დააკავეს







ჩეჩნეთში რუსული მოტომსროლელი ბრიგადები БТР-82А-ს ღებულობენ

## ჩრდილო კავკასია

● რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ რაშიდ ნურგალიევის მონაცემებით, განვლილ 10 თვეში ჩრდილო კავკასიაში 50-ზე მეტი ტერაქტის თავიდან აცილება მოხერხდა. ასევე 10 თვეში დაფიქსირდა 137 აფეთქება, 213-ჯერ კი ბოევიკებმა ცეცხლი გახსნეს. მოკლულია 313 ბოევიკი და 399 კი დაკავებულია. განადგურებულია ბოევიკთა 100 ბაზა და 318 სამალავი. ამოღებულია უმართავი რაკეტების გამშვები თვითნაკეთი 2 დანადგარი, 8 ცეცხლსატყორცნი, 124 ხელყუმბარა და 1112 ცეცხლსასროლი იარაღი.

● ადიღედან ინგუშეთში გადაყვანილი 291-ე საარტილერიო ბრიგადის მაგივრად ადიღეში დაღესტნიდან 33-ე სამთო ბრიგადა შევიდა. ბრიგადის შტატი 2300 კაცზეა გათვლილი და პირადი შემადგენლობა 75%-ით არის დაკომპლექტებული. 33-ე ბრიგადა შევიდა ახლახან ჩამოყალიბებული 49-ე არმიის შემადგენლობაში, რომლის შტაბიც ქალაქ სტავროპოლშია. ქალაქ მაიკოპის მახლობლად დისლოცირებული 33-ე ბრიგადის დანიშნულება საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვაა.

● კრასნოდარის მხარეში ერთ-ერთი საავიაციო ბაზა წლის ბოლომდე 10 ახალ ავიაგამანადგურებელს Су-30М2-ს მიიღებს. ზაფხულში ამ ავიაბაზას იმავე ტიპის 2 ავიაგამანადგურებელი უკვე შეემატა. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს მე-4 საჰაერო არმიის დაქვემდებარებაში მყოფი კრიმსკის 6972-ე ავიაბაზა.

● ჩეჩნეთში დისლოცირებულ ერთ-ერთ მოტომსროლელ ბრიგადას 7 ნოემბერს 7 ახალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-82А დაემატა. ბოლო რამდენიმე თვეში ბრიგადას 30 БТР-82А უკვე მიღებული ჰქონდა. ახალი ტექნიკა — БТР-82А, Т-90А, Т-72Б და БМП-3 სრულად მიიღეს ვლადიკავკაზის მე-19 და ვოლგოგრადის მე-20 მოტომსროლელმა ბრიგადებმა.

● კასპიის ზღვის ფლოტილიისთვის აგებული კორვეტის კლასის ხომალდი „დაღესტანი" (პროექტი 11661 „გეპარდ-3.9") ამჟამად გამოცდას შავ ზღვაში ნოვოროსიისკის მახლობლად გადის. წლის მიწურულამდე კასპიის ზღვის ფლოტილიას კიდევ პატარა საარტილერიო ხომალდი „ვოლგოდონსკი" (პროექტი 21630) შეემატება.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაცია Halo Trust-მა აფხაზეთში 1997 წელს დაწყებული განაღმვითი სამუშაო დაასრულა. გასუფთავდა 360 დანაღმული ველი, ხოლო 9700 ნაღმი და დაახლოებით 50 ათასი ჭურვი გააუვნებლეს. განაღმვითი სამუშაოს დროს ორგანიზაციის 10 თანამშრომელი დაშავდა. 1993 წლიდან ნაღმებზე აფხაზეთში დაახლოებით 500-მდე მშვიდობიანი მოსახლე აფეთქდა.

● ნოემბრის პირველ [illegible] საშემოდგომო გაწვევა დაიწყო და სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო კომისრის გენერალ-მაიორ ვახტანგ ცუგბას თქმით, წლევანდელი გაწვევა 1993 წელს დაბადებულებს შეეხება და ამის გამო გასაწვევი კონტინგენტი შემცირებულია. ასევე 800 კაცით შემცირდა სკოლადამთავრებულთა რაოდენობაც.

### თვითალიარებული ყარაბაღი

● სტეფანაკერტის აეროპორტში მთავრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო. უკვე გამართულია რადიოსანავიგაციო მოწყობილობა, ხოლო ამ დღეებში სერტიფიცირება ასაფრენ-დასაშვები ზოლის განათებას ჩაუტარდება. ზოლის სიგანე 45 მ, სიგრძე კი 2,3 კმ-ია. 2012 წლის გაზაფხულიდან სტეფანაკერტი-ერევანი-სტეფანაკერტის მიმართულებით ფრენა რეგულარულად შესრულდება. რეისებს ავიაკომპანია Air Arcax-ის 50-ადგილიანი CRJ-200-ის ტიპის 3 სამგზავრო თვითმფრინავი შეასრულებს. განზრახულია საჰაერო მიმოსვლის არეალის გაფართოება.

● თვითალიარებული რესპუბლიკის არმიის საინფორმაციო-პროპაგანდის განყოფილების მონაცემებით, ოქტომბერში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 1350-ჯერ დაარღვიეს. მათ შორის — 1150 შემთხვევა ყარაბაღში, ხოლო 200 კი სომხეთთან საზღვარზე მოხდა. აზერბაიჯანმა 250-ჯერ გამოიყენა სნაიპერული საშუალება. სომხური მხარე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს არ არღვევდა და საპასუხო ცეცხლს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხსნიდა.

**თემურ ჩაჩანიძე**

ოკუპირებულ აფხაზეთში Halo Trust-მა განაღმვითი სამუშაოები დაასრულა






# რუსეთის საგარეო დაზვერვა: მარცხი მარცხს მოსდევს

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N23, 2011)

## მარცხი კანადაში

1997 წელს კანადის უშიშროებისა და დაზვერვის თანამშრომლებმა ტორონტოში დააკავეს ცოლ-ქმარი იენ და ლორა ლამბერტები, რომლებიც კანადის ხელისუფლების განცხადებით ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის არალეგალური აგენტები – დმიტრი და ელენე ოლშევსკები იყვნენ. ისინი კანადაში სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდნენ. კანადაში რუსეთის საგარეო დაზვერვის მარცხი ამით არ დამთავრებულა.

2006 წლის 15 ნოემბერს საღამოს, კანადაში, მონრეალის საერთაშორისო აეროპორტში თვითმფრინავის ბორტზე ასვლისას ქვეყნის კონტრდაზვერვამ დააკავა კანადის მოქალაქე, ვინმე პოლ უილიამ ჰემპელი. სპეცსამსახურების ინფორმაციით, ის რუსეთის დაზვერვის არალეგალური აგენტი იყო და მრავალი წლის განმავლობაში მოსკოვს ინფორმაციას გადასცემდა.

## მარცხი დიდ ბრიტანეთში

გასულ თვეს ბრიტანეთის საიმიგრაციო სააპელაციო კომისიამ რუსული წარმოშობის ეკატერინე ზატულივეტერის საქმის მოსმენა დაიწყო. მკითხველს შევახსენებთ, რომ ზატულივეტერს ჯაშუშობის ბრალდება ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა 2010 წლის დეკემბერში წაუყენეს და მისი დეპორტაცია მოითხოვეს.

ის დიდ ბრიტანეთში 2007 წელს ჩავიდა ბრედფორდის უნივერსიტეტში სამხედრო კონფლიქტებთან დაკავშირებული სამაგისტრო დისერტაციის დასაცავად. მანამდე მას პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული.

„კატია“, როგორც მას მოფერებით ეძახიან, პარლამენტის წევრ მაიკ ჰენკოკის ასისტენტი იყო და თვეში გასამრჯელოდ 250 გირვანქა სტერლინგს იღებდა. თურმე, „კატია“ ერთდროულად რამდენიმე ფრონტზეც „იღვწოდა“.

კომისიის სხდომაზე ზატულივეტერმა უკვე აღიარა, რომ თავის უფროსთან, მაიკ ჰენკოკთან რომანი ჰქონდა, რასაც ადრე ორივე კატეგორიულად უარყოფდა.

26 წლის „კატია“ უცხოელ დიპლომატებთან ხშირ კონტაქტში იყო შემჩნეული. ის ამტკიცებს, რომ სრულიად უდანაშაულოა და ინგლისში დარჩენას ითხოვს.

თავად ზატულივეტერის ასაკოვანმა ბოიფრენდმა მაიკლ ჰენკოკმა პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის წევრობაზე სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე უარი თქვა. ის აცხადებს, რომ ამ საქმის დასრულების შემდგომ კომიტეტში კვლავ დაბრუნდება.

ევროპარლამენტის დეპუტატი მაიკ ჰენკოკი რუს ლამაზმანებთან „ცუღლუტობაში“ ადრეც იყო შემჩნეული. ამასთან, რუს ქალებთან დროს ტარებასთან ერთად ჰენკოკი ევროპარლამენტის სხდომებზე საქართველოზე ასწრებს გესლის ნთხევასა და რუსეთის ხელისუფლების ტყუილმართალი ინფორმაციის რეკლამირებას. მას ყველაზე პრორუსულად განწყობილი დეპუტატისა და ვლადიმირ პუტინის თაყვანისმცემლის რეპუტაცია აქვს.

მაიკ ჰენკოკი ცნობილი მექალთანე რომ არის, ცნობილია, ამიტომ, ამგვარი კომპრომატით კარგად ისარგებლა რუსეთის საგარეო დაზვერვამ და „კატიას“ სახით აგენტი მიუგზავნა.

ეს კი რუსეთის საგარეო დაზვერვის ნაცადი ხერხია. როგორც ჩანს, ჯაშუშობაში სექსის „ილეთების“ გამოყენება რუსეთის სპეცსამსახურებმა საბჭოთა დაზვერვისგან მემკვიდრეობით მიიღო.

„კატიას“ კი მოხუცი მაიკის მოხიბლვა არ გაუჭირდებოდა.

უკვე დამტკიცებულია, რომ მაიკ ჰენკოკთან მუშაობისას ზატულივეტერი თავდაცვის სამინისტროში საიდუმლო ინფორმაციასთან დაკავშირებულ ათობით საპარლამენტო თხოვნას გზავნიდა, მათ შორის, ბრიტანეთის ატომური წყალქვეშა ნავების დისლოკაციისა და ქვეყნის ატომური პოტენციალის შესახებ. სწორედ ეს იწვევს დაეჭვებას, რომ ზატულივეტერი რუსეთის საგარეო დაზვერვაზე მუშაობდა. თავად განსაჯეთ, განა უცნაური არ იქნებოდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს არ ეცადათ სარგებლის მიღება იმ უზარმაზარი რუსული დიასპორისგან, რომელიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს?

კა-გე-ბეს ვეტერანებს და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კატია ზატულივეტერმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა დიდ ბრიტანეთს, ვიდრე რუსეთის საგარეო დაზვერვის მთელმა რეზიდენტურამ. კერძოდ კი, კატიამ მოიპოვა ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში განლაგებულ ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ბაზებზე. ის სვამდა კითხვებს მნიშვნელოვან სამხედრო თემებზე, პარლამენტის წევრი მაიკ ჰენკოკი კი ამ შეკითხვებს შესაბამის ორგანოებში გზავნიდა. მოდიოდა პასუხები, ზატულივეტერი მას კითხულობდა, იწერდა, აკეთებდა ასლებს და რუსეთის დაზვერვას უგზავნიდა.

თავისი საეჭვო „მოღვაწეობის“ გამო ჰენკოკმა უკვე იზარალა: ის ევროპარლამენტში რუსეთის საქმეებთან დაკავშირებული პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელის პოსტიდან გაათავისუფლეს. თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, ჰენკოკი უნებლიეთ ეხმარებოდა „კატიას“ სადაზვერვო საქმეებში თუ თვითონაც რუსეთის გავლენის აგენტი იყო. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სადაზვერვო ოპერაცია კრახით დასრულდა.



ევროპარლამენტის წევრი მაიკ ჰენკოკი



რუსი ჯაშუში ეკატერინე ზატულივეტერი

## მარცხი გერმანიაში

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გერმანიაში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის ცოლ-ქმარი, 51 წლის ანდრეას და 45 წლის ჰაიდრუნ ანშლაგები დააკავეს. გერმანიის კონტრდაზვერვის ინფორმაციით, ბრალდებულები 1988 წლიდან მოქმედებდნენ, ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ კი რუსეთის სპეცსამსახურების სასარგებლოდ. მათ ძირითად ინტერესს სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაცია, უპირველესად კი NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმები შეადგენდა.

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიის კონტრდაზვერვის დაეჭვება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ანდრეასი ერთ პატარა ფირმაში მუშაობდა მცირე ხელფასზე, ხოლო მისი ცოლი დიასახლისი იყო. ამის მიუხედავად, ანშლაგების ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა.

სხვა წყაროების მონაცემებით კი ანშლაგების დაჭერაში აშშ-ში ჯაშუშების დაპატიმრებამ იქონია გავლენა, რადგან ეჭვმიტანილები მუდმივ კონტაქტში იყვნენ 2010 წელს აშშ-ში დაკავებულ ანა ჩაპმანთან. თუმცა თავად ოჯახური წყვილი ყოველივე ამას უარყოფს.

მათ ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, დაკავებულები წარმოშობით ლათინური ამერიკიდან არიან, მათ ავსტრიული პასპორტები ჰქონდათ. მაგრამ ცნობილია, რომ მამაკაცი არგენტინაში დაიბადა, ქალი კი პერუში.

გერმანიის კონტრდაზვერვის მტკიცებით, ისინი ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის არალეგალური აგენტები იყვნენ, გერმანიაში დიდხანს ფარულად ცხოვრობდნენ და სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდნენ არალეგალურად მოქმედების კლასიკური სქემით.

პოლკოვნიკმა პოტეევმა თავისი კარიერა ავღანეთიდან დაიწყო, სადაც სპეცქვედანაყოფებში მსახურობდა



## გერმანია რუსეთის სპეცსამსახურების მუდმივი სამიზნეა

ყოფილ მზვერავს, დღევანდელ პრემიერ-მინისტრსა და რუსეთის მომავალ პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს გერმანიასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს — 80-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ გერმანიაში ახალგამოჩეკილი მზვერავი პუტინი

ეროვნული ბიბლიოთეკა



NATO რუსეთის საგარეო დაზვერვის ყურადღების ქვეშ ისევ რჩება

ახალგაზრდა გერმანელების გადაბირებას ცდილობდა.

წლები გავიდა და ახლა უკვე გაერთიანებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა პუტინის სამიზნე.

რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედებები მოიცავს სპეცოპერაციების ჩატარებას როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე თავად გერმანიაში.

გასულ წელს გერმანიაში ავსტრიული წარმოშობის რუსი ჯაშუში გამოავლინეს. მაშინ გერმანიის პროკურატურამ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილ ავსტრიის მოქალაქეს ბრალი ოფიციალურად წაუყენა.

გერმანიის კონტრდაზვერვის სამსახურის მონაცემების თანახმად, ავსტრიელი 1997-02 წლებში რუსეთის საგარეო დაზვერვასთან თანამშრომლობდა და მათ ერთ-ერთი გერმანული ფირმის სამხედრო და სამოქალაქო შვეულმფრენთა ახალ მოდელებზე ინფორმაცია მიაწოდა, რაშიც მას 8,3 ათასი ევრო გადაუხადეს.

მასმედიის ცნობით, ბრალდებული რუსეთის სპეცსამსახურებს იმ გერმანელ ინჟინრებთან კონტაქტის დამყარებაში ეხმარებოდა, რომლებსაც მომავალში რუსეთის დაზვერვისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლოთ.

ჯერ კიდევ 2009 წელს გერმანიის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელებმა ამგვარი მოწოდებით მიმართეს გერმანიის პოლიტელიტას, სამეცნიერო და ბიზნესის წრეებს: **„დაიცავით ახალგაზრდა პოლიტიკოსები და მეცნიერები რუსეთის დაზვერვისგან!“** ბუნდესტაგის წევრები და მათი თანაშემწეები, ახალგაზრდა პერსპექტიული პოლიტიკოსები და მეცნიერები, დამწყები ბიზნესმენები – ეს არასრული ჩამონათვალია გერმანიის საზოგადოების იმ ფენებისა, სადაც რუსეთის დაზვერვა განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს.

გერმანული მასმედიისა და ექსპერტების მტკიცებით, ნებისმიერი გერმანელი, რომელიც პირადი, საქმიანი თუ ტურისტული მიზნით რუსეთის ტერიტორიაზე მოხვდება, ფე-ეს-ბეს ოპერატიული კონტროლქვეშ აღმოჩნდება და იწყება მათი გადაბირება.

გადაბირების ძირითად მეთოდებად კვლავ კა-გე-ბეს ძველი არსენალი — შანტაჟი და ფული გამოიყენება.

არანაკლებ აქტიურობენ რუსეთის სპეცსამსახურები თავად გერმანიის ტერიტორიაზე. გერმანიის კონტრდაზვერვის მონაცემებით ამ ქვეყანაში აკრედიტებული რუსი დიპლომატებისა და ჟურნალისტების დიდი ნაწილი რეალურად რუსეთის საგარეო და სამხედრო დაზვერვების თანამშრომლები არიან. ისინი ფულს არ იშურებენ, რათა გადაიბირონ ახალგაზრდა, პერსპექტიული პოლიტიკოსები, მეცნიერები და ბიზნესმენები. რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიული დაინტერესების მთავარი ობიექტი ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური (უპირველესად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების) პროგრამები და საიდუმლო დოკუმენტებია.

## ჯაშუშების გამოვლენის რეალური მიზეზი

დავუბრუნდეთ ცოლ-ქმარ ანშლაგების საქმეს. მაინც როგორ გაშიფრა გერმანიის კონტრდაზვერვამ ჯაშუში ცოლ-ქმარი? ოფიციალურად გავრცელებული ცნობა, რომ მათზე ეჭვი ანა ჩაპმანთან ხშირი კონტაქტის გამო მიიტანეს, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია.

ანა და კიდევ ცხრა რუსი არალეგალი ჯაშუში ჯერ კიდევ 2010 წლის ზაფხულში გააძევეს აშშ-დან და რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური მაშინვე გაიყვანდა სამშვიდობოს ან „დააკონსერვებდა“ ყველა იმ აგენტს, ვინც „ჩაპმანი და კომპანიასთან“ იყო კავშირში.

რადგან ცოლ-ქმარი ანშლაგები (მართლაც უცნაური გვარია სამხრეთ ამერიკაში დაბადებულთათვის) კვლავ განაგრძობდნენ ჯაშუშურ საქმიანობას, უნდა დავასკვნათ, რომ მათ ამერიკაში მოქმედი 10 რუსი არალეგალაგენტთა ჩავარდნის შემდეგაც საფრთხე არ ემუქრებოდათ!

ამ შემთხვევაში გერმანიის კონტრდაზვერვამ დამალა ინფორმაციის ნამდვილი წყარო, რომელიც ჩვენი აზრით, 2010 წელს ამერიკაში გაქცეული რუსი პოლკოვნიკი ალექსანდრ პოტეევია.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 2011 წლის 27 ივნისს მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლომ რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის პოლკოვნიკი პოტეევი დაუსწრებლად გაასამართლა და დამნაშავედ ცნო. 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ასევე ჩამორთვა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და სახელმწიფო ჯილდოები.

პოტეევს ბრალად ედება ამერიკის დაზვერვის მხარეზე გადასვლა და აშშ-ში ფარულად მოქმედ რუსეთის არალეგალურ აგენტებზე მონაცემთა გაცემა.

საინტერესოა, რომ ამ სასამართლო პროცესზე მოწმედ წარდგა ანა ჩაპმანიც, რომელმაც პოტეევი რუსი არალეგალი ჯაშუშების დაკავებაში დაადანაშაულა. ვინ არის ალექსანდრ პოტეევი, რომელიც დღეს რუსეთში „მთავარ მოღალატედაა“ შერაცხილი? მისი მამა ნიკოლაი პოტეევი საბჭოთა კავშირის გმირი იყო. ეს კი ყოფილ საბჭოთა კავშირში დიდად ფასობდა. სავარაუდოდ, სწორედ მამის გამო ალექსანდრ პოტეევს კარიერაში სულ „მწვანე შუ-

ქი“ ჰქონდა ანთებული. ალექსანდრე სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში შევიდა, ჯერ მინსკში, შემდეგ კი მოსკოვში. სპეციალური მივლინებით იყო ავღანეთში როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცრაზმის წევრი.

ირიცხებოდა ისეთ ლეგენდარულ ქვედანაყოფებში, როგორიცაა „ზენიტი“ და „კასკადი“ და ორდენიც კი მიიღო.

კარგი მონაცემების მქონე პოტეევი კა-გე-ბეს ინსტიტუტში მიიღეს, სადაც საგარეო დაზვერვაში მუშაობისათვის მოამზადეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გაამწესეს — აშშ-ში საბჭოთა კავშირის საელჩოში.

გაქცევამდე პოლკოვნიკი პოტეევი მსახურობდა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის სპეცოპერაციების განყოფილებაში, რომელიც ერთ-ერთი გასაიდუმლოებული ქვედანაყოფია. რუსი არალეგალი მზვერავების შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ სულ რამდენიმე კაცს: ქვედანაყოფის უფროს პოტეევს, დაზვერვის ზოგიერთ ხელმძღვანელსა და მშიფრავს.

პოტეევი ლათინური ამერიკის მიმართულებით მუშაობდა და 2000-09 წლებში ხშირად სტუმრობდა სამხრეთ (12 მივლინება) და ცენტრალურ ამერიკას (9 მივლინება), ასევე დსთ-ის ქვეყნებს.

ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ მივლინებების დროს ხვდებოდა, ის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლებს.

ასე რომ, სწორედ პოლკოვნიკ პოტეევს ჰქონდა ინფორმაცია სამხრეთ ამერიკაში „დაბადებული“ რუსი არალეგალი ჯაშუშების შესახებ.

ჩვენი აზრით, ცოლ-ქმარ ანშლაგების დაკავება ერთი წლით იმიტომ გადაიდო, რომ პოტეევს მათ შესახებ მხოლოდ მინიშნებითი ცნობები ჩაუვარდა ხელთ და საჭირო იყო ვინაობის იდენტიფიცირება.

მანამდე გერმანელები აკვირდებოდნენ და ავლენდნენ რუსი ჯაშუშების ოპერატიულ კავშირებს, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ხერხებს და ა.შ.

ჯაშუშების მომენტალური დაკავებით გასცემდნენ ინფორმაციის ნამდვილ წყაროს. თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ თავად ამერიკელებმა პოტეევისგან მიღებული ინფორმაცია გვიან გადასცეს გერმანელებს. ამგვარი რამ „მეგობარი სპეცსამსახურების“ ურთიერთობაშიც კი ხდება.

რუსეთის ხელისუფლება ამაყად აცხადებს, ჩვენი მმართველობის ათი წლის განმავლობაში ნავთობის ექსპორტისგან მიღებულმა შემოსავალმა ტრილიონ დოლარს მიაღწიაო. საკითხავია, სად მიდის რუსეთის მილიარდობით ნავთობდოლარები? ძირითადად, შეიარაღებისა და ტოტალური შპიონაჟის დასაფინანსებლად.

პუტინმა აღადგინა საბჭოთა პრაქტიკა, როცა კა-გე-ბეს ყველა ქვეყანაში რეზიდენტურა და ათეულობით არალეგალი აგენტი ჰყავდა, მაგრამ დაზვერვაში მთავარი არა რიცხოვნობა, არამედ ეფექტიანობაა.

2010 წელს აშშ-დან გაძევებული 10 რუს ჯაშუშზე გაწეულმა დანახარჯმა დაახლოებით 50 მლნ დოლარი შეადგინა. თითოეულის სპეციალური სწავლება და მომზადება 1 მლნ დაჯდა, ეს 10 მლნ დოლარია.

მათი ამერიკაში ლეგალიზაცია (ოჯახის მოწყობა, „სახურავი ფირმის“ შექმნა, კოლეჯსა და უნივერსიტეტში სწავლის ხარჯები და ა.შ.) დაახლოებით 20 მლნ-ია. ათ წელიწადში ხელფასის სახით მათ დაზვერვიდან 1,5-2 მლნ დოლარი მიიღეს.

ამ ჯაშუშების დაკავებისა და ამერიკიდან გაძევების შემდეგ მათ საბანკო ანგარიშებზე არსებული და სამალავებში გადამალული თანხა, რომელიც გამოძიების ფედერალურ ბიუროს ხელში ჩაუვარდა, 10-20 მლნ დოლარად ფასდება. ასე რომ, რუსეთის ზარალმა პოტეევის ღალატის გამო 45-50 მლნ დოლარს მიაღწია.

ეს ფინანსური მხარე, მაგრამ როგორ დაითვლება ის დანაკარგი, რაც რუსეთის დაზვერვამ ოპერატიულ-ტექნიკური თვალსაზრისით განიცადა? ამერიკელები წლების მანძილზე აკვირდებოდნენ რუსი ჯაშუშების ფარული მოქმედების მეთოდებსა და ფორმებს, რადიოკავშირს, დაფინანსების წყაროებს.

პოტეევის წყალობით აშშ-ის სპეცსამსახურებმა გაშიფრეს ფინანსირების სქემები ისევე, როგორც მათი კავშირის წყაროები და ფარული შეხვედრის ადგილები.

ასე რომ, მარცხი მარცხს მოსდევს და რუსეთის ხელისუფლებას თავისი საგარეო დაზვერვის სამსახურის მიღწევებით საქმე სატრაბახოდ ნამდვილად არა აქვს.

***ბესიკ ალადაშვილი***

***ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი***



საგარეო დაზვერვის ყოფილი ოფიცრები ძველ დროს ნოსტალგიით იხსენებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინფორმაციული ომი, ანუ როგორ იქმნება მტრის ხატი




2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომს მესამე წელია რუსეთ-საქართველოს არანაკლებ მწვავე საინფორმაციო დაპირისპირება აგრძელებს.

ინფორმაციული ომი ჩვეულებრივი საბრძოლო მოქმედებებისგან ფორმა-შინაარსით სრულიად განსხვავებულია და რაც მთავარია, უსისხლოდ მიმდინარეობს, თუმცა მისი მიზანი მრავლისმომცველი და ადამიანთა აზროვნებაში მტყუან-მართლის თუ მტერ-მოყვარის სახის შექმნის სურვილია.

ამ ომში ორივე მხარე აქტიურად იყენებს ელექტრონულ და ბეჭდვით მედიასაშუალებებს, ლიტერატურულ და დოკუმენტურ ნაწარმოებებს, კინემატოგრაფს, სხვადასხვა სახის კვლევებს და ა.შ.

რუსული უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა საქართველოს ღირსების შელახვასა და დისკრედიტაციაზე სრული დატვირთვით მუშაობს და მისი სამოქმედო სივრცე რუსეთის საზღვრებს კარგა ხანია გასცდა და ანტიქართული განწყობის შექმნას ახლა სხვა ქვეყნებში ცდილობს.

ცოტა ხნის წინ თურქეთში დაიბეჭდა და თურქულ ენაზე გამოვიდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე წიგნი, რომლის ქართული დასახელება ასეთია — „სამხრეთ ოსეთი. გენოციდი“.

წიგნის ავტორია ფატიჰ ტვანბა და მასში თავმოყრილია 2008 წლის ომთან დაკავშირებული რუსული, თურქული და აფხაზური საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული მასალები, აგრეთვე თურქეთში მოქმედი კავკასიური კლუბების განცხადებები.

2008 წლის მოვლენათა ტენდენციური გაშუქება ახალი ამბავი არ არის.

ხუთდღიან ომზე რუსეთში დაბეჭდილ გამოცემათა უმრავლესობა აქცენტს საქართველოზე აკეთებს, ხოლო მეორე მხარესთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს მიზანმიმართულად გვერდს უვლის და· თან ცდილობენ, რაც შეიძლება „დაჩაგრულად“ წარმოადგინონ.

შეძლებისდაგვარად მოხერხდა რამდენიმე წიგნისა და კვლევის გაცნობა. მათ შორისაა სტატიების კრებული — Танки августа, ორჰან ჯემალის Война. Хроника пяти дней, სერგეი ვორონცოვის Осетия в огне, კრებული — Война в южной Осетии, სტატიების კრებული — День катастрофы-888 და კიდევ მრავალი სხვა.

პრაქტიკულად ყველა გამოცემა რამდენიმე საკითხზე ერთსა და იმავე პოზიციას გამოხატავს:

— ყველგან ლაპარაკია ე. წ. რეგიონზე სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, მაგრამ შეგნებულად გვერდი აქვს ავლილი იმ ჭეშმარიტებას, რომ ორივე რეგიონი საქართველოს შემადგენელი ნაწილია. რუსი მკითხველისთვის კი ე. წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რაღაც ქვეყნებად არის წარმოდგენილი, რომლებსაც საქართველოსთან საერთო მხოლოდ საზღვარი აქვს და სხვა არაფერი;

— მხარეთა სამხედრო ბალანსის შეფასებისას რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ნაწილია განხილული, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ ომში რუსებმა გამოიყენეს შავი ზღვის ფლოტი, ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში დისლოცირებული საჰაერო-სადესანტო ჯარების ქვედანაყოფები, შორეული აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ბაზებიდან ბომბდამშენი ავიაცია, ანუ პრაქტიკულად, რუსეთის მთელი სამხედრო მექანიზმი თავისი უზარმაზარი რესურსებით საქართველოსთან ომზე იყო მობილიზებული.

აქვე აღსანიშნავია ერთი მომენტი — 2008 წელს რუსეთის არმია მილიონ 200 ათას სამხედროს ითვლიდა და მის განკარგულებაში დაახლოებით 25 ათასი ტანკი, 26 ათასზე მეტი საარტილერიო სისტემა და 4 ათასზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი (მათ შორის — 2 ათასამდე ტაქტიკური დანიშნულების მოიერიშე, ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი) იყო. ამ ძალების უკან იდგა 4 ფლოტი, 1 ფლოტილია, ბირთვულ-რაკეტული შეიარაღება და კიდევ ბევრი სხვა რამ.

— ავტორთა უმრავლესობა თავს არიდებს რუსული სამხედრო პოტენციალის სრულად წარმოდგენას და ცდილობენ, საქართველოსა და რუსეთის არმიათა შესაძლებლობები ერთ სიბრტყეში მოაქციონ, ანუ ომი თანაბარი შესაძლებლობების მქონე ორ არმიას შორის განიხილონ.

საქართველოს შესაძლებლობათა შეფასებისას მუდმივად აღინიშნება, რომ ომისთვის ქართული ქვედანაყოფები ამერიკელმა და NATO-ს წევრი ქვეყნების ინსტრუქტორებმა მოამზადეს.

იქვე ხაზგასმულია, რომ ამერიკელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა (დასახელებულია ციფრი — 30) მიიღეს და ქართულ ქვედანაყოფებსაც ხელმძღვანელობდნენ.

კონფლიქტის ზონაში მყოფი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დამკვირვებლებიც უყურადღებოდ არ დარჩენილან და მათ ქართული მხარისთვის ე.წ. სამშვიდობო ძალებისა და ოს მოლაშქრეთა (რეალურად კი რეგულარული არმიის ფორმირებები იყო) პოზიციათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში ადანაშაულებენ.

მთლიანობაში 2008 წლის აგვისტოს მოვლენები წარმოდგენილია, როგორც დასავლეთის ყაიდაზე მომზადებულ ქართულ არმიასა (ავტორთა ერთი ნაწილი ასე აღიქვამს საქართველოს არმიას) და რუსული სამხედრო სკოლას შორის მომხდარ ომად, სადაც ამ უკანასკნელმა თავისი სიძლიერე ისევ დაამტკიცა და გაიმარჯვა;

— მკითხველს დაწვრილებით მიეწოდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ, როდის და რა რაოდენობის იარაღი მიჰყიდა ან გადასცა საქართველოს ომისწინა პერიოდში.

სამაგიეროდ გვერდი აქვს ავლილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ფორმირებების განკარგულებაში არსებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის წარმომავლობას, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავია: 15 ტანკი Т-72 და Т-55, 22 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП, 24 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 და БТР-80, 12 თვითმავალი ჰაუბიცა 2С1 Гвоздика და ამდენივე 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა 2С3 Акация, 4 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Оса, 6 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი, 4 შვეულმფრენი Ми-8 და ა.შ. ეს მაჩვენებლები ერთ-ერთ რუსულ გამოცემაშია მოყვანილი.

ასევე გაურკვეველია, თუ როგორ მოახერხა ე.წ. სამხრეთ ოსეთმა 2002 წლიდან თავდაცვისთვის საჭირო შეიარაღებისა და ტექნიკის შესასყიდი თანხების გამოყოფა, თუ ცხინვალის რეგიონში პრაქტიკულად არაფერი მუშაობს და ბიუჯეტის ფორმირება რუსეთიდან მიღებული ფულით ხდება;

— კონფლიქტურ რეგიონში, სადაც ე. წ. სამშვიდობო ძალები იყო განლაგებული, ცხინვალის ხელისუფლება წლების განმავლობაში სრულფასოვან სამხედრო სტრუქტურას აყალიბებდა და თან მისი აღჭურვა რუსეთიდან შემოტანილი მძიმე ჯავშანტექნიკით მიმდინარეობდა.

ე. წ. სამშვიდობო ძალებს ეს არ უნდა დაეშვათ, მაგრამ პირიქით, ისინი სეპარატისტებთან ერთად მოქმედებდნენ.

ე.წ. ჩრდილოოსურ სამშვიდობო ბატალიონ „ალანიაში“ სამსახურს ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა გადიოდა და შემდგომში ისინი სამსახურს ადგილობრივ უკანონო ფორმირებებში განაგრძობდნენ.

1992 წლის 24 ივნისის დაგომისის შეთანხმების გვერდის ავლითა და ე.წ. სამშვიდობო ძალების ზურგს უკან ცხინვალის ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად გამართული და მძიმე შეიარაღებით

**2008 წლის აგვისტოს რუსული სარაკეტო დარტყმები:**











Постановочное фото грузина Георгия Абдаладзе. Здесь и не спец разглядит туфту.

ეს ფოტო ამოღებულია რუსი ისტორიკოსის ალექსანდრე შიროკორადის წიგნიდან და მისი კომენტარი დეზინფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია...

ჟურნალმა Зарубежное Военное Обозрением-მ 2009 წლის აგვისტოს ნომერში ცხინვალის დაბომბვის ამსახველ კოლაჟში გორის დაბომბვის ფოტოები გამოიყენა



ალჭურვილი დაახლოებით 4,5-ათასიანი სამხედრო სტრუქტურის ჩამოყალიბება შეძლო.

რა თქმა უნდა, ესეც ავტორთა ყურადღების მიღმა რჩება;

— მუდმივად ლაპარაკია მძინარე ცხინვალის დაბომბვაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი ქართული სოფლების მასირებულ დაბომბვაზე, რომელსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლება კონფლიქტის საესკალაციოდ მიზანმიმართულად და რეგულარულად აწყობდა იმ მძიმე შეიარაღებით, რომელიც რუსეთიდან იყო შემოტანილი და წესით და რიგით, ე. წ. სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში არ უნდა დაეშვათ;

— ასევე არაფერი იწერება ხუთდღიან ომში ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტების გამოყენებაზე, რომ სარაკეტო დარტყმების ობიექტი იყო საბრძოლო მოქმედებათა რაიონიდან 200 კმ-ით დაშორებული ფოთი (ჩამოვარდა სამი Точка-У) და დაახლოებით 120 კმ-ით დაშორებული ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მონაკვეთი (ჩამოვარდა Искандер-М).

კასეტური ელემენტებით დატენილი ამ ტიპის რაკეტები ბევრად მეტი ინტესივობით ცხინვალის რეგიონიდან დაახლოებით 40-60 კმ-ის რადიუსში მდებარე გორის, ონის რაიონისა და ზოგიერთი ქართული სოფლის დასაბომბად გამოიყენეს, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მოჰყვა;

როცა პოზიციათა გამყარებისთვის რუს ავტორებს არგუმენტები აღარ ჰყოფნით, მაშინ ფაქტების დამახინჯებაზე გადადიან და მასზე ქართველი თუ უცხოელი ფოტოჟურნალისტების გადაღებული ფოტოების მორგებას ცდილობენ.

ერთ შემთხვევაში არასასურველი ფოტოების წარმომავლობაში ეჭვი შეაქვთ და მას გაყალბებულს უწოდებენ, ხოლო მეორეში კი ფოტოებს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ და ეს განსაკუთრებით გორის დაბომბვის ამსახველ კადრებს შეეხება, რომელიც არაერთგზის ცხინვალად იქნა გასაღებული.

აგვისტოს ომის სასურველი კუთხით წარმოდგენას მოსკოვი მომავალში ისევ გააგრძელებს და ამისთვის ინფორმაციული ომის სხვა საშუალებებსაც გამოიყენებს.

საქართველოს თემა რუსეთისთვის აქტუალურია და ის ყურადღების ცენტრში იმ დრომდე იქნება, ვიდრე აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები არ დასრულდება.

**თემურ ჩაჩანიძე**



„აბუ საიაფის“ ამჟამინდელი ლიდერი ხადაფი ჯანჯალანი

# „აბუ საიაფი“

## ფილიპინელ ისლამისტთა გაერთიანება

„აბუ საიაფი“ (არაბულად — „მახვილოსნები“) სამხრეთ ფილიპინებზე, ინდონეზიასა და მალაიზიაში მოქმედი ისლამურ-ფუნდამენტალისტური დაჯგუფება, რომელიც ასევე ცნობილია სახელწოდებით „ალ-ჰარაქათ ალ-ისლამიია“ — „ისლამური მოძრაობა“.

„აბუ საიაფის“ აქტივისტები სამხრეთ ფილიპინებზე ირანის მსგავსი ისლამური სახელმწიფოს — ბანგსამოროს შესაქმნელად იბრძვიან და ფილიპინების სამთავრობო ძალებს უკვე 30 წელზე მეტია, წინააღმდეგობას უწევენ.

ტერორისტებად ისინი 1997 წელს აღიარეს, რადგანაც „აბუ საიაფმა“ სწორედ მაშინ ჩაატარა უმაგალითო აქცია — გაიტაცა 60-მდე არასრულწლოვანი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ კი ფილიპინების მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა: არმიას 48 საათში უნდა დაეტოვებინა ჯოლოს, ბასილანისა და მინდანაოს კუნძულები, რომელთა მოსახლეობა მუსლიმანია და რწმენის გარდა, ფილიპინელებისაგან კანის ფერითაც განსხვავდება — შავკანიანები არიან.

„აბუ საიაფის“ გასანადგურებლად ოფიციალურმა მანილამ რამდენჯერმე ჩაატარა მასშტაბური ანტიტერორისტული სპეცოპერაცია, მაგრამ ორგანიზაცია კვლავ არსებობს. ამერიკული მასმედიის ცნობით, ფილიპინელ ისლამისტებს მალაიზიელი და ინდონეზიელი თანამოაზრეები ეხმარებიან.

### ხადაფი და აბდურაჯიქ ჯანჯალანები და „ისლამური ბანგსამოროს“ იდეა

ფილიპინებზე ისლამი კათოლიკობაზე ბევრად ადრე — XIII საუკუნეში, ინდოეთიდან და ინდონეზიიდან გავრცელდა. ასე რომ, როცა ესპანეთის მეფის ფლოტის მეთაურმა და ცნობილმა პორტუგალიელმა ზღვაოსანმა ფერნანდო მაგელანმა ეს კუნძულები პირველად იხილა, მოსახლეობის დიდი ნაწილი იქ მუსლიმანი იყო. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ესპანელების ზეწოლით ფილიპინელების უმეტესობამ კათოლიკობა მიიღო.

ისლამი გადარჩა იქ, სადაც დამპყრობლებმა კარგა ხანს ვერ შეაღწიეს, კუნძულ მინდანაოზე, სადაც შავკანიანი ტომები სახლობდნენ. ესპანელებმა ისინი რწმენითაც და გარეგნობითაც აფრიკელ არაბებს მიამსგავსეს და „მოროს“ — „მავრები“ უწოდეს. ეს სახელწოდება ამ ხალხს იმ დროსაც შერჩა, როცა XX საუკუნის დასაწყისში ფილიპინებზე ესპანელები ამერიკელებმა შეცვალეს და მთელი ქვეყანა თავიანთ სამფლობელოდ აქციეს. მუსლიმანი მოროები მაშინ ახალჩამოყალიბებული ფილიპინის რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდნენ.

მოგვიანებით ამერიკელებმა ფილიპინებს დამოუკიდებლობა აჩუქეს და ქვეყნის სათავეში კათოლიკური უმრავლესობის წარმომადგენლები მოექცნენ. მათ არაქრისტიან ფილიპინელებს უფლებები შეუზღუდეს — 1965 წელს, ქალაქ კესონ-სიტიში (ამჟამინდელი მანილა) მთავრობის მესვეურებმა ფილიპინების ტომების ბელადებსა და რელიგიურ ლიდერებს გამოუცხადეს, რომ ამერიკელებისა და ესპანელების მიერ მათთვის მინიჭებული ყველა უფლება უქმდებოდა და ქვეყანაც უნიტარულ რესპუბლიკად ცხადდებოდა.

არაკათოლიკური უმცირესობების უფლებების შეზღუდვას 1966 წელს კუნ-

ფილიპინელი ისლამისტების თეთრკანიანი მძევლები



ეროვნული ბიბლიოთეკა



„აბუ საიაფის" აქტივისტები და აბდურაჯიქ ჯანჯალანი

ძულ მინდანაოზე მუსლიმანების გრანდიოზული აჯანყება მოჰყვა; მცირე ხნით ხელისუფლებასაც დაეუფლნენ, მაგრამ ფილიპინების არმიამ და პოლიციამ მათი გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

XX საუკუნის 70-იან წლებში თითქოს ყველაფერი მოგვარდა, ოფიციალურმა მანილამ მინდანაოელ მუსლიმანებს ნება დართო, მეჩეთები აეშენებინათ, მექა მოელოცათ და სხვა ადათებიც ისე დაეცვათ, როგორც ყურანი ავალებდათ. ოღონდ სასულიერო პირები, როგორც წესი, მთავრობასთან დასტურით უნდა დანიშნულიყვნენ.

რაღა თქმა უნდა, მუსლიმანთა იმ ნაწილმა, რომელიც იქამდეც ფილიპინებისაგან მინდანაოს გამოყოფას უჭერდა მხარს, ეს კომპრომისი არ მიიღო და ქვეყანა დატოვა, მეზობელ მალაიზიასა და ინდონეზიაში გადასახლდა.

მალაიზიაში გადასახლებული მუსლიმანი ფილიპინელების — ხადიჯა და მუჰამმად ჯანჯალანების ოჯახში 1969 წელს ტყუპი ბიჭი დაიბადა: ერთს ხადაფი დაარქვეს, მეორეს კი აბდურაჯიქი. ძმები საზღვარგარეთ 10 წლის განმავლობაში იზრდებოდნენ, მერე კი მათ მშობლებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს.

იმხანად ხადაფიც და აბდურაჯიქიც საუდის არაბეთის ერთ-ერთ ისლამურ უნივერსიტეტში სწავლობდნენ და სწავლის დასრულების შემდგომ მალაიზიაში, ცხადია, აღარ დაბრუნებულან. ორივე მშობლიურ სამბოანგაში (მინდანაოს ყველაზე დიდი ქალაქი) დამკვიდრდა. იქ მათ არალეგალური მედრესე (ისლამური უმაღლესი სკოლა) დააარსეს და ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობის — ვაჰაბიზმის ქადაგება დაიწყეს.

1989 წელს, როდესაც საბჭოთა არმია ავღანეთიდან კუდამოძუებული გამოდიოდა, ფილიპინელმა მუსლიმანებმა კიდევ ერთხელ სცადეს ამბოხება, მაგრამ ყველაფერი ისევ უშედეგოდ დასრულდა — ფილიპინურმა არმიამ მეამბოხეებს ხელისუფლების ხელში აღების საშუალება არ მისცა, მაგრამ იარაღიც ვერ დააყრევინა: მუსლიმანებმა კუნძულ მინდანაოს ჯუნგლებს შეაფარეს თავი და საომარი მოქმედებებიც შეწყვიტეს. მათი მეთაურები — აბუ საბაია და ძმები ჯანჯალანები ხელისუფლებას არ დანებებიან, მაგრამ არც ძებნილებად გამოუცხადებიათ, რადგან სამივენი ჯუნგლებში იყვნენ, ოფიციალურმა მანილამ თვალი დახუჭა.

XX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ცნობილი გახდა, რომ მინდანაოსა და მისი მიმდებარე რამდენიმე სხვა კუნძულის ჯუნგლებში მყოფი მუსლიმანი მეამბოხეები ოსამა ბინ ლადენისა და მისი „ალ-ქაიდას" მოკავშირენი იყვნენ.

1996 წლის სექტემბერში სამბოანგას ნახევარკუნძულის ქალაქ მაკატიში აბურაჯიქ ჯანჯალანიმ რამდენიმეჯერ გაავრცელა ისლამური სამართლებრივი დადგენილება — „ფეთვა" იმის შესახებ, რომ მოროს ეროვნების მუსლიმანებს „ალაჰის სადიდებლად" ებრძოლათ ფილიპინებისაგან გამოყოფისა და ბანგსამოროს ისლამური რესპუბლიკის შექმნისათვის. სწორედ მაშინვე გაჩნდა დასახელება: „აბუ საიაფ ნანგ ბანგსამორო" — „ბანგსამოროს მახვილოსნები"; შემდგომში კი ამ სახელისგან მხოლოდ „აბუ საიაფი" დარჩა.

1997 წელს, როგორც უკვე ითქვა, „აბუ საიაფმა" პირველი მნიშვნელოვანი აქცია ჩაატარა, მისმა აქტივისტებმა სამბოანგას ერთ-ერთი კათოლიკური სკოლიდან 60-მდე არასრულწლოვანი გაიტაცეს და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ მანილას ულტიმატუმი წაუყენეს. პარალელურად, ფილიპინების რამდენიმე დიდ ქალაქში თითქმის ერთდროულად მოხდა ტერაქტები, რომლებზეც პასუხისმგებლობა ძმებმა ჯანჯალანებმა აიღეს. საპასუხოდ, გაერომ „აბუ საიაფი" ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა.

## „აბუ საიაფის" სტრუქტურა, ტაქტიკა და იდეოლოგია

„აბუ საიაფი" ბინ ლადენის შექმნილი „ალ-ქაიდას" ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლება. მას სათავეში უდგას ამირა, რომლის ხელში მთელი ძალაუფლებაა მოქცეული. როგორც წესი, ამირა ანგარიშვალდებულია „ალ-ქაიდას" უმაღლესი ლიდერის წინაშე, ხოლო დაჯგუფებას ისლამურ საბჭოსთან ერთად მართავს. ისლამურ საბჭოში შედიან პარტიზანულ რაზმთა (ე.წ. „კატაიბების") მეთაურები — რაისები. ერთი შეხედვით, „აბუ საიაფის" სტრუქტურა, სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან შედარებით, რთული არაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას მრავალი წევრი ჰყავს. ამერიკული მასმედიის ცნობებით, მარტო მინდანაოს ჯუნგლებში ბაზირებულია 50-მდე კატაიბი. ისინი ერთიანდებიან ფრონტებად და ზონებად, თუმცა ასეთი გაერთიანებები პირობითია, რადგან „აბუ საიაფის" სტრუქტურული ერთეულები ფართო ავტონომიით სარგებლობენ.

ფილიპინელ ისლამისტთა ბრძოლის ტაქტიკა ტიპური პარტიზანულია, მაგრამ ისინი მასშტაბურ შეიარაღებულ დაპირისპირებას თავს არ არიდებენ. ფილიპინების სამხრეთი ნაწილის ჯუნგლები იმდენად მიუვალია, რომ მძიმე ტექნიკის შეყვანას აზრიც არა აქვს, უამისოდ კი ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება შეუძლებელია.

ფილიპინური და ამერიკული მასმედიის ცნობებით, „აბუ საიაფს" არც თანამედროვე შეიარაღება აკლია და არც ამუნიცია; მისი მებრძოლები ბევრს იგებენ იმითაც, რომ ჯუნგლებს იშვიათად




ფილიპინელი ძალოსანი პრესკონფერენციაზე, მოკლული „აბუსაიაფელის“ ფოტოთი

ტოვებენ და მტერს აიძულებენ, საბრძოლველად იქ შევიდეს. მუსლიმანობისა და ვაჰაბიტობის მიუხედავად, „აბუ საიაფის“ მებრძოლთა შორის დიდად პოპულარულია გასულ საუკუნეში დაწერილი ერნესტო „ჩე“ გევარას პარტიზანული ომის სახელმძღვანელო.

„აბუ საიაფი“ როგორც ზემოთ ითქვა, ვაჰაბიტურია და ფილიპინების სამხრეთში დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძვის. აქედან გამომდინარე, მის ყველა წევრს მკაცრად მოეთხოვება შარიათის დოგმების დაცვა და საღვთო ომში — ჯიჰადში მონაწილეობა.

საზოგადოდ, „აბუ საიაფის“ აქტივისტები განუხრელად უნდა დაემორჩილონ „ალ-ქაიდას“ უმაღლესი ლიდერის ბრძანებებს, თუნდაც მათ არ ეთანხმებოდნენ. დაუშვებელია ასევე არაისლამურ რიტუალებში მონაწილეობა, — ფილიპინები მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური ქვეყანაა და სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე პირები იქ ხშირად მონაწილეობენ ერთმანეთის რელიგიურ რიტუალებში.

2002 წლის შემდეგ (ამ წელს ფილიპინების არმიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა „აბუ საიაფს“), ფილიპინელ ისლამისტ-ფუნდამენტალისტთა პოზიციები მთელ მინდანაოზე შეირყა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორგანიზაციამ არსებობა უკვე შეწყვიტა — ბოლო ტერაქტი „აბუ საიაფმა“ მანილაში 2009 წლის დეკემბერში მოაწყო და დაჭრილ-დაღუპულთა სახით ოთხ ათეულამდე კაცი იმსხვერპლა.

## პოლიტიკური მხარდამჭერები, დაფინანსების წყაროები და პროპაგანდის საშუალებები

„აბუ საიაფის“ უპირველესი პოლიტიკური მხარდამჭერი „ფილიპინების ისლამური მოძრაობის პარტიაა“ („პარტიდო ნანგ ჰარაკატ ისლამი ნანგ პილიპინო“). 1990 წლიდან ის ნახევრად ლეგალურად მოქმედებს და შარშან პარლამენტშიც კი სცადა მოხვედრა. ანალოგიური დასახელებით — „ჰარაქათ ალ-ისლამიია“ — ხშირად თავად „აბუ საიაფსაც“ იხსენიებენ, რითაც მიუთითებენ, რომ პოლიტიკური პარტია და ტერორისტული დაჯგუფება ერთ საქმეს აკეთებენ.

ფილიპინელ ისლამისტებს მხარს უჭერენ ასევე ინდონეზიური პარტია „ინდონეზიის ისლამური ლიგა“ და მალაიზიური „მუსლიმ მემარჯვენეთა კავშირი“. ეს უკანასკნელი მალაიზიის პოპულარული რადიკალური პარტიაა, რომლის მესვეურებს საკმაოდ დიდი კაპიტალი აქვთ და შესაბამისად, კუალა-ლუმპურის პოლიტიკურ წრეებში დიდი გავლენით სარგებლობენ.

ამერიკული მასმედიის ცნობით, გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ მანილამ 2002 წელს „აბუ საიაფის“ განადგურებისაგან თავი შეიკავა, — მაშინ მალაიზიიდან ისლამისტებმა მწვავე განცხადებები გააკეთეს და მანილამაც დროზე შეწყვიტა სპეცოპერაცია. მალაიზიელები ფილიპინების ხელისუფლებას მუსლიმანთა შევიწროებაში დღესაც ადანაშაულებენ.

„აბუ საიაფის“ დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო ნარკობიზნესია. მართალია, ფილიპინების ჯუნგლებში არც კანაფი ხარობს, არც ყაყაჩო და არც კოკა, მაგრამ სამაგიეროდ აქ ბლომადაა ისეთი მცენარეები, რომელთა ნაყოფის, ფესვების ან წვენის გადამუშავების შედეგად კოკაინის მსგავსი ნარკოტიკული ნივთიერება მიიღება. ის აზიის ქვეყნებში „ბჰანგის“ სახელითაა ცნობილი და დიდად ეტანებიან ჩინეთში. ასე რომ, „აბუ საიაფს“, რომელიც „ბჰანგის“ დამამზადებელ ცენტრებს აკონტროლებს, დღეს სავსებით აკმაყოფილებს მხოლოდ ჩინეთის ბაზარიც კი. ამერიკის ტერორიზმის კვლევის ცენტრის ხელთ არსებული ცნობებით, „აბუ საიაფს“ ხელის დამცლელნი ჰონკონგსა და მაკაოში ჰყავს და საკუთარ პროდუქციას წარმატებითაც ასაღებინებს.

პროპაგანდის საშუალებებს რაც შეეხება: „აბუ საიაფი“, როგორც სხვა ვაჰაბიტები, ტელევიზიას ეშმაკის მოგონილად კი მიიჩნევს, მაგრამ ამირი ხადაფი ჯანჯალანი მაინც სიამოვნებით პოზირებს ხოლმე ვიდეოკამერების წინ. „აბუ საიაფის“ წევრები ვიდეომიმართვებს უგზავნიან ფილიპინების სხვადასხვა ტელეარხს; თუ ეს უკანასკნელნი მიღებულ „საჩუქარს“ საინფორმაციო გამოშვებაში მაინც არ გამოაქვეყნებენ, ტერაქტის მსხვერპლად იქცევიან. ასეთი ტერაქტი 2010 წლის 3 იანვარს, ტელეკომპანია „ლუსონ ტვ“-ს მოუწყვეს.

ფილიპინელ ისლამისტებს ეკუთვნით ასევე რადიოარხი „აშ-შარია“ („შარიათი“) და იმავე სახელწოდების გაზეთი, რომელთა რედაქციები, სავარაუდოდ, მალაიზიაშია.

მიხეილ ლაბაძე



„აბუ საიაფის“ აქტივისტები

არსენალი




# Westland Lynx

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსული ჯავშანტექნიკა

## რაკეტული ტანკები, თვითმავალი არტილერია და სხვა ტექნიკა

საბჭოთა ტანკმშენებლობაში ტანკების რაკეტული შეიარაღებით აღჭურვის იდეამ ხორცი შეისხა. მეორე მსოფლიო ომამდე დაწყებული საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაო გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს განახლდა.

დიდი იყო სურვილი, ტანკებს ჩვეულებრივ ჭურვებთან ერთად მართვადი და უმართავი რაკეტებითაც სროლა შესძლებოდათ, ამიტომ მუშაობა რამდენიმე მიმართულებით დაიწყო:

პირველი — ტანკებისთვის დამხმარე საშუალებად უკვე არსებული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების გამოყენება სცადეს;

მეორე — განიხილებოდა სპეციალური ტანკების პროექტები, რომლებიც მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი ან უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარით იქნებოდნენ აღჭურვილი;

მესამე მიმართულება ტანკებისა და სხვა დაჯავშნული ტექნიკისთვის სპეციალურად შექმნილ მართვად და უმართავ კომპლექსებზე იყო ორიენტირებული;

ტანკების (Т-54, Т-55, Т-62, ПТ-76 და სხვ.) კოშკურებზე დაყენებულმა Малютка-სა და Овод-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადმა რაკეტებმა (2-5 გამშვები-მიმმართველი) ნაყოფი არ გამოიღო — ტანკიდან რაკეტების დამიზნებით სროლა რთული აღმოჩნდა, ხოლო კოშკურაზე დამაგრებული რაკეტები მოწინააღმდეგისთვის კარგი სამიზნე იყო.

ავღანეთის ომის დროს ამ სქემას ისევ მიუბრუნდნენ და Т-62-ზე დამატებით საცეცხლე საშუალებად УБ-32 ტიპის 1-3 ბლოკს უმატებდნენ, რომლის ცეცხლითაც დუშმანთა არაერთი შეტევის მოგერიება მოხერხდა.

დიდი საპროექტო სამუშაო ჩატარდა მეორე მიმართულებით და 1960-65 წლებში რამდენიმე საცდელი ობიექტი სპეციალურად ამისთვის შექმნილ სარაკეტო კომპლექსებთან ერთად გამოიცადა.

იმავდროულად, სერიულ Т-55-სა და Т-62-ზე საცდელად ქვემეხის მაგივრად რაკეტების გამშვები დანადგარი დაიდგა. კონსტრუქტორთა აზრით, ეს გააადვილებდა შეიარაღების გამოყენებას, ეკიპაჟს შეამცირებდა და მასა-გაბარიტულ მახასიათებლებსაც გააუმჯობესებდა.

ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ, 1968 წელს, საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში Дракон-ის ტიპის მართვადი რაკეტებით აღჭურვილი და Т-62Б-ს ბაზაზე აწყობილი ტანკების გამანადგურებელი ИТ-1 მიიღო.

ИТ-1-ებით ორი ბატალიონი აღიჭურვა, მაგრამ ექსპლუატაციისას იმდენად ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა (კონსტრუქციის დიდი მასა-გაბარიტები, მოძველებული ელემენტარული ბაზა, ქვემეხის უქონლობა და სხვ.), რომ 1970 წელს შეიარაღებიდან მოიხსნა.

მესამე მიმართულება უფრო რეალური აღმოჩნდა და სპეციალურად სატანკო გასროლებისთვის შექმნილი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები (Гюрза და Кобра) 1976 წლიდან Т-64Б-სა და Т-80Б-ის საბრძოლო კომპლექტში შევიდა.

ორივე კომპლექსი ახლა მოძველებულია და მისი ადგილი თანამედროვე საშუალებებმა დაიკავეს. მათ შორისაა Рефлекс-М-ი, რომლითაც აღჭურვილია ბოლო რუსული ტანკი Т-90.

„რეფლექსს“ ლაზერული, ნახევრად ავტომატურ რეჟიმში მომუშავე დამიზნების სისტემა აქვს და 70 კმ/სთ სიჩქარით მოძრავ მიზანს 100 მ-დან 5 კმ-მდე დიაპაზონში მაღალი ალბათობით ანადგურებს.

მეორე მსოფლიო ომში წითელი არმია მექანიზაციით სხვა ქვეყნების არმიებს ჩამორჩებოდა, რის გამოც წინა ხაზზე ქვემეხების, ჭურვებისა და საარტილერიო გათვლების უსაფრთხო ტრანსპორტირება ჭირდა.

ომის შემდგომ ამ პრობლემის დასაძლევად მუშაობა დაიწყო ნახევრად დაჯავშნული, პატარა, საშუალო და დიდი გამწევების პროექტირებაზე.

1952 წელს ქალაქ მიტიშჩის მანქანათმშენებელმა ქარხანამ საგამოცდოდ ნახევრად დაჯავშნული გამწე АТ-П გამოიყვანა.

მცირეგაბარიტიანი, სწრაფი და მანევრული АТ-П-ს დანიშნულება მოწინავე



ИТ-1: მასა — 34,5 ტ, ეკიპაჟი – 3 კაცი, ჯავშანი — 80-206 მმ, დიზელის ძრავა — 580ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 50 კმ./სთ-ში, სვლის მარაგი — 470 კმ, შეიარაღება — 15 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა 2К4 Дракон-ი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი




AT-П: მასა — 5,53 ტ, ეკიპაჟი – 3 კაცი, დესანტი — 6 კაცი ჯავშანი — ტყვიამდეგი, კარბურატორიანი ძრავა — 117ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 53 კმ./სთ-ში, სვლის მარაგი — 250-315 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



AT-C: მასა — 12 ტ, ტვირთამწეობა — 3 ტ, გასაწევი ტვირთის მასა — 8-14 ტ, დიზელის ძრავა — 275 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 35,5 კმ./სთ-ში, სვლის მარაგი — 210 კმ

ხაზზე მცირეკალიბრიანი ტანკსაწინააღმდეგო, სადივიზიონო და საზენიტო-საარტილერიო სისტემებისა და მძიმე ნაღმსატყორცნების ტრანსპორტირება იყო.

გამწე იმდენად პატარა იყო, რომ გასაზიდი ჭურვების ყუთები კორპუსზე გარედან მაგრდებოდა და, ძირითადად, 100 მმ-იანი საველე ქვემეხებისა და მისი მომსახურე გათვლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდა.

აწყობილ მსუბუქ გამწეს AT-Л-ს კი 8 ტ ტვირთის (6 ტ-ის ბუქსირებით და 2 ტ-ის პლატფორმით) ტრანსპორტირება შეეძლო.

გამწის შუა ნაწილში, იატაკის ქვეშ დაყენებული ჯალამბარი 6,5 ტ ძალას ავითარებდა, რაც დასაშვები მასის ქვემეხების გამოსაქაჩად და ნებისმიერ პირობებში გამწის თვითამოყვანისთვის საკმარისი იყო.

ძნელად მისადგომ ადგილებში მომსახურე პერსონალთან ერთად 14 ტ-მდე მასის საარტილერიო სისტემებისა და ჭურვების ტრანსპორტირებისთვის საშუალო გამწე AT-C შეიქმნა.

გამწეს კარგი საექსპლუატაციო მახასიათებლები ჰქონდა და შემდგომში მასზე 240 მმ-იანი ზალპური სისტემის БМ-24-ის 12 გამშვები მილი დადგეს.

AT-C-ის ნაკლი სატვირთო პლატფორმის ქვეშ მოთავსებული გადაცემათა კოლოფისა და მოხვევის მექანიზმის გართულებული მართვა-მომსახურება იყო. ამასთან, ძრავის ხმაური, ვიბრაცია და ნამწვი აირები კაბინაში აღწევდა და ეკიპაჟს მუშაობის მძიმე პირობებს უქმნიდა.

მოდერნიზებული ATC-59-ის ხარვეზები გამოსწორდა, მაგრამ ორადგილიანი კაბინა ვიწრო გამოდგა, ხოლო ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატში ღია პლატფორმით საარტილერიო გათვლების გადაყვანა ჯარისკაცებისგან ჯოჯოხეთურ გამძლეობას მოითხოვდა.

მომდევნო ATC-59Г-ზე კაბინა გადიდდა, 7 კაცს იტევდა და დათბუნვის სისტემის დაყენებაც მოხერხდა.

1947 წელს დაიწყო T-54 ტიპის ტანკის საფუძველზე შექმნილი მძიმე საარტილერიო გამწე AT-T-ის წარმოება, რომლის დანიშნულება დიდი და განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



MT-ЛБ: მასა — 9,7 ტ, ტვირთამწეობა — 2 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 8 კაცი, ჯავშანი — 14 მმ, დიზელის ძრავა — 240ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 61,5 კმ./სთ-ში, ცურვის სიჩქარე — 5-6 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 500 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

კუთრებით დიდი სიმძლავრის საარტილერიო სისტემების ბუქსირება იყო. უზრუნველყოფდა 25 ტ ტვირთის ბუქსირებას, გადატვირთვის შემთხვევაში 45 ტ-მდე მასის გადატანასა და მძიმე ბალისტიკური რაკეტების ტრანსპორტირებასაც.

შასი მიწასათხრელი, საინჟინრო და სპეციალურ მოწყობილობათა დასაყენებლად იქნა გამოყენებული.

AT-T-ის საფუძველზე აწყობილმა ყველგანმავალმა „ხარკოვჩანკამ" ანტარქტიდაში 1500 კმ საშუალოდ 30 კმ/სთ სიჩქარით გაიარა.

1979 წლიდან კი AT-T განსხვავებული კომპონირებისა და T-64 ტიპის ტანკის შასიზე დამზადებულმა ახალმა გამწე MT-T-მ შეცვალა.

მომდევნო თაობის საარტილერიო გამწევებიდან გამოსაყოფია ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის MT-ЛБ — მსუბუქი, მრავალმხრივი დანიშნულების მუხლუხა, დაჯავშნული გამწე.

გამწის კორპუსის შუაში დაყენებული ძრავა კარდანული გადაცემით წინა ნაწილში მოთავსებულ გადაცემათა კოლოფს უკავშირდება, ხოლო ამ უკანასკნელს გვერდით გადაცემებით მბრუნავი მომენტი წამყვან თვლებამდე მიჰყავს. ასეთი კომპონირებით გამწის წონა საყრდენ გორგოლაჭებზე თანაბრად ნაწილდება.

MT-ЛБ მუხლუხების მოძრაობის ხარჯზე დაცურავს და პატარა წონის წყალობით ღრმა თოვლშიც არ უჭირს მოძრაობა.

დაჯავშნული კორპუსი ეკიპაჟსა და დესანტს მხოლოდ წვრილკალიბრიანი ტყვიებისგან იცავს.

მაღალმა საექსპლუატაციო მახასიათებლებმა და მომსახურების სიმარტივემ გამწის მსხვილსერიული წარმოება უზრუნველყო. მარტო რუსეთის არმიაში MT-ЛБ-ს რაოდენობა დაახლოებით 50 ათასს აღწევს.

1990 წელს ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებაში მიღწეული შეთანხმების შეზღუდვები MT-ЛБ-ებს არ შეეხო და საბჭოთა არმიის შენაერთები ჯავშან-



АСУ-85: მასა — 15,5 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 4-45 მმ, დიზელის ძრავა — 210ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 25-45 კმ./სთ-ში, სვლის მარაგი — 360 კმ, შეიარაღება — 85 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2С7 Пион: მასა — 45 ტ, ეკიპაჟი — 7 კაცი, დიზელის ძრავა — 840ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 40 კმ./სთ-ში, სვლის მარაგი — 500 კმ, შეიარაღება — 203 მმ-იანი ქვემეხი და 12,7-იანი ტყვიამფრქვევი



ტრანსპორტიორებიდან მსუბუქად დაჯავშნულ გამწევებზე გადასხდნენ.

ინტენსიურმა ექსპლუატაციამ გამწევების რესურსები შეამცირა და ნაკლიც გამოამჟღავნა: თხელი ჯავშანი, დაბალი საცეცხლე ძალა, მაღალ სიჩქარეებზე მოხვევის მექანიზმის არასაიმედოობა და სხვ.

გამწის მოდერნიზებულ ვარიანტზე (МТ-ЛБМ 6МА) გაძლიერდა კორპუსის დაჯავშნა, დაიდგა БТР-80-ის საბრძოლო კოშკურა და ის შესაძლებლობებით ქვეითთა საბრძოლო მანქანას მიუახლოვდა.

გამწე გამოყენებულია 50-ზე მეტი სხვადასხვა საბრძოლო და დამხმარე დანიშნულების ტექნიკის (საჰაერო თავდაცვის მართვის პუნქტები, საარტილერიო ცეცხლის კომპლექსის მანქანები, რადიოლოკაციური დაზვერვის მანქანები, ქიმიური და რადიოქიმიური დაზვერვის მანქანები, დანაღმულ ადგილებში გასასვლელების შემქმნელი მანქანები და სხვ.) ასაწყობად.

МТ-ЛБ-ს საფუძველზე აწყობილი საბრძოლო ტექნიკისგან გამოსაყოფია:

ავიატრანსპორტირებადი 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა 2С1 Гвоздика, ოღონდ მასის საყრდენი გორგოლაჭების მე-7 წყვილი აქვს დამატებული;

თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსის საბრძოლო მანქანა 9П149 აღჭურვილია კომპლექსი Штурм С-ს გამშვები დანადგარით. საბრძოლო მარაგი 12 რაკეტისგან შედგება და დატენვის მექანიზმის გამოყენებით ეკიპაჟს წუთში 3-4 გასროლის გაკეთება შეუძლია. სროლა მოძრაობისას და წყალში ცურვის დროსაც შესაძლებელია;

თვითმავალი საზენიტო კომპლექსი 9А35 განკუთვნილია მოტომსროლელი და სატანკო ქვედანაყოფების დასაცავად და აღჭურვილია Стрела-10 ტიპის 4 რაკეტით და მარაგში კიდევ ამდენივეა. გადაიარაღებას ეკიპაჟი ხელით 3 წუთში აკეთებს. სროლისთვის გამოყენებულია პრინციპი „ვხედავ-ვესვრი“, ამიტომაც მანქანა რადიოგამოსხივებას არ ქმნის და ადვილი აღმოსაჩენი არ არის;

მეორე მსოფლიო ომში ტანკებისშასიან სხვადასხვა დანიშნულების თვითმავალ საარტილერიო დანადგარებს წითელი არმია ხშირად იყენებდა ქალაქებსა თუ გამაგრებულ პუნქტებზე იერიშის დროს, სატანკო შეტევების მხარდასაჭერად და ა.შ.

ომის პერიოდში დაპროექტებული თვითმავალი დანადგარებისგან ყველაზე ბოლოს 1947 წელს СУ-100-ის წარმოება შეწყდა, თუმცა ნაბრძოლი და შეიარაღებაში არსებული სისტემები საბჭოთა არმიას კიდევ დიდხანს ემსახურა.

1946 წელს საჰაერო-სადესანტო ჯარების რეორგანიზაციის გამო გაჩნდა მსუბუქი თვითმავალი საარტილერიო დანადგარის შექმნის საჭიროება — მოწი-

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ნაალმდეგის ზურგში მყოფ მედესანტეებს აუცილებლად სჭირდებოდათ საარტილერიო მხარდაჭერა.

ექსპერიმენტული რამდენიმე დანადგარის აწყობის შემდეგ მიტიშჩის ქარხანაშიააწყვეს ნახევრად ღიაკორპუსიანი **АСУ-57**, რომელიც საპარაშუტო სისტემებით დესანტირებაზე იყო გათვლილი.

**АСУ-57** ჯავშანდაცვითა და შეიარაღებით საკმაოდ სუსტი იყო და მისი ადგილი 1961 წლიდან **АСУ-85**-მა დაიკავა.

სახმელეთო ჯარებისთვის ტანკსაწინაალმდეგო დანიშნულებით დამზადებულ **АСУ-85**-ს მომავალი არ ჰქონდა, რადგან მართვადი ტანკსაწინაალმდეგო რაკეტები ბევრად მეტ ეფექტს იძლეოდა.

დანადგარი მედესანტეებს მოეწონათ და თითოეულმა საჰაერო-სადესანტო დივიზიამ მიიღო თითო საარტილერიო დივიზიონი, რომელიც 31 ერთეულ **АСУ-85**-ს ითვლიდა.

**АСУ-85**-ის დესანტირებისთვის საპარაშუტო სისტემებს იშვიათად იყენებდნენ და მეტწილად სატრანსპორტო თვითმფრინავებს აეროდრომებზე ჩვეულებრივად გადაჰქონდათ.

ამჟამად რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარები მცურავი, მუხლუხა ჯავშანტრანსპორტიორ **БТР-Д**-ს ბაზაზე აწყობილი 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი შეიარაღებული **2С9 Нона-С**-ით.

„ნონა“ მოწინააღმდეგის, საარტილერიო ბატარეების, ჯავშანტექნიკისა და სხვა სამიზნეთა განადგურებაზეა გათვლილი. შესაძლებელია საპარაშუტო სისტემით მისი დესანტირება.

„ნონას“ რამდენიმე ათეული დანადგარი რუსმა პარაშუტისტებმა 2008 წელს როგორც ცხინვალში, ასევე დასავლეთ საქართველოში აგრესიის დროს გამოიყენეს.

მართვადი რაკეტების მჭარდმა პროგრესმა ბევრად შეამცირა მოიერიშე ტანკსაწინააღმდეგო (**СУ-122-54**) და საზენიტო თვითმავალი საარტილერიო (**ЗСУ-57-2, ЗСУ-23-4 Шилка**) თვითმავალი დანადგარების მნიშვნელობა. მეორე მხრივ, გაიზარდა მობილური და შორსმსროლელი არტილერიის მნიშვნელობა.

1971 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში შევიდა 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა **2С3 Акация**, რომელიც ამერიკული 155 მმ-იანი ჰაუბიცა **M109**-ის საპასუხოდ შეიქმნა და დღემდე რუსეთის არმიის თვითმავალი არტილერიის პარკის დიდი ნაწილი უკავია.

ბევრ დადებით მხარესთან ერთად „აკაცია“ ხშირად კრიტიკას იმსახურებდა სროლის არასაკმარისი სიშორის გამო.

„აკაციის“ ოდნავ შეცვლილ შასიზე აწყობილია 240 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი **2С4 Тюльпан**-ი. მასზე გამოყენებულია 240 მმ-იანი ბუქსირებადი ნაღმსატყორცნი **M-240**, რომელიც პატარა პარტიად გამოუშვეს.

152 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი **2С5 Гиацинт**-ი ღია ტიპის დანადგარია. ის ამერიკული 175 მმ-იანი **M-107**-ის საპასუხოდ შეიქმნა და უკვე მოძველებულიც არის.

საბჭოთა არმიაში უფრო ჰაუბიცებმა მოიკიდეს ფეხი და თან ლულის სიგრძით ქვემეხებს უკვე გაუსწრეს.

ასეთია 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა **2С19 Мста-С**, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ბირთვული იარაღის ტაქტიკურ საშუალებათა, მართვის პუნქტების, საველე-საფორტიფიკაციო ნაგებობების, საჰაერო-სარაკეტო თავდაცვის საშუალებების გასანადგურებლად და საბრძოლო კომპლექტში სხვადასხვა სახის ჭურვებთან ერთად ბირთვული ჭურვებიც შედის.

რუსეთის არმიის ყველაზე ძლიერი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი — 203 მმ-იანი ქვემეხი **2С7 Пион**-ია. ის **T-80**-ის სავალ ნაწილზეა აწყობილი და სროლის დროს წარმოქმნილი უკუგორების ჩასახშობად შასიზე ჩამთესი და ზოზინები აქვს დამატებული.

2010 წელს არმიამ **БМП-3**-ის ბაზაზე აწყობილი უახლესი 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო ქვემეხ **2С31 Вена**-ს საცდელი პარტია მიიღო.

„ვენის“ დანიშნულება 13 კმ-ის რადიუსში მოწინააღმდეგის, საარტილერიო ბატარეების, სარაკეტო დანადგარების, საცეცხლე პუნქტებისა და სხვა სამიზნეების განადგურებაა.

საბჭოთა არმიაში მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა მარშის დროს ქვეითი და სატანკო ქვედანაყოფების საჰაერო თავდაცვის საშუალებებით საიმედო დაცვას.

ამ მოვალეობას მოძველებული „შილკა“ ველარ ასრულებდა და 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან მისი ადგილი საზენიტო სარაკეტო-საქვემეხო კომპლექსმა **2С6 Тунгуска**-მ დაიკავა.

ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსებმა ცხინვალში „ტუნგუსკები“ ფარულად შეიყვანეს და ქალაქის სხვადასხვა ადგილას ჩააყენეს სახმელეთო-საჰაერო სამიზნეებთან საბრძოლველად.

ძალზე მრავალფეროვანია რუსული ჯავშანტექნიკის ნიმუშები და ყველას განხილვა შეუძლებელია. მომავალში ჟურნალი „არსენალი“ შეეცდება, მკითხველისთვის საინტერესო მოდელების განხილვას ისევ მიუბრუნდეს.

***თემურ ჩაჩანიძე***

**2С3 Акация: მასა — 27,5 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 4-30 მმ, დიზელის ძრავა — 520ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 25-60 კმ./სთ-ში, სვლის მარაგი — 500 კმ, შეიარაღება — 152,4 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**





# დენთის ევოლუცია

ერთი ჰიპოთეზის თანახმად, რამდენიმე მილიარდი წლის წინ სამყაროს დასაბამი უდიდესმა სასწაულებრივმა აფეთქებამ დაუდო. აქედან გამომდინარე, ყველა დიდი აფეთქება არ ყოფილა ზიანის მომტანი.

მას შემდეგ Homo Sapiens-ს ევოლუციის საკმაოდ მრავალი ეტაპის გავლა დასჭირდა, სანამ აფეთქების დამანგრეველ ძალას სიკეთის სამსახურში ჩააყენებდა. დღეს კი კაცობრიობას იმის შიში აქვს, ვაითუ ისეთივე სასწაულებრივი აფეთქებით („სიკეთის სამსახურში ჩაყენებული“) მოისპოს ცივილიზაცია, როგორითაც წარმოიშვაო.

პირველი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო შავი დენთი, რომლის გამოგონებაც ექსპერტებმა კაცობრიობის 100 ყველაზე დიდ აღმოჩენას შორის ერთ-ერთად მიიჩნიეს.



დენთს ჯერ კიდევ ძველი ჩინელები იყენებდნენ

მკვლევართა აზრით, დენთი ჩინელმა „ალქიკიმოსებმა“ მაშინ აღმოაჩინეს, როცა ისინი უკვდავების ელექსირის შექმნას ლამობდნენ. გამოდის, მართალი იყო ბრძენი, რომელმაც თქვა, რაც უნდა გამოიგონონ მეცნიერებმა, საბოლოოდ მაინც იარაღი გამოდისო.

ძველი მატიანეები და ტრაქტატები ღაღადებენ, რომ დენთის მსგავსი მინარევები ჯერ კიდევ VII საუკუნეში გამოიყენებოდა მედიცინაში და ცეცხლსასროლ იარაღთან კავშირი არ ჰქონდა.

მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ დაიწყეს ჩინელებმა შავი დენთის პიროტექნიკური და სამხედრო მიზნებით გამოყენება. ცეცხლოვან ისრებს დენთით სავსე მილებს ამაგრებდნენ და ისროდნენ (ხანძრის გაჩენის მიზნით). ამ ნარევს მცირე რეაქტიული წევა ჰქონდა და კარგი ცეცხლგამჩენი საშუალება იყო, მაგრამ ფეთქებადი ძალა არ ჰყოფნიდა — სწრაფად იწვოდა და გამოყოფილი გაზი ტყვიის სასროლად საკმარისი არ იყო.

გონიერი ჩინელები მაინც ვერ მივიდნენ ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე. ეს იარაღი მათ ქვეყანაში ევროპიდან მხოლოდ მე-16 საუკუნეში შევიდა.

ბებერ კონტინენტზე კი კათოლიკე მისიონერების გავრცელებული ლეგენდები ჩინურ სასწაულ იარაღზე მანუსკრიპტიდან მანუსკრიპტში, წიგნიდან წიგნში გადადიოდა და თანდათან დამაჯერებლობას იძენდა. იქამდე, რომ პროლეტარია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამთო საქმეში დენთი შეუცვლელი იყო

ტის დიდმა ბელადმა ენგელსმაც კი დაიჯერა და თავის სამეცნიერო შრომაშიც შეიტანა. ის კი არ იცოდა, რომ ჩინეთში ფეიერვერკების მოწყობა მხოლოდ მე-13 საუკუნეში დაიწყეს.

სამაგიეროდ, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სასროლი და პიროტექნიკური ნაზავები, მეტალურგიის განვითარებასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში, ერთმანეთის დამოუკიდებლად აღმოაჩინეს.

სადღაც გვარჯილანარევი მინერალი ნახშირთან შეხებისას აალდა ან უფრო მეტიც, აფეთქდა და ირგვლივ ყველაფერი დაამსხვრია. ლეგენდის მიხედვით, როცა სახელგანთქმული კათოლიკე ბერი ბერტოლდ შვარცი მსგავს ნაზავს ქვასანაყში აქუცმაცებდა, ნივთიერება აფეთქდა და ფილთაქვამ სენაკის ჭერი გახვრიტა.

აზრიანი ადამიანები ამ ნივთიერებების თვისებების საომრად გამოყენებაზე დაფიქრდნენ. მაგრამ თეორიასა და პრაქტიკას შორის უზარმაზარი ნაპრალია და ამ ნაპრალზე ხიდის გადებას დრო სჭირდება.

მაგალითად, არაბმა სწავლულმა ალქიმიკოსებმა დენთი მე-8 საუკუნეში აღმოაჩინეს. გავიდა კიდევ ოთხი საუკუნე და მათი აგრესიული თანამემამულენი მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ შეიძლებოდა რკინის მილში დენთის ნაზავის ჩატენა და ტყვიების გასროლა.

1118 წელს არაბებმა სარაგოსის ბრძოლაში პირველად გამოიყენეს არტილერია, ხოლო 1280 წელს ისევ არტილერიის დახმარებით ჯერ კორდოვა და 1308 წელს კი გიბრალტარი დაიპყრეს.

ევროპელებმა მოწინააღმდეგის დენთის სუნს გემო გაუგეს. ხანგრძლივი ჯვაროსნული ომები და ესპანელ მავრებთან ბრძოლები სწავლული ბერებისთვის მოწინააღმდეგის გამოცდილების ასათვისებლად საკმარისი აღმოჩნდა, მე-14 საუკუნიდან კი დენთმა მთელი ევროპა დაიპყრო.

რას წარმოადგენს შავი დენთი? ეს გახლავთ კალიუმის გვარჯილის, გოგირდის და ხის ნახშირის (რომელიც ფერს აძლევს) მექანიკური ნაზავი. გვარჯილა გახურებისას ჟანგბადის წყაროდ გვევლინება, ნახშირი წვისას ქმნის დიდი რაოდენობის ცხელ გაზს, გოგირდი კი კრავს, ადუღაბებს ნაზავს და წვის სტაბილიზებას ახდენს.

დენთის ოპტიმალური შემადგენლობის დადგენა დიდხანს ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მე-14 საუკუნის შუაწლებისთვის შესწავლილ იქნა მისი ძირითადი თვისებები, თუმცა რამდენიმე საუკუნე დენთის პროპორციები პირდაპირ იყო დამოკიდებული სავარაუდო გამოყენების მიზნებთან.

არსებობდა დენთის არანაკლებ ექვსი სხვადასხვა ფორმულა. მაგალითად: მე-12 საუკუნის დენთი 6 წილი გვარჯილისა და თითო წილი ნახშირისა და გოგირდისაგან შედგებოდა.

მე-17 საუკუნეში დენთის შემადგენლობის პროპორცია 5:2:1 იყო, ხოლო მე-19 საუკუნის შუახანებში შემადგენლობა პროპორცია — 7,5:1,5:1-ით შეიცვალა.

შავი დენთის გამოყენება თავიდანვე სირთულეებთან იყო დაკავშირებული. თოფის სწრაფად გასატენად ლულის ტუჩს ხშირად ძაბრისებრს აკეთებდნენ, ხოლო ზუსტად აწონილ დენთს საგანგებოდ გაკეთებულ მასრებში მშრალად (საპირისწამლე) ინახავდნენ.

დროთა განმავლობაში დენთის ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ მოხმარებასთან დაკავშირებული მინუსები არ შემცირდა: მშრალი დენთი ერთობ სწრაფად ალდებოდა, ოდნავ დანესტიანების შემთხვევაში (2%) — ჭირვეულობდა, ხოლო 7%-იანი ნესტიანობისას კი სასროლად გამოუსადეგარი იყო და გაშრობისას საკუთარ თვისებებს ვერ აღიდგენდა.

დიდ პრობლემას ქმნიდა კვამლიც. სალუნებში მოწყობილი კოვბოური დუელები ჰოლივუდური მონაჩმახია — შენობაში გასროლილი პირველი ტყვიის შემდეგ სივრცე იმდენად სქელი კვამლით ივსებოდა, რომ სუნთქვაც კი ჭირდა.



კვამლის ნარჩენები ლულის კედლებზე ჭვარტლად რჩებოდა და იარაღი გაწმენდას საჭიროებდა.

საუკუნეთა მანძილზე დენთის დამზადების მეთოდიც არ იცვლებოდა. გვარჯილას, ნახშირს და გოგირდს დიდი გულისყურით აქუცმაცებდნენ დოლაბებით. ამიტომაც დენთის ქარხნებს წისქვილებს უწოდებდნენ და მდინარეთა ნაპირებთან აშენებდნენ. ზოგჯერ კი დასაფქვავად დოლაბების საბრუნავად ცხენის ძალასაც იყენებდნენ.

დაფქულ კომპონენტებს შემდეგ ერთმანეთს ურევდნენ და ხელახლა ფქავდნენ. ამ მეთოდმა მრავალი ფაბრიკა და ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სანამ არ მიხვდნენ, რომ მასალის დამუშავება ნედლ მდგომარეობაშიც იყო შესაძლებელი.

ახალი მეთოდის საბოლოო შედეგი კი დენთის „კვერები“ ან „ლავაშები“ იყო, რომელსაც მსხვილად ღერღავდნენ და ამარცვლოვანებდნენ (გრანულირება). ეს გახლდათ მე-16 საუკუნის მნიშვნელოვანი აღმოჩენა.

დენთის მტვერი სწრაფად იწვოდა და ლულას გახეთქვას უქადდა, ხოლო შერჩეული დიამეტრის დენთის მარცვალი მას უდიდეს სასროლ ძალას სძენდა.

მაგალითად, საქვემეხე დენთის მარცვალი ოქროსცერცვას მარცვლის ტოლი იყო, ხოლო დასამარცვლოვანებლად ტყვიის ცხაურებს იყენებდნენ. გაცრის დროს დენთის „ლავაშები“ და „კვერები“ წვრილ ნაწილებად ქუცმაცდებოდა და დაბლა, მეორე საცერში ცვიოდა. კიდევ იცრებოდა, აშრობდნენ, აპრიალებდნენ, წახნაგებს აცლიდნენ და მიღებულ ნივთიერებას მუხის კასრებში ათავსებდნენ.

დენთის ქარხნები ზამთრობით არ მუშაობდნენ, რადგან ნედლი მასალა იყინებოდა და დაფქვისას უსარგებლო მასად გადაიქცეოდა ხოლმე.

არც ღამით მუშაობდნენ დენთის ქარხნები, რადგან ფეთქებადი მასალის დამზადება ღია ცეცხლის შუქზე შეუთავსებადი იყო. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, დენთის ქარხნები მაინც ფეთქდებოდა. დროთა განმავლობაში სახიფათო წისქვილის ქვები სპილენძის დოლაბებით შეიცვალა, დაინერგა ნედლი მასალის ავტომატურად დანესტიანების მეთოდიც.

დენთის დამზადების (შეზავების) მეთოდებს საიდუმლოდ ინახავდნენ და თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ, რადგან ყველა ოსტატს თავისი განუმეორებელი რეცეპტი ჰქონდა. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ საუკეთესო დენთის მისაღებად ნაზავში ღვინის გარევა იყო საჭირო და ღვინიან დენთსაც აკეთებდნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნედლეულის შერჩევას. საუკეთესოდ ითვლებოდა წიწვოვანასგან გამომწვარი ნახშირი. საუკეთესოდ ითვლებოდა ინგლისში და ქალაქ ბუხარაში წარმოებული სადენთე გვარჯილა. გვარჯილას ამზადებდნენ ნაკელის, ნაცრისა და სხვა ნარჩენებისგან.

დენთის ხარისხს გამოცდილი ოსტატები ფერის, სიმკვრივის, სიმშრალის, გემოსა და სუნის მიხედვით ადგენდნენ. მაგალითად, ქაღალდზე შემოწმებისას მაღალხარისხოვანი დენთის მარცვალი ისე სწრაფად იწვოდა, რომ არც ქაღალდს წვავდა და არც ლაქას ტოვებდა მასზე.

ტრადიციულად დენთის გაუმჯობესების პრობლემებზე მუშაობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ქიმიკოსები. 1748 წელს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ კონკურსიც კი გამოაცხადა გვარჯილის შესახებ საუკეთესო ტრაქტატის შექმნაზე, სადაც ლეონარდ ეილერმა და მიხაილ ლომონოსოვმა გაიმარჯვეს.

ექვსი საუკუნე ემსახურებოდა ერთგულად შავი, კვამლიანი დენთი კაცობრიობას, სანამ თავისი ყველა შესაძლებლობა არ ამოწურა.

ალფრედ ნობელი ამბობდა: „მაღაროში იგი ანაწევრებს ტყორცნის გარეშე, ტყვიას ტყორცნის დანაწევრების გარეშე, არტილერიაში ორივეს ერთად ახერხებს, ფეიერვერკებში იწვის აფეთქების გარეშე, მაგრამ როგორც უნივერსალური ნივთიერება ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში მოკლებულია სრულყოფილებას“.

მართლაც შეუძლებელი იყო შავი დენთის ტექნიკურ გაუმჯობესებაზე ფიქრი, თუ არ დადგებოდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის საკითხი, რომელსაც მეტი სიმძლავრისა და სიზუსტის ვაზნები ესაჭიროება.

საქმე მარტო სქელ კვამლსა და მსუყე ნამწვავში არ არის: წვისას შავი დენთის მხოლოდ 40% გამოჰყოფს გაზს, ხოლო დანარჩენი მასა კი მყარ ნივთიერებად იქცევა და არავითარი გამტყორცნი ძალა არა აქვს.

მე-19 საუკუნეში პიროქსილინზე დაფუძნებულმა უკვამლო დენთმა კი ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, რადგან ის უკვე არა მექანიკური ნაზავი, არამედ ნივთიერებათა ქიმიური შენაერთი იყო.

შავი დენთი თითქმის შემთხვევით აღმოაჩინეს, ხოლო უკვამლო დენთი მეცნიერულ დონეზე აყვანილმა ქიმიამ შექმნა.

დაიწყო სამხედრო საქმის ახალი ეპოქა. არა მარტო იმიტომ, რომ კვამლი აღარავის წვავდა თვალებს, არამედ




იმიტომ, რომ გაცილებით მცირე მასის შემთხვევაშიც კი ტყვია არნახულ სისწრაფეს წამში — 600, 800, 1000 მეტრს იძენდა.

პიროქსილინი ბამბის ცელულოზის, ბამბის, ქსოვილთა ნარჩენებისა და მერქნის აზოტმჟავითა და გოგირდმჟავით დამუშავებით (ნიტრირებით) მიიღებოდა.

იგი საწყისი მასალისგან ბევრად არ განსხვავდებოდა და „ფეთქებადი ბამბა“ ელვისებურად იწვოდა, ამიტომაც გადაწყვიტეს მისი სასროლ მასალად გამოყენება. თუმცა ამას ხელს უშლიდა მასალის სიფხვიერე — დენთის მარცვლებს ხომ ფორმა და ზომა უნდა ჰქონოდა, რაც მაშინ მიუღწეველი ჩანდა.

დაიწყეს ბამბის ზონრების ნიტრირება, ხოლო მასრებს პიროქსილინის ძაფის გორგლებით ტენიდნენ. თითქოს პრობლემა გადაწყდა და 1862 წელს ავსტრიელებმა „პიროქსილინის არტილერიაზე“ გადასვლა მოინდომეს და ამისთვის 30 საველე ბატარეისთვის საჭირო დენთის მარაგიც კი დააგროვეს.

მაგრამ განზრახვას ასრულება არ ეწერა, რადგან 32 ტონა საბრძოლო მასალით სავსე საწყობი მოულოდნელად აფეთქდა.

პიროქსილინი ზედმეტად ფეთქებადია და ერთნაირად ამსხვრევს ტყვიასაც და იარაღის ლულასაც. საბოლოოდ მისი სახით დენთის ნაცვლად კარგი ფეთქებადი მასალა მიიღეს.

მე-19 საუკუნის ბოლოდან პიროქსილინის ფუგასები ადვილად ანგრევდნენ იმ დროისათვის ახალი მასალით — ბეტონის თავდაცვით ნაგებობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევის წყალობით, ზუსტად პიროქსილინის აღმოჩენის წელს იტალიელმა ასკანიო სობრერომ გლიცერინის აზოტისა და გოგირდის მჟავათა ნარევით დამუშავებისას ნიტროგლიცერინი მიიღო. ეს იყო მანამდე და მას შემდეგაც არნახული სიმძლავრის ასაფეთქებელი ნივთიერება.

ნიტროგლიცერინის ფეთქებადსაშიშობა გამაოგნებელია. ინგლისში ერთმა გლეხმა ზამთარში, გასათბობად ცოტაოდენი ნიტროგლიცერინი დალია (საინტერესოა, საიდან ჩაუვარდა ხელში) და, რა თქმა უნდა, სულიც გააცხო.

როცა წესი აუგეს და მესაფლავეებმა მისი კუბო საფლავში ცოტა „უხეშად“ ჩადგეს (ჩაუვარდათ), ცხედარი მოულოდნელად აფეთქდა და რამდენიმე ჭირისუფალი მესაფლავეებთან ერთად იმ ქვეყნად გაიყოლა.

ნიტროგლიცერინმა ლამის სისხლი გაუშრო დიდ შვედ ინჟინერ-ქიმიკოსსა და გამომგონებელს ალფრედ ნობელს. მან კარგად იცოდა, რაოდენ სახიფათო იყო თხევადი ასაფეთქებელი ნივთიერება (ნიტროგლიცერინი უბრალო რყევის დროსაც ფეთქდებოდა) და ეძებდა მისი გაუსაფრთხოების მეთოდებს, რისთვისაც მას ქაღალდს, ნახერხს, ბამბას, ნახშირს, თაბაშირს, აგურის ფხვნილს ურევდა, მაგრამ ყოველთვის უარყოფით შედეგს იღებდა.

1866 წელს, როგორც იქნა, შემთხვევით შესაფერის მასალას მიაგნო. ეს იყო ტბის ფსკერზე ქვიშისებრ ქანებად დალექილი მიკროწყალმცენარეთა კაჟოვანი ნაჭუჭი (ღენჭეპო), რომლის მარცვლების მოცულობის 90% ფორებით არის დაფარული. ფორები ისრუტავდა ნიტროგლიცერინს და მას ათვინიერებდა.

ახალი ასაფეთქებელი მასალა ტორფს ჰგავდა და მასავით მშვიდობიანი იყო. შეიძლებოდა მისი რყევა, დიდი სიმაღლიდან ჩამოგდება, ცეცხლის წაკიდებაც კი, მაგრამ მაინც არაფერი მოქმედებდა.

აფეთქებისთვის კი სპეციალურ მეთოდს იყენებდნენ და აფეთქების ძალით თხევად ნიტროგლიცერინს მცირედ თუ ჩამოუვარდებოდა, ხოლო შავი დენთისას კი და ხუთჯერ აღემატებოდა.

„ნობელის ასაფეთქებელი ფხვნილი“ ანუ „დინამიტი“ (ბერძნულად — ძალა) 1867 წელს დააპატენტეს ინგლისში, შვედეთში, გერმანიასა და საფრანგეთში. თუმც ის იყო ამფეთქებელი და არა გამტყორცნელი ნივთიერება, რომელსაც დენთის შეცვლა არ შეეძლო.

დინამიტის აღმოჩენით (მოთვინიერებით) მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ახალი, მაღალეფექტური ამფეთქებელი ნივთიერების წარმოების საქმეში.

პირველი უკვამლო თეთრი დენთი 1884 წელს ფრანგმა ფიზიკოსმა პოლ ველუემ დაამზადა. მან პიროქსილინი სპირტეთერში გახსნა და მიიღო სქელი, ჟელატინისმაგვარი ნაზავი, რომლისთვისაც ფორმის მიცემა სხვადასხვა კალიბრის ნასვრეტში გაძვრენის საშუალებით იყო შესაძლებელი. ამ პროცედურის შემდეგ ნივთიერება ცელულოიდის მსგავს დრეკად სიმკვრივეს იძენდა.

აღმოჩენა საფრანგეთმა საიდუმლოდ შეინახა და კვლევა-ძიებამ სხვა ქვეყნები თეთრი დენთის შექმნამდე საკუთარი გზებით მივიდნენ. შემადგენლობითა და თვისებებით ყველა მათგანი ერთმანეთისგან განსხვავდება და სინამდვილეში ორი ტიპის ვარიანტს წარმოადგენენ.

**ფეთქებად ნივთიერებებს მრავალმხრივი გამოყენება აქვს**



ამჟამად მიღებული ნივთიერება უფრო მდგრადი, იაფი და დასამზადებლად მარტივია და რაც მთავარია, პიროქსილინით დამზადებულზე ბევრად მძლავრია.

მოგვიანებით ფრანგებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, მათ გამოჩენილ ქიმიკოსს დიმიტრი მენდელეევს ცოტაოდენი თეთრი დენთი აჩუქეს „პირადი მოხმარებისათვის“.

რამდენიმე ხნის შემდეგ რუსმა მეცნიერმა განაცხადა, მართალია, ფრანგებმა თეთრი დენთის საიდუმლო ოფიციალურად არ გაგვიმხილეს, მაგრამ ჩვენთვის ის უკვე კარგად არის ცნობილი და შეგვიძლია მათი მიღწევის გაუმჯობესებაო.

მან იცოდა, რომ ევროპასა და ამერიკაში თეთრი დენთი დამზადებისას საკმაოდ სახიფათო პროცედურას — შრობას გადიოდა, რაც ხშირად ტრაგიკული შედეგებით დასრულებულ აფეთქებებსა და ხანძრებს იწვევდა.

მეცნიერმა გასაშრობი დენთი სპირტით დაანესტიანა, რითაც სახიფათო პროცესი გააუვნებლა. ამ მეთოდს დღემდე იყენებენ, ხოლო წარმოების გამარტივებისა და პროცესის გასაიაფებლად შექმნა პიროკოლოდი, მძლავრი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც საუკეთესო ნედლეული იყო ნებისმიერი კალიბრის მარცვლის მისაღებად.

საცდელი სროლისას ახალმა დენთმა საუკეთესო ბალისტიკური თვისებები გამოავლინა, ხოლო თორმეტდუიმიანი ქვემეხის ლულის არხი სროლის შემდეგ ისეთი სუფთა იყო, რომ თეთრ ხელსახოცზეც კი არანაირი ლაქა არ დარჩა.

მიუხედავად წარმატებისა, სამეფო კარზე მოკალათებულმა ფრანგულმა და ინგლისურმა ლობიმ თავისი გაიტანა და ახალი ასაფეთქებელი მასალის წარმოებაში დაწყებას ხელი შეუშალა (ზოგი ისტორიკოსი სწორედ ამას აბრალებს რუსეთის იმპერიის იაპონიასა და გერმანიასთან დამარცხებას). 1895 წელს ორმა ამერიკელმა ოფიცერმა კონვერსმა და ბერნადუმ დააპატენტეს ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც პიროკოლოდისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა.

მათვე დაიწყეს ამ ნივთიერების საწარმოო გამოშვება და საკუთარი ნაწარმით პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებს ამარაგებდნენ და ზღაპრული სიმდიდრე მოიხვეჭეს.

ნიტროდენთი არცთუ იდეალურია. გრძელია მისი წარმოების ტექნოლოგიური ციკლი (თითქმის ერთი თვე), ინახება მხოლოდ 20 წელი, როცა შავი დენთი საუკუნეებს უძლებს.

თერმული დაშლის შედეგად თვითაალება გამორიცხული არ არის. ნიტროგლიცერინული დენთის წვის მაღალი ტემპერატურა იარაღის ლულის სწრაფად ცვეთას იწვევს.

ასე რომ, ველუემ მხოლოდ სათოფე დენთის დამზადება მოახერხა, ხოლო მსხვილმარცვლოვანი საარტილერიო დენთი სახიფათო კიდევ დიდხანს დარჩა — 1907 წელს ფრანგულ ჯავშნოსან Iena-ზე დენთის სარდაფი აფეთქდა და ეკიპაჟიდან 114 კაცი იმსხვერპლა. 1911 წელს იმავე მიზეზით კიდევ ერთი ჯავშნოსანი Liberte დაიღუპა.

შემდეგ კი სხვადასხვა ქვეყნის ქიმიკოსებმა ნიტროდენთის საბოლოო მოთვინიერებას თითქმის ორმოცი წელიწადი დაახარჯეს, მაგრამ ყველა ნაკლისგან გათავისუფლება მაინც არ მოხერხდა. ამის მიუხედავად, ჭურვების ზომა შემცირდა, შემსუბუქდა, ხოლო სიმძლავრე კი რამდენჯერმე გაიზარდა.



# თეირანის რაკეტული ამბიცია

ბოლო დროს ირანის სარაკეტო პროგრამა მსოფლიოსთვის მეტად შემაშფოთებელი გახდა. ევროპა ირანული რაკეტების ყოველ სტარტს შიშით უყურებს და უკვე საკუთარი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაზე ფიქრობს. ამერიკელები კი ევროპას დახმარების ხელს უწვდიან და აქ ანტისარაკეტო სისტემის ელემენტებს ათავსებენ, მაგრამ რეალურად რა პოტენციალი აქვს თეირანის სარაკეტო მრეწველობას, კვლავ სადავოა.

ბალისტიკური რაკეტების შექმნის პროგრამაზე თეირანმა მუშაობა ირან-ერაყის ომის შემდეგ დაიწყო. საბრძოლო მოქმედებებში ერაყმა უამრავი SCUD-ის ტიპის რაკეტა გამოიყენა. ირანიც მიხვდა ამ იარაღის ეფექტურობას და მას შემდეგ ბალისტიკური რაკეტებისა და მისთვის საჭირო ტექნოლოგიების შეძენას ცდილობს.



**ირანული რაკეტების ყოველ ახალ სტარტს მისი მეზობელი ქვეყნები და ევროპა შიშის თვალით უყურებს...**

თავისი ამბიციური სარაკეტო პროგრამით ირანმა ოთხი ტიპის ბალისტიკური რაკეტა შექმნა — Shahab-1, Shahab-2, Shahab-3 და Shahab-3M, ხოლო 2003 წლის შემდეგ რამდენიმე რაკეტა საბრძოლო მორიგეობაზე დააყენა.

ყველა ზემოჩამოთვლილი რაკეტა ერთსაფეხურიანია და თხევად საწვავზე მუშაობს. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ირანმა ორსაფეხურიანი რაკეტაც შექმნა და 2009 წლის 2 თებერვალს ორბიტაზე თანამგზავრი გაიყვანა.

თეირანი სამხედრო მრეწველობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს და ქვეყნის ბიუჯეტის მერვედს თავდაცვაზე ხარჯავს. 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე თეირანი რაკეტულ შეიარაღებას ამერიკისგან იღებდა, მაგრამ შემდეგ ურთიერთობის დაძაბვის გამო მიწოდებაც შეწყდა.

ირან-ერაყის ომში თეირანმა მთელი რაკეტული არსენალი დახარჯა და მალე რაკეტების იმპორტიორ სხვა ქვეყნებს — ლიბიას, სირიასა და ჩრდილო

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომპლექსი „სკადი" მუხლუხა შასით



იგივე კომპლექსი ბორბლებიან შასზე

კორეას მიაგნო, სადაც 1985 წლიდან SCUD-B-ს ტიპის ბალისტიკურ რაკეტებს ყიდულობდა. შემდგომ სერიული წარმოებაც აითვისა და 1991 წლიდან Shahab-1 ნიშნულით უშვებდა.

გასული საუკუნის ბოლოს ირანსა და ჩრდილო კორეას შორის აქტიური სამხედრო თანამშრომლობა დაიწყო. თეირანმა ფხენიანისგან SCUD-C-ს ტიპის კომპლექსები და საჭირო ტექნოლოგიური აღჭურვილობა შეიძინა.

1997 წლიდან კი ახალ რაკეტებს ნიშნულით Shahab-2 დამოუკიდებლად აწარმოებს. წინამორბედისგან განსხვავებით ის 13-14%-ით მეტ საწვავს იტევს და შესაბამისად, შორსაც მიფრინავს.

სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, დღეს თეირანის განკარგულებაშია Shahab-1 ტიპის 250-დან 600-მდე და Shahab-2 ტიპის 50-დან 150-მდე რაკეტა.

რაკეტების შექმნა იოლი არ არის. უკვე არსებული რაკეტის კოპირებაც კი მრავალი ტექნოლოგიის ათვისებას საჭიროებს. ტექნიკური პრობლემების გარდა, ეს დიდ დანახარჯთან არის დაკავშირებული, მაგრამ თეირანი მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს.

ირანული რაკეტმშენებლობის მომდევნო ეტაპი რაკეტა Shahab-3-თან არის დაკავშირებული და მისი ხორცშესხმა ჩრდილო კორეის მხარდაჭერით დაიწყო. კორეელმა სპეციალისტებმა ბალისტიკური რაკეტების შექმნაში დიდ წარმატებას მიაღწიეს. თეირანი ამას ხედავდა და კორეელ კოლეგებს No Dong-1/A და No Dong-1/B-ის ტიპის რაკეტების შექმნაში ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა. შემდგომ კი მათი მიღწევები სათავისოდ გამოიყენა და „შაჰაბ-3" ახალი კორეული რაკეტების ბაზაზე შექმნა.




ირანული ბალისტიკური რაკეტები

რაკეტების სერიული წარმოება 2003 წლის ბოლოს დაიწყო. სხვათა შორის, ამ რაკეტის შექმნაში რამდენიმე ჩინური კომპანიის ხელიც ურევია. თითქმის 16 ტ სასტარტო მასის რაკეტას 800 კგ-იანი საბრძოლო ქობინი მიაქვს და მაქსიმალურ 1300 კმ-ზე დაფრინავს.

რაკეტას რამდენიმე მოდიფიკაცია აქვს. რაკეტის საბაზო ვარიანტის ცხვირა ნაწილი — კონუსის, ხოლო Shahab-3B-ს კი განსხვავებული ფორმისაა.

გაზრდილი მასიდან გამომდინარე, შეიცვალა რაკეტის სატრანსპორტო შასიც. „შაჰაბ-1"-სა და „შაჰაბ-2"-ში საბჭოური „სკადის" ანალოგი ოთხღერძიანი შასია გამოყენებული, ხოლო „შაჰაბ-3"-სა და მოდიფიკაციებში კი რაკეტის ტრანსპორტიორის დანიშნულებას ასრულებს ავტომისაბმელი, რომელიც იმავდროულად სასტარტო დანადგარია.

2004 წელს გამოჩნდა მოდიფიკაცია Shahab-3M, რომელიც არსებული ცნობებით 2700 კმ-ზე მიფრინავს და 700 კგ-იანი საბრძოლო ქობინი მიაქვს.

კორეის მსგავსად, რაკეტების წარმოებაში თეირანის წარმატება საბჭოური SCUD-ის (NATO-ს კლასიფიკაციით) ტიპის რაკეტებს ეფუძნება. სი-

ნამდვილეში ეს კომპლექსი 9K72 Эль-брус-ია, მაგრამ ნამდვილი სახელით მას თითქმის არ მოიხსენიებენ.

„ელბრუსზე“ მუშაობა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 1962 წელს ის შეიარაღებაში მიიღეს. კომპლექსის საბაზო ვარიანტი მძიმე ტანკის ბაზაზე შექმნილი მუხლუხა თვითმავალ გამშვებ დანადგარზე (2П19) იყო დაყენებული, მაგრამ ექსპლუატაციაში რთული გამოდგა და 56 ცალის აწყობის შემდეგ წარმოება შეწყდა.

კომპლექსისთვის ახალი შასი МАЗ-534 (8X8) შეიქმნა და ყველა მომდევნო მოდიფიკაციას (NATO-ს ინდექსებით SCUD-B/C/D) მხოლოდ ეს შასი აქვს.

„ელბრუსის“ შემადგენლობაში შედის Р-17-ის ტიპის რაკეტა, რომელსაც განსხვავებული საბრძოლო ქობინების ტარება შეუძლია. რაკეტის აღჭურვა ჩვეულებრივ ფუგასურთან ერთად (987 კგ) ბირთვული და ქიმიური საბრძოლო ქობინებითაც შეიძლება. მათი მასა განსხვავებულია და შესაბამისად, სასარგებლო დატვირთვა თუ ფრენის მანძილიც სხვაა.

თავის დროზე, აშშ-მა და საბჭოთა კავშირმაც თავიანთი რაკეტული პროგრამები უმარტივესი ერთსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტებით დაიწყეს. დღეს თეირანსაც ეს გეზი აქვს აღებული, მაგრამ მის ხელთ არსებული ინფრასტრუქტურა, კადრები, კვლევითი ინსტიტუტები შორს არიან იმ რესურსებისგან, რომლებიც აშშ-სა და სსრკ-ს ჰქონდათ.

მხოლოდ „ელბრუსებით“ თეირანი შორს ვერ გაფრინდა. ამ რაკეტებზე დაბალენერგეტიკული საწვავი და პრიმიტიული მართვის სისტემებია გამოყენებული და შესაბამისად, მისი გაუმჯობესება შეზღუდულია.



საშუალო სიშორის ირანული ბალისტიკური რაკეტის Shuhab-3 მოქმედების რადიუსი ირანის ტერიტორიის ორი სხვადასხვა რაიონიდან სტარტის შემთხვევაში

ჯერ კიდევ Shahab-2-ზე თეირანი იყენებდა ჩრდილოკორეელთა რაკეტულ ძრავას, რომელიც თავის მხრივ გაზრდილი წევის ძალის მქონე გაუმჯობესებული საბჭოური ძრავა იყო. რაკეტის მასის ზრდა ძრავის გაუმჯობესების გარეშე არაეფექტური პროცესია. ასე რომ, უახლოეს მომავალში თეირანს გამოსავლის ძებნა მოუწევს.

არსებობს ცნობა, რომ ირანი ახალ Shahab-4/5/6 ტიპის ბალისტიკურ რაკეტებზე მუშაობს. ამ ინფორმაციის თანახმად, მათი ფრენის მანძილი 4-6 ათასი კმ იქნება. ეს კი დამაფიქრებელი მახასიათებელია, რადგან ირანს სარაკეტო პროგრამა მკაცრად გასაიდუმლოებული აქვს და ინფორმაცია ახალი რაკეტების თაობაზე არ მოიპოვება.

ცხადია, რომ ბალისტიკური რაკეტების შექმნაში თეირანი კიდევ დიდხანს უცხოეთიდან იმპორტირებულ კომპონენტებზე იქნება დამოკიდებული. უშუალოდ რაკეტების მოდერნიზაციისას წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების გადაჭრა კი მას უმეტესწილად საკუთარი რესურსებით უხდება.

თეორიულად და პრაქტიკულადაც ირანს აქვს 3 ათასზე მეტ კმ-ზე და უფრო შორს მფრენი ბალისტიკური რაკეტის შექმნის პოტენციალი, მაგრამ უკვე საჭიროა საფეხურებიან სქემაზე გადასვლა, რაც დამატებით სირთულეებს წარმოშობს.

ამ პრობლემის წინაშე ჩრდილოკორეელებიც დადგნენ და მისი დაძლევაც შეძლეს. 2009 წლის 5 აპრილს კორეამ რაკეტა „უნხა-2“ გამოცადა. ფხენიანის მტკიცებით, მან ორბიტაზე თანამგზავრი გაიყვანა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი ფაქტები არ არსებობს.

„უნხა-2“-ის გაშვება ჩრდილო კორეის რაკეტული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს ასახავს. არადა, ფხენიანმაც რაკეტული პროგრამის რეალიზაცია საბჭოური „სკადების“ გადაკეთებით დაიწყო.

თეორიულად, მცირე გადაკეთებით ამ რაკეტას 1-2 ათას კგ-იანი საბრძოლო ქობინის წაღება შეუძლია, მაგრამ არის ერთი ნიუანსი — კორეელები ირანელთა მსგავსად თხევადსაწვავიან რაკეტებს სახმელეთო-სასტარტო პოზიციებიდან იყენებენ. „უნხა-2“-ის გადაკეთების შემთხვევაშიც კი მის


ირანული ბალისტიკური რაკეტის მობილური დანადგარიდან გაშვების წინასტარტის სამზადისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასასტარტო მომზადებას რამდენიმე დღე, ხოლო საწვავით გაწყობას კი რამდენიმე საათი დასჭირდება. ამ პროცესის დანახვა კოსმოსიდან თავისუფლად შეიძლება.

ირანმა ეს ნაკლი გამოასწორა და 2008-09 წლებში „შაჰაბ-3“-ის შესაცვლელად Sajel-ის ტიპის მყარსაწვავიანი ბალისტიკური რაკეტა შექმნა. „სეჯილი“ 1930 კმ-ზე მიფრინავს. მისი პირველი საცდელი გაშვება 2008 წლის 12 ნოემბერს შედგა.

ამგვარად, მყარსაწვავიანი რაკეტის შექმნით ირანმა ახალი ტექნოლოგიების დაუფლებასთან ერთად სტრატეგიული ძალების საბრძოლო მზადყოფნა გაზარდა.

ბალისტიკური რაკეტების გარდა, თეირანის ამბიცია კოსმოსისკენაც არის მიპყრობილი.

2008 წლის 4 თებერვალს ირანმა რაკეტა-მატარებელ Safir-ის პირველი საცდელი სტარტი განახორციელა. იმავე წლის 17 აგვისტოს ორსაფეხურიანი „საფირის“ მეშვეობით (ის „შაჰაბ-3“-ის ბაზაზეა შექმნილი და საფუძვლად ისევ საბჭოური „სკადი“ უდევს) ორბიტაზე თანამგზავრი გაიყვანა.

ირანის კოსმოსურმა სააგენტომ ეს ინფორმაცია მაშინვე გაახმაურა, მაგრამ საერთაშორისო ექსპერტებმა ამას ეჭვით შეხედეს. ამერიკელების მტკიცებით, რაკეტის მეორე საფეხური 152 კმ სიმაღლეზე აფეთქდა, ხოლო რაკეტის ცხვირა ნაწილმა 250 კმ-ს მიაღწია და იქიდან პარაშუტით დაბრუნდა.



2009 წლის 4 თებერვალს მოდიფიცირებულმა Safir-2-მა ორბიტაზე პირველი ირანული ნაციონალური თანამგზავრი „ომიდი“ („იმედი“) გაიყვანა. პრიმიტიულობის მიუხედავად, ირანისთვის ეს უდიდესი წარმატებაა, ის მსოფლიოში მე-8 ქვეყანაა, რომელმაც ორბიტაზე თანამგზავრი საკუთარი ძალით გაიყვანა. პირველი ირანული თანამგზავრი „სინა-1“ ორბიტაზე რუსებმა 2005-ში გაიყვანეს.

„საფირ-2“ 26 ტონას იწონის და სიგრძით 22 მ-ია, დაბალ საყრდენ ორბიტაზე 27 კგ-იანი ტვირთის წაღება შეუძლია.

უახლოეს 10 წელიწადში თეირანი პილოტირებული ფრენის შესრულებას გეგმავს და მსგავსი განცხადებები მხოლოდ ღიმილს იწვევს. საკმარისი დაფინანსებითა და ტექნოლოგიებით ეს ნებისმიერი მდიდარი ქვეყნისთვის არის ხელმისაწვდომი. ბოლოს და ბოლოს, მარტივი თანამგზავრის შექმნა სხვა ქვეყანას ან სულაც კერძო ორგანიზაციას შეიძლება დაავალო, ასე რომ, ირანისთვის პილოტირებად კოსმონავტიკაზე ოცნებაც კი ნაადრევია.



სტარტისთვის გამზადებული რაკეტა-მატარებელი „საფირი“

ბოლო წლებში ირანული ტელევიზიიდან და გაზეთებიდან სულ უფრო ხშირად გაისმის „სამამულო შეიარაღების შექმნასთან“ დაკავშირებული განცხადებები. ირანელებს არ აწუხებთ, რომ სახომალდო 76 მმ-იანი ავტომატური საარტილერიო დანადგარი წვრილმანებშიც კი იტალიური Otto Melara-ს ანალოგიურია, რომ „თანამედროვე“ „საეკა“ და „აზარაკშას“ ტიპის გამანადგურებლები 50-იან წლებში გამოშვებული ამერიკული F-5 Tiger II-ის მოდიფიკაციაა.

ასეა თუ ისე, ირანს დღეს რეალურად აქვს ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც სამიზნეს 2 ათასი კმ-ის რადიუსში სწვდებიან, რაც დამაფიქრებელია. მათი მოქმედების რადიუსში ხვდება მეზობელი ერაყი, ისრაელი, ავღანეთი, ახლო აღმოსავლეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ცენტრალური აზია, რუსეთის სამხრეთ ოლქის მნიშვნელოვანი ნაწილი, უკრაინის ნაწილი, თურქეთი, სომხეთი, აზეირბაიჯანი და მათ შორის — საქართველოც. ასე რომ, თეირანი თეორიული საფრთხეს ჩვენც გვიქმნის.

**ალექსანდრე აფაქიძე**



# კამიკაძე „ღვთაებრივი ქარი“

ვინ ხდებოდა კამიკაძე? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. უპირველესად ესენი 17-25 წლის ახალგაზრდები იყვნენ. კამიკაძეთა შორის ყველა სოციალური ფენის, განსხვავებული შეხედულებისა და ტემპერამენტის ადამიანები იყვნენ. მათ შემადგენლობას უნივერსიტეტებიდან სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალწვეულებიც ემატებოდნენ. ეს განათლებული და კარგად აღზრდილი ახალგაზრდები ერის საუკეთესო ნაწილს შეადგენდნენ და გულწრფელად სურდათ სამშობლოს მტრისგან დაცვა.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N23, 2011)

## „კამის“ ყოფა, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი

...ფილიპინებზე დაბინავებული „სიმპუს“ პირადი შემადგენლობა სპარტანულად ცხოვრობდა. ტროპიკული კლიმატის გამო ზედმეტი ტანსაცმელი საჭირო არ იყო, ხოლო ერთი აეროდრომიდან მეორეზე მუდმივად გადაადგილების გამო ზედმეტ ბარგს არც ათრევდნენ.

ყოველ მფრინავს ჰქონდა თეთრეული, წყვილი პირსახოცი, საფრენი რუკები, წვრილმანი პირადი ნივთები და დღიური რაციონი – სულ ეს იყო, რაც ესაჭიროებოდათ.

ყველაფერი ინახებოდა მომცრო ჩემოდანში, რომელზეც აუცილებლად ეწერა პილოტის გვარი. არც კურიოზების ნაკლებობა იყო, რაც დღეს, ალბათ, ბევრს შავ იუმორად მოეჩვენება. მაგალითად, ერთ-ერთი მფრინავის ჩემოდანზე ასეთი წარწერა იყო: **„განსვენებული კაპიტან-ლეიტენანტ ნაოსი კანოს პირადი ნივთები“**.

ბრძოლაში დაღუპულ ოფიცრებს იაპონიის შეიარაღებული ძალების ტრადიციისამებრ სიკვდილის შემდეგ მომდევნო სამხედრო წოდებას ანიჭებდნენ.

რაც შეეხება მფრინავებს, რომლებიც თვითმკვლელ იერიშებში იღუპებოდნენ, მათ ჩვეულებრივ ორი სამხედრო წოდებით „ამაღლებდნენ“. ბევრი მათგანი სიკვდილის შემდეგ ჯილდოვდებოდა იმპერიის ორდენებით **„ოქროს შევარდენის ორდენი“** და **„ამომავალი მზის ორდენი“**.

კამიკაძეებისთვის საყოფაცხოვრებო პირობები ისეთივე იყო, როგორიც ჩვეულებრივი მფრინავებისთვის. პერიოდულად იმართებოდა მოკრძალებული გამოსათხოვარი წვეულებები იმ კამიკაძე-პილოტებისთვის, ვინც სწავლების კურსი დაამთავრა.

საჭმელი ძალზე მწირი იყო. ჩვეულებრივ, მფრინავების სადილი ერთი ფიალა წყალწყალა კარტოფილის წვნიანისა და ბრინჯის ბურთულებისგან შედგებოდა. ზეიმებზე კი ყოველდღიურ რაციონს ცოტაოდენი დამარილებული ძროხის ხორცი, ტრადიციული იაპონური საჭმელი **„იკუ“** (მზეზე გამოყვანილი ზღვის ბინადარი სეპია) და ტკბილი ცერცვის ჟელე ემატებოდა. სამაგიეროდ, სასმელი იყო უხვად — ჩვეულებრივი შენაერთების მფრინავებიც, მეზღვაურებიც და ქვეითებიც „სიმპუს“ კორპუსის მებრძოლთათვის ხშირად აგზავნიდნენ საკეს და ყველაფერ იმას, რისი შოვნაც მოხერხდებოდა.

არსებობს მითი, თითქოს კამიკაძეს ყველაფრის უფასოდ მიღება შეეძლო: იქნებოდა სასმელი, საჭმელი ან თუნდაც ლამაზი ქალი.

ერთი მხრივ, იაპონური რესტორნის ან მაღაზიის ნებისმიერი მეპატრონე ბედნიერი იყო, თუკი მოემსახურებოდა **„ღმერთებს მიწიერი სურვილების გარეშე“**.

ქალებზეც დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას. მათთვისაც უდიდესი პატივი იყო სიყვარულის თუნდაც რამდენიმე საათი ეჩუქებინა უშიშარი სამურაისთვის.

კამიკაძეების კორპუსში ჩვეულებები და რიტუალები სწრაფად ჩამოყალიბდა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა: მათი სიცოცხლე მეტად სწრაფწარმავალი იყო.

სიკვდილმისჯილ მფრინავებს საზაფხულო ფორმის ღილებზე ამოტვიფრული სამფურცლოვანი **საკურას** გარდა, თავზე მოხვეული თეთრი შემოსაკრავით – **ჰატიმაკით** გამოარჩევდით. მართალია, საფრენი ჩაფხუტის ქვეშ ის არ ჩანდა, მაგრამ საგნის არსს არ ცვლიდა – ეს განსაკუთრებული სახეობის ელიტისადმი კუთვნილების ცნობილი და ეფექტური სიმბოლო იყო. ასეთ შემოსაკრავზე წითელი მზის დისკოს გამოსახულება აუცილებელ დეტალს წარმოადგენდა, რაც იაპონიის სახელმწიფოს დროშის ძირითადი გრაფიკული ელემენტის გამეორება იყო.

თითოეულ კამიკაძეს სარდლობის სახელით გადასცემდნენ სამურაის მომცრო სახელობით მახვილს ფარჩის ქარქაშით და მფრინავებს ის თავისი უკანასკნელი ფრენისას თან მიჰქონდათ — ტრადიციებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თანახმად სამურაი იარაღით ხელში უნდა შეხვდეს სიკვდილს.

საბრძოლო გაფრენის წინ მფრინავები ფეხზე მდგომნი ფიალით უკანასკნელ საკეს სვამდნენ. ასევე აუცილებელ ტრადიციად ითვლებოდა ოჯახისთვის თმის კულულისა და მოჭრილი ფრჩხილების დატოვება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სპეციალური იერიშების კორპუსის სიმბოლოს ქრიზანთემა წარმოადგენდა. ეს მათ სოციალურ სტატუსს აძლიერებდა – ქრიზანთემა ხომ იაპონიის საიმპერატორო სახლის სიმბოლო იყო.

პირველი წარმატებების შემდეგ „იერიშების კორპუსის" ესკადრილიათა რაოდენობა მატულობდა. თუმცა, ბრძოლისუნარიანი თვითმფრინავების ნაკლებობა უკვე შეიმჩნეოდა.

ამას ემატებოდა ნაჩქარევად მომზადებული პილოტების დაბალი შედეგიანობა. ჯერ კიდევ 1942 წელს იაპონიამ თითქმის ყველა გამოცდილი მფრინავი დაკარგა, ხოლო 1944 წელს მფრინავთა მოსამზადებელი დრო და რესურსები აღარ იყო.

ამერიკისა და ინგლისის ფლოტების სარდლობამ სწორი დასკვნა გააკეთა — ხომალდების თავზე სავალდებულო წესით გამანადგურებლები პატრულირებდნენ და სახომალდო საზენიტო არტილერია გაძლიერდა, ხოლო კამიკაძეების იერიშებს მჭიდრო ცეცხლი ელობებოდა.

კამიკაძე-მფრინავებს მხოლოდ ტარანის იერიშები ჰქონდათ შესწავლილი და უმაღლესი პილოტაჟის რთული მანევრები არ იცოდნენ. სწორედ ეს ფაქტორები იწვევდა „სიმპუს" კორპუსის საფრენი შემადგენლობის უზარმაზარ დანაკარგს.

„1945 წლის აპრილ-ივნისში იაპონურ კუნძულ ოკინავასთვის ბრძოლებში კამიკაძეების თავდასხმებმა განსაკუთრებულად გააფთრებული ხასიათი მიიღო: იმ თვითმკვლელ იერიშებში 1465 თვითმფრინავი მონაწილეობდა და მაშინ ამერიკულმა ფლოტმა 26 ხომალდი დაკარგა, ხოლო 150-ზე მეტი დაზიანდა.

ოკინავასთვის ბრძოლებში ამერიკელებმა სრულად შეიცნეს „ღვთაებრივი ქარის" სიმძაფე – იგი მათ შემმუსვრელ ქარიშხლად ეჩვენებოდა.

მაშინ საკმაოდ მძიმე დღეები დაუდგა იაპონიას. სპეციალური იერიშების კორპუსმა ოკინავასთან მფრინავთა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა და მწვავედ დადგა თვითმფრინავების, სათადარიგო ნაწილების, საბრძოლო მასალებისა და ყოველივე იმის ნაკლებობა, რაც ომისთვის არის საჭირო.

კამიკაძეების იღბლიანი იერიშების ისედაც დაბალი წილი, ახლა კიდევ უფრო შემცირდა. თვითმკვლელი იერიშების ორმა მესამედმა მიზანს ვერ მიაღწია (ზოგიერთ სამხედრო ისტორიკოსს სხვა ციფრებიც მოაქვს. მათი აზრით, იერიშების 80-85% უშედეგო იყო).

„...საკურას ფურცლების მსგავსად"

მფრინავმა-კამიკაძეებმა ბოლოს 1945 წლის 29 ივლისს ამერიკული ხომალდი საესკადრო ნაღმოსანი Callaghan-ი ჩაძირეს, როცა ქვეყანა უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1945 წლის 6 აგვისტოს აშშ-მა ჰიროსიმაში პირველი ატომური ბომბი ჩამოაგდო. ქალაქი დაინგრა, 200 ათასზე მეტი კაცი მოკვდა და დაიჭრა. 9 აგვისტოს ამერიკელებმა მეორე ატომური ბომბი ნაგასაკიში ჩამოაგდეს.

9 აგვისტოს იაპონიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები საბჭოთა კავშირმაც დაიწყო, როგორც სტალინი მოკავშირეებს პოტსდამის კონფერენციაზე დაჰპირდა.

1945 წლის 15 აგვისტოს იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. როგორც კი ვიცე-ადმირალმა ონისიმ ამის შესახებ შეიტყო, მან უყოყმანოდ გაიკეთა ჰარაკირი – სამურაი დამარცხების სირცხვილს ვერ შეეგუებოდა.

იმავე დღეს ვიცე-ადმირალმა მატომე უგაკიმ გასაფრენად 3 თვითმფრინავის მომზადების ბრძანება გასცა. როცა ის სამურაის მახვილით ხელში ავიაბომბებით გადატვირთულ ასაფრენ ბილიკზე გავიდა, იქ 11 ბომბდამშენი დახვდა ჩართული ძრავებით – ეს იყო ყველაფერი, რაც მე-5 საჰაერო ფლოტს შემორჩა, რომლის მეთაურადაც უგაკი ცოტა ხნის წინ დაინიშნა.

უკლებლივ ყველა ეკიპაჟს მეთაურთან ერთად უკანასკნელ ფრენაში მონაწილეობის სურვილი ამოძრავებდა.

დამშვიდობების მოკლე ცერემონიის შემდეგ 11-ვე თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა. მიწაზე დარჩენილმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა თვალი გააყოლეს კორპუს „სიმპუს" უკანასკნელ ესკადრილიას და ამის შემდეგ მასთან მხოლოდ რადიოკავშირი ჰქონდათ.

ვიცე-ადმირალ უგაკისგან მიღებული ერთ-ერთი ბოლო შეტყობინება იყო: „... **შევეჯახები მოწინააღმდეგეს და გავანადგურებ მას ბუსიდოს ტრადიციების სულისკვეთებით და იმის ღრმა რწმენით, რომ იაპონია მარადიულია... ბანზაი!**".

ასე დასრულდა ყველა დროის საჰაერო ფლოტის ყველაზე უჩვეულო ფორმირების – სპეციალური იერიშების კორპუსის „სიმპუს" ისტორია.

და ბოლოს, მინდა რამდენიმე ციფრი გაგაცნოთ. იაპონელი ისტორიკოსის **ჰაცუხო ნაიტოს** მონაცემებით, 1944–45 წლების თვითმკვლელურ შეტევებში 2525 საზღვაო და 1388 სამხედრო მფრინავი დაიღუპა.

„თვითმკვლელების" შეტევები 10 თვეზე ნაკლებს გაგრძელდა და ამის შედეგად ექსპერტთა შეფასებებით კორპუს „სიმპუს" მებრძოლებმა 34-დან 57-მდე ხომალდი გაანადგურეს.

...იმ ომის დამთავრებიდან საკმაო დრო გავიდა და იაპონიამ მიღებული ჭრილობები მოიშუშა. ისევე როგორც უწინ, ათასობით ადამიანი მიდის სალოცავად იასუკუნის ტაძარში და ხედავს ასობით თეთრ მტრედს, რომლებიც იქ ცხოვრობენ.

ამბობენ, ეს მტრედები უთვალავ ომში დაღუპულ მეომართა სულების განსხეულებაა და იმის მიუხედავად, რომ იასუკუნი მშვიდობის და არა ომის ტაძრად არის ცნობილი.

პარადოქსულია, არა? თუმცაღა, იაპონია მრავალი პარადოქსისაგან არის მოქსოვილი... და ისევე, როგორც მტრედები განასახიერებენ მებრძოლთა სულებს, ასევე ამომავალი მზის ქვეყანა განასახიერებს სულის ზეობას მატერიაზე. და სწორედ ამაშია, ალბათ, მისი მთავარი ღირსება...

**არჩილ ბეჟანიშვილი,**
*იაპონური გაზეთის YOMIURI SHIMBUN-ის კორესპონდენტი საქართველოში*



კამიკაძეების მორიგი მსხვერპლი



# სამგზავრო ლაინერების კატასტროფები ქართულ ცაში

**ჩვენი დოსიე:**

საბჭოთა პერიოდში საქართველოს, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, თავიანთი სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, მსხვილ ქალაქებს კი საკუთარი ავიარაზმები ჰყავდათ.

თბილისის გაერთიანებული საავიაციო ავიარაზმი: აეროპორტი ლოჭინი (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი)

— მე-18 ავიარაზმი: Ли-2, Ту-124;

— 112-ე ავიარაზმი: Ил-14П, Ту-104, Ту-104А, Ту-154Б, Ту-154Б-1, Ту-154Б-2.

— 347-ე ავიარაზმი: Як-40, Ту-134А.

სოხუმის გაერთიანებული საავიაციო ავიარაზმი: აეროპორტი ბაბუშერა.

— 297-ე ავიარაზმი: Ан-2, Ан-24Б, Ту-134А , L-410М.

ქუთაისის გაერთიანებული საავიაციო ავიარაზმი: ავტოქარხანასთან მდებარე აეროპორტი.

— 297-ე ავიარაზმი: Ан-2, Ми-2, Ми-8Т.

თელავის გაერთიანებული საავიაციო ავიარაზმი: თელავის აეროპორტი.

— Ан-2, Ми-2, Ми-8Т.

საფრენი აპარატების ექსპლუატაციას თან სდევს ინციდენტები და კატასტროფები. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, ხოლო ზოგიერთ ქალაქს კი საავიაციო რაზმი ჰყავდა.

იმ დროს ფრენები გაცილებით ინტენსიური იყო და შესაბამისად, საავიაციო ინციდენტებიც ხდებოდა.

ომის შემდგომი პირველი საავიაციო შემთხვევა საკმაოდ დიდი ხნის წინ, 1947 წელს მოხდა. 5 მარტს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს ამერიკული Douglas C-47 (სარეგისტრაციო ნომერი СССР-Л952) თბილისიდან მოსკოვში მიფრინავდა. ეკიპაჟის მეთაურს ადგილზე დროზე ადრე ჩაფრენა სურდა და მოკლე მარშრუტით, კავკასიონზე გადაფრენა გადაწყვიტა.

ბორტთან კავშირი აფრენიდან 1 სთ-ისა და 3 წთ-ის შემდეგ შეწყდა, ხოლო თვითმფრინავის ფრაგმენტებს მხოლოდ 1947 წლის 20 ივნისს, კავკასიონის ქედის მთებში მიაგნეს.

კატასტროფის სავარაუდო მიზეზი შემოყინვა გახდა. თვითმფრინავის ბორტზე მყოფი 19 მგზავრი და ეკიპაჟის 4 წევრი დაიღუპნენ.

საკმაოდ უცნაური და დღემდე პასუხგასაცემი შემთხვევა 1948 წლის 25 ოქტომბერს მოხდა. იმ დღეს თბილისის მე-18 საავიაციო რაზმის Ли-2 (სარეგისტრაციო ნომერი СССР-Л4500), სოხუმიდან ქლუხორში (ახლა ყარაჩაევსკი) ჩაფრინდა. უკან გამობრუნების წინ ეკიპაჟმა მგზავრებს შორის მყოფ ქლუხორისა და ბაბუშერის აეროპორტების ხელმძღვანელობასთან ერთად საუზმეზე არაყი დალია.

აფრენის შემდეგ, ადგილობრივი დროით 13:50-ზე, ეკიპაჟმა ბაბუშერის აეროპორტის პელენგი მიიღო, ხოლო 9 წთ-ის შემდეგ კი კავშირი გაწყდა.

თვითმფრინავის ფრაგმენტებს ვერ მიაკვლიეს და დღემდე ეკიპაჟის 4 წევრსა და 14 მგზავრთან ერთად უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

სხვათა შორის, Ли-2 ამერიკული Douglas DC-3-ის ზუსტი ასლია. 1936 წელს საბჭოთა კავშირმა აშშ-სგან 340 ათას მანეთად, ამ თვითმფრინავის წარმოების ლიცენზია შეიძინა. ლიცენზია ასევე ამერიკაში საბჭოთა სპეციალისტების მომზადებასაც ითვალისწინებდა.

სსრკ-მ 18 დაშლილი „დუგლასის" კომპლექტიც შეიძინა. თვითმფრინავის საბჭოურმა ვარიანტმა ნიშნული ПС-84 მიიღო და 1940 წლიდან აეროფლოტის მარშრუტებზე რეგულარული ფრენა დაიწყო. ომის დაწყებასთან ერთად თვითმფრინავს დანიშნულება-ნიშნული შეუცვალეს და Ли-2-ს ღამის ბომბდამშენად იყენებდნენ. მას 1,5-2,0 ტონა ბომბის ტარება შეეძლო და თავდაცვისთვის კი ტყვიამფრქვევებით იყო შეიარაღებული.

1956 წლის 22 აპრილს მოსკოვის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს 65-ე საავიაციო-სატრანს-




ქართულ ავიაკატასტროფებში Ил-14 ტიპის თვითმფრინავი ერთგვარი რეკორდსმენია

პორტო ავიარაზმის Ил-14 (სარეგისტრაციო ნომერი СССР-Л1718) 2117 კგ ტვირთით ვნუკოვოდან თბილისში მოფრინავდა. ფრენის დროს შუალედური დაჯდომა ხარკოვში, როსტოვში, სოხუმსა და ქუთაისში იყო დაგეგმილი.

სოხუმიდან აფრენისას 60 მ სიმაღლეზე მყოფმა თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო და სტარტიდან 2910 მ-ში მომუშავე ძრავებით ზღვაში ჩავარდა, ეკიპაჟის 5 წევრი და 1 მგზავრი დაიღუპნენ.

სხვათა შორის, თვითმფრინავი სულ ახალი იყო. საავიაციო ქარხანა მან მხოლოდ 14 აპრილს დატოვა და სულ რაღაც 19 სთ ჰქონდა ნაფრენი. მისთვის ეს მეორე რეისი იყო.

1960 წლის 10 ივნისს ჩრდილო კავკასიის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს Ил-14П (СССР-91571) როსტოვი-კრასნოდარი-ადლერი-სოჭი-სოხუმი-ქუთაისის გავლით თბილისში მოფრინავდა.

სოხუმში არავინ ჩამოდიოდა, ამიტომ ეკიპაჟმა ფრენა ქუთაისისკენ განაგრძო. უეცრად ბორტთან კავშირი გაწყდა, ხოლო თვითმფრინავი მეორე დღეს ტყვარჩელთან ახლოს ჩამოვარდნილი იპოვეს. ბორტზე მყოფი 31 კაცისგან არავინ გადარჩენილა.

1963 წლის 26 აგვისტოს თბილისის ავიარაზმის Ил-14П (СССР-61617) თბილისიდან ქუთაისის გავლით სოხუმსა და კრასნოდარში მიფრინავდა. ქუთაისიდან აფრენის შემდეგ ეკიპაჟს აეროპორტის მეტეოსამსახურებისგან მარშრუტზე არსებული ამინდის ცნობა არ მიუღია. ხილვადობა მხოლოდ 4-10 კმ-ს შეადგენდა, რასაც ძლიერი ქარი და წვიმაც ემატებოდა. არადა, ეკიპაჟი ფოთის გავლით შემოვლითი მარშრუტით რომ გაეშვათ, კატასტროფა შეიძლებოდა არც მომხდარიყო.

ეკიპაჟის მეთაურმა უკან დაბრუნება გადაწყვიტა და ღრუბლებში მფრენი თვითმფრინავი მთას შეეჯახა. ფრაგმენტები მეორე დღეს, ქუთაისიდან 32 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით იპოვეს. 27 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი (ეკიპაჟის მეთაური არჩილ ხეთეშვილი, მეორე მფრინავი გეორგი ბელი, ბორტმექანიკოსი მიხაილ სუპრუნოვი, რადისტი გრიგოლ აკოპიანი, ბორტგამცილებელი ნინა მესხი) დაიღუპნენ.

კიდევ ერთი შემთხვევა ერთი წლის შემდეგ, 1964 წლის 28 ნოემბერს მოხდა. თბილისის 112-ე საავიაციო რაზმის თვითმფრინავს, Ил-14-ს (СССР-41883), თბილისიდან ქუთაისისკენ ფრენამ ცუდ ამინდში მოუწია.

სურამის ქედთან თოვდა და ხილვადობა 1 კმ-ს არ აღემატებოდა. შემდგომ გაირკვა, რომ მეტეოროლოგები ამინდის გაუარესებას არ ვარაუდობდნენ.

ცუდი ხილვადობისა და რადიოლოკაციური კონტროლის არარსებობის მიუხედავად, ქუთაისის დისპეტჩერებმა თვითმფრინავს 1200 მ-მდე დაშვების ნება მისცეს. 50 მ-ის ხილვადობისას, თვითმფრინავი მთას შეეჯახა. ფიუზელაჟი შუაზე გადატყდა, მაგრამ ხანძარი არ გაჩენილა. ეკიპაჟის 4 წევრიდან სამი დაიღუპა, ხოლო 11 მგზავრიდან მხოლოდ 7 გადარჩა.

1975 წელს ბათუმის მახლობლად, სომხეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს Як-40 (СССР-87485) დაიმსხვრა. ეკიპაჟისა და დისპეტჩერების შეცდომის გამო 15 ივლისს ერევნიდან ბათუმში მიმავალი თვითმფრინავი მეორე წრეზე წასვლისას მტირალას მთას შეეჯახა. დაიღუპა 41 კაცი.

ზუსტად ორი წლის შემდეგ, 8 ივლისს, სოხუმის მახლობლად Ан-24РВ-ს (СССР-46847) ტიპის თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. თვითმფრინავი კიროვოგრადის მფრინავთა სკოლას ეკუთვნოდა ღამით საწვრთნელ ფრენას ასრულებდა. აფრენის შემდეგ თვითმფრინავი სანაპიროდან 1 კმ-ში ჩავარდა. ბორტზე ინსტრუქტორები და კურსანტები იყვნენ. 7 კაცისგან მხოლოდ ეკიპაჟის მეთაური გადარჩა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

აფხაზეთში ჩამოვარდნილი Ли-2 და მასზე მყოფი ადამიანები დღესაც უკვალოდ დაკარგულად ითვლება



# ატილა




## 406-453

ბარბაროს მხედართმთავართა შორის ჰუნთა ბელადი ატილა ერთ-ერთი უდიდესი იყო, ვინც რომის იმპერიას ებრძოდა. ლაშქრობდა იტალიასა და საბერძნეთში, ქრისტიანულ იმპერიაზე მისი ულმობელი თავდასხმების გამო ლათინურად Flagellum Dei, ანუ „ღვთის რისხვა" შეარქვეს.

დაიბადა 406 წელს აზიის მომთაბარე ჰუნების ოჯახში. თავიდან მსახურობდა ბიძამის რუგასთან. აღმოსავლეთ რომის იმპერიაზე მისი გამანადგურებელი თავდასხმების გამო რომი დიდძალ ხარჯს იხდიდა. 434 წელს რუგა გარდაიცვალა, ატილამ და მისმა ძმა ბლედამ სამკვიდროდ უდიდესი ტერიტორია _ ალპებიდან ბალტიისა და კასპიის ზღვებამდე გადაჭიმული საბრძანებელი მიიღეს.

### ქრონოლოგია

* 406 — დაიბადა.
* 434 — ძმა ბლედასთან ერთად ჰუნთა მეფე-ბელადი გახდა.
* 441 — შეუტია აღმოსავლეთ იმპერიას.
* 443 — ააოხრა ნიში და სოფია. დაიპყრო ფილიპოლისი. გაანადგურა რომაული ძალები აღმოსავლეთში.
* 445 — მოკლა ბლედა.
* 447 — ისევ შეუტია აღმოსავლეთის იმპერიას. შეჩერდა თერმოპილესთან.
* 449 — უზრუნველყო კონსტანტინოპოლთან მოლაპარაკება.
* 451 — შეიჭრა გალიაში. დაამარცხა ფლავიუს აეციუსი კატალაუნის ველზე ბრძოლაში.
* 452 — შეიჭრა იტალიაში და დაარბია ჩრდილოეთის ქალაქები.
* 453 — გარდაიცვალა სისხლდენით.

### ატილას ჯარი

ბლედა და ატილა ერთობლივად მართავდნენ სამეფოს, ატილა ჯარს ედგა სათავეში. მისი არმიის მსგავსი იმ დროის მსოფლიოში ბევრი არ იყო, მისი მხედრები მეტრნახევრიანი მშვილდებით იბრძოდნენ. ჰუნებს ბრძოლაში აღალი არ მიჰქონდათ, მცირეოდენი ბარგი კუნთმაგარ ჯუჯა ცხენებზე ჰქონდათ აკიდებული. ასეთი ჯარით ატილას მტრის დევნა დაუსრულებლად შეეძლო. პირველი ფლანგი ზემოდან ესროდა ისრებს, რაც მტრის ჯარისკაცებს აიძულებდა ფარები მაღლა აეწიათ, მეორე ფლანგი კი პირდაპირ სამიზნეს სტყორცნიდა ისრებს. გადარჩენილებს თუ მოიხელთებდნენ, მოხრილი ხმლებით, ბუნიკებითა და წერაქვებით გააფრთხობინებდნენ სულს.

ჰუნთა ტომებს ყოველ 50000 კაცზე დუმანი, ანუ 10000 მკლავმაგარი მეომარი უნდა მიეცათ თავისი ყაენითურთ. თითოეული დუმანი შეიცავდა ათი ასეულის ათ ესკადრონს, ყოველ მათგანში ათი ცხენოსნის ათი ერთეული შედიოდა. ატილა ათ ყაენს მიუძღოდა ბრძოლაში თავისი დუმნებიანად, რაც სულ 100000 მებრძოლის გაყვანის საშუალებას იძლეოდა ბრძოლის ველზე.



ჰუნი მეომარი

### „სადაც კი ფეხი დამიკარებია, იქ ბალახი აღარასოდეს ამოვა"

439 წლამდე, როგორც ჩანს, ატილა ჩრდილოეთის ბარბაროსთა დამორჩილებით იყო დაკავებული. ამის შემდეგ აღმოსავლეთის იმპერატორმა ხარკის მიცემა შეუწყვიტა, ამიტომაც ატილა შეტევაზე გადავიდა, ცეცხლს მისცა სინგიდუნუმი (ბელგრადი) და ბალკანეთის სხვა ქალაქები. დროებითმა ზავმა რომაელებს საშუალება მისცა, გადაჯგუფებულიყვნენ, მაგრამ 443 წელს ატილამ შეტევა განაახლა და ნაისუსი (თანამედროვე ნიში სერბეთში) და სერდიკა (თანამედროვე სოფია, ბულგარეთი) გაასწორა მიწასთან. შემდგომ კონსტანტინოპოლისკენ გასწია, გზად რომაელების ჯარი დაამარცხა და ფილიპოპოლისი აიღო. იმპერატორი თეოდოსიუს II იძულებული შეიქნა 6000 გირვანქა ოქრო მიეცა და წელიწადში 2100 გირვანქაც მიეყოლებინა ხარკად.

### იერიში დასავლეთზე

ატილამ ბალკანეთზე მორიგი გამანადგურებელი იერიში 447 წელს მიიტანა, კონსტანტინოპოლს აუარა და სამხრეთით საბერძნეთს მიადგა. ის თერმოპილეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა




თან ახალმა ზავმა შეაჩერა, რომელიც წინაზე ბევრად სარფიანი იყო ჰუნებისთვის.

ამის შემდეგ ატილამ დასავლეთის დასუსტებულ იმპერიას მიაპყრო თვალი. ამ დროს ჰონორია, ვალენტინიანეს და, პროკურატორ ევგენიუსისგან ფეხმძიმედ იყო. ვალენტინიანემ, ეს სამარცხვინო კავშირი რომ დაემალა, და სენატორზე დანიშნა. ჰონორიამ ატილას ბეჭედი გაუგზავნა და ჰუნთა ბელადს შველა სთხოვა. ატილამ ბეჭედი საქორწინო შეთავაზებად მიიღო და მზითვად დასავლეთ იმპერიის ნახევარი ითხოვა.

451 წლის გაზაფხულზე ატილამ დასავლეთ ევროპის შუაგულში ომი გააჩაღა. აპრილში მან მეცი აიღო. გადმოცემით, ამ ბრძოლაში 300000-დან 700000 ათასამდე მებრძოლი მონაწილეობდა. რეიმსი, მაინცი, სტრასბურგი, კელნი, ვორმსი და ტრირი მიწასთან გასწორდა. ამბობენ, პარიზი იმიტომ გადაურჩა განადგურებას, რომ ქალაქში წმინდა ჟენევიევი იმყოფებოდაო.

ორლეანში გამარჯვებას ვერ მიაღწია. ქალაქს ალყას არტყამდა, როდესაც რომაელი მხედართმთავარი ფლავიუს აეციუსი ვესტგუთების მეფე თეოდორიხ I-თან ერთად გამოჩნდა ქალაქის მისადგომებთან. კატალაუნის ველზე გამართულ სისხლიან ბრძოლაში თეოდორიხ I კი დაეცა, მაგრამ აეციუსმა ატილას დამარცხება მაინც შეძლო. დაზავების მაგივრად, ატილამ მიმოფანტული ძალები შეკრიბა და უკუქცეული იტალიაში შეიჭრა. რომთან მისული უკან გაბრუნდა, რადგან დიდად მოიხიბლა თურმე მოსალაპარაკებლად გამოსული მისი უწმინდესობის, პაპ ლეო I-ის დანახვით.

ჰუნებმა დიდ ნადავლს მოუყარეს თავი და ჩრდილოეთისკენ გაბრუნდნენ. 47 წლის ატილა გზაში გარდაიცვალა. მან ახალი ცოლი, სახელად ილდიკო მოიყვანა და დიდი ლხინი გადაიხადა, შემდეგ ახალშერთულ ცოლთან ერთად საქორწინო სარეცელს მიაშურა. მეორე დილას ატილა საწოლში მკვდარი იპოვეს — სისხლის გუბეში ცურავდა. ჰუნების ბელადი ცხვირიდან სისხლდენას ემსხვერპლა. ატილას გარდაცვალების შემდეგ გერმანელი ტომები აჯანყდნენ, მისი ვაჟები კი ერთმანეთს დაერივნენ. ოც წელიწადში ჰუნების სამხედრო ძლიერება დაეცა. აზიის თვალუწვდენელი ველების გარეშე, სადაც ცხენებს თავისუფლად დააჭენებდნენ, მათ უკვე ჩვეულებრივი ევროპელი ქვეითი ჯარივით უხდებოდათ ბრძოლა.

## ნგრევის კვალი

- ატილას შეტევა ნიშზე, სერბეთში, იმდენად გამანადგურებელი იყო, რომ მთელი ქალაქი გაცამტვერდა. როდესაც რვა წლის შემდეგ რომაელი ელჩები ატილასთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ, იმდენად მყრალი სუნი იდგა ირგვლივ, რომ ქალაქში შესვლა ვერ შეძლეს. ამიტომ ქალაქგარეთ დასცეს კარვები, მდინარესთან, რომლის ნაპირებიც ადამიანთა ძვლებით იყო მოფენილი.
- 447 წელს საბერძნეთში ლაშქრობის ერთ-ერთი ჟამთააღმწერელი ამბობს: „იმდენი მიცვალებული ცურავდა სისხლში, რომ მათ აღნუსხვას ვერვინ შეძლებდა. ჰუნები არბევდნენ და ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებს, მონაზვნებსა და ქალწულებს კი საქვეყნოდ აბახებდნენ და ყელს ჭრიდნენ... თრაკია ისე გაასწორეს მიწასთან, რომ ვეღარასოდეს აღდგება“.
- როდესაც ატილამ 452 წელს იტალიაში ილაშქრა, მან აკვილეა, მილანი, ბერგამო, პადუა და ვერონა დაარბია. გადარჩენილებმა ადრიატიკის ზღვის კუნძულებსა და ლაგუნებს შეაფარეს თავი. სწორედ მათ დააარსეს ვენეცია.

*მთარგმნელი*
*ლევან ინასარიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეუმდგარი ქართული ჯავშანტრანსპორტიორი

## ანუ რატომ არ დაიწყო ქუთაისის ავტოქარხანამ საბჭოთა არმიისთვის ყველაზე მასობრივი ჯავშანტრანსპორტიორების წარმოება...



ობიექტი 1015

ვინც სისტემატურად კითხულობს სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალს“ და საერთოდ, დაინტერესებულია სამხედრო თემით, დაახლოებით მაინც იცის, რა არის ჯავშანტრანსპორტიორები, მათ შორის — საქვეყნოდ ცნობილი БТР-70-ები და БТР-80-ები.

არადა, 40 წლის წინ ყველაფერი ობიექტურად რომ შეფასებულიყო, მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის (მათ შორის – NATO-ს წევრი თურქეთის) შეიარაღებაში დღეს გორკის (ახლანდელი ნიჟნინოვგოროდი) საავტომობილო ქარხნის წარმოებული БТР-70-ები და БТР-80-ები კი არა, ქუთაისში აწყობილი ჯავშანტრანსპორტიორები იქნებოდა.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ვერმახტი ეფექტურად იყენებდა ჯავშანტრანსპორტიორებს, რომელთა მსგავსიც სტალინის მრავალმილიონიან არმიას არ ჰყავდა, ხოლო ამერიკიდან ლენდ-ლიზით შემოზიდული ჯავშნიანი ავტომობილები საკმარისი არ იყო.

ამიტომაც ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კონსტრუქტორებმა მოტომსროლელთა გადასაყვანი ჯავშანტრანსპორტიორების კონსტრუირება დაიწყეს. პირველივე ჯავშანტრანსპორტიორი БТР-152 გერმანულის ასლი იყო: ზემოდან ღია იყო (შეიძლებოდა მოწინააღმდეგეს ხელყუმბარები ჩაეყარა) და მაღალი გამავლობითაც არ გამოირჩეოდა.

მოგვიანებით კონსტრუქტორებმა 8X8 ფორმულაზე შეაჩერეს არჩევანი, ანუ 8-ვე საბურავი წამყვანი უნდა ყოფილიყო. ერთდროულად რამდენიმე საკონსტრუქტორო ბიურო გამალებით მუშაობდა, რადგან კონკურსში გამარჯვებულ ფირმასა და მის ინჟინრებს ძალზე საპატიო — სტალინის სახელობის პრემიები „ემუქრებოდათ“.

1954-57 წლებში საბჭოთა კავშირის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების აკადემიის რამდენიმე მეცნიერმა და ინჟინერმა იმ დროისთვის თანამედროვე რვათვლიანი ჯავშანტრანსპორტიორის პროექტირება დაიწყეს, რომელსაც ძრავა უკანა ნაწილში ექნებოდა.

ეს პროექტი სამხედროებს ისე მოეწონათ, რომ 1958 წელს გამოვიდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმადაც ყველა სამუშაო გადაეცემოდა ქუთაისის ავტოქარხნის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ მ. რიჟიკი, დ. ქართველიშვილი და ს. ბათიაშვილი.

გასაიდუმლოების მიზნით საცდელ ჯავშანტრანსპორტიორს ობიექტი 1015 ეწოდა. იგი მთლიანად შეჯავშნული (მხოლოდ ტყვიაგამძლე ჯავშნით) წყალში მცურავი საბრძოლო მანქანა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ქუთაისის ავტოქარხნის ხელმძღვანელობას „ობიექტი 1015“-ის დეტალებზე ესაუბრება იმ გასაიდუმლოებული საამქროს წინ, სადაც ეს საცდელი ჯავშანტრანსპორტიორი აყენია. 1961 წლის 16 ივნისი.



БТР-60П-ს კორპუსს სახურავი არ ჰქონდა და მასში ხელყუმბარების ჩაგდება ადვილი იყო, რაც 1956 წელს უნგრეთის მოვლენებმა დაადასტურა



იყო. ჰქონდა კარბიურატორული შიდაწვის ძრავა (სიმძლავრე 180ცხ.ძ.), მექანიკური ტრანსმისია და ხუთი სიჩქარე. ასფალტზე ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის მაქსიმალური სიჩქარე 90კმ/სთ-ს აღწევდა, საშუალო კი — 50კმ/სთ-მდე იყო. მას წყალში ცურვა 10,6 კმ/სთ-ით შეეძლო.

გორკიში აწყობილი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-60П კი მხოლოდ 80 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, ამასთან, ორი ძრავა და შესაბამისად, ორი ტრანსმისია ჰქონდა, რაც ძალზე ართულებდა მის ექსპლუატაციას. გარდა ამისა, ყველა БТР-60П ზემოდან ღია იყო და შიგ მსხდომი მებრძოლები მხოლოდ უბრალო ბრეზენტით თუ იყვნენ დაცულნი.

მანამდე, 1956 წელს, უნგრეთში სახალხო გამოსვლების ჩასახშობად მოსკოვმა ღია ჯავშანმანქანები გამოიყენა, რომლებშიც ცეცხლგამჩენ „მოლოტოვის კოქტეილს“ უნგრელი ახალგაზრდები კალათბურთელებივით მარჯვედ ყრიდნენ. სწორედ ამიტომ გადაწყდა ახალი, დახურული ჯავშანტრანსპორტიორების შექმნა.

ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორი საქარხნო გამოცდას გადიოდა მდ. ცხენისწყლის ნაპირზე, სოფელ ნინუაკუთხის ტერიტორიაზე, ყოფილ სამხედრო აეროდრომზე. 1960 წლის ზაფხულში გამოცდა გაგრძელდა აჯამეთის ტყის ახლოს, აგრეთვე მდ. რიონსა და პალიასტომის ტბაზე.

**ქუთაისური „ჯავშნოსნის“ უპირატესობაზე ისიც მეტყველებდა, რომ მას 20 მოტომსროლელი გადაჰყავდა, მაშინ, როდესაც გორკის БТР-60П-ს — 14, ხოლო უკვე მთლიანად შეჯავშნული და მოდერნიზებული БТР-60ПБ-ს კი მხოლოდ 8 მებრძოლი**

БТР-60ПБ-ში კორპუსი მთლიანად შეიჯავშნა, მაგრამ სამაგიეროდ დესანტის რაოდენობა 8 კაცამდე შემცირდა, მაშინ, როდესაც ქუთაისურ ჯავშანტრანსპორტიორს 2,5-ჯერ მეტი მედესანტე გადაჰყავდა





„ობიექტი 1040“-ი საველე გამოცდისას

**ობიექტი 1040-ი ობიექტი 1015-ის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა და მასზე მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის დამონტაჟება იგეგმებოდა. ამისათვის მის კორპუსზე 2 ოთხკუთხედი ფორმის განყოფილება დატოვეს რადიოელექტრონული მოწყობილობისა და რაკეტების გასაშვები დანადგარის დასაყენებლად**



იმ დროს ყოველგვარი სამხედრო ტექნიკის გადაადგილება და მით უმეტეს, უახლესი საგამოცდოსი, გრიფით „სრულიად საიდუმლო“ ხდებოდა. ამიტომაც ახალი ჯავშანტრანსპორტიორი გამოსაცდელად გარეთ ღამით გამოჰყავდათ, — საღამოს 11სთ-ზე ჯერ ქუთაისის ავტოქარხნის ჭიშკარი იღებოდა, შემდეგ საიდუმლო საამქროს ის კარი, საიდანაც დიდი სისწრაფით გამოვარდებოდა ობიექტი-1015 და უკუნ ღამეში გაუჩინარდებოდა. მას, როგორც წესი, არანაკლებ ორი გამცილებელი მანქანა ახლდა თან, რომლებშიც KGB-ს შეიარაღებულ თანამშრომლებთან ერთად კონსტრუქტორებიც ისხდნენ. მათ თან ჰქონდათ არანაკლებ 60 კვმ ფართობის ბრეზენტი, საჭიროების შემთხვევაში ჯავშანტრანსპორტიორის შესანიღბად.

ერთხელაც, 1960 წლის თებერვალში, შუაღამისას ეს „საიდუმლო კოლონა“ მთელი სისწრაფით „შეიჭრა“ ქ. ხონის (მაშინდელი ქ. წულუკიძის) ცენტრში. ამ დროს საცდელი ჯავშანტრანსპორტიორი სრული სვლით — 90კმ/სთ სიჩქარით მიქროდა და თანაც შუქფარები გამორთული ჰქონდა — მძღოლ-მექანიკოსი ღამის ხედვის მოწყობილობით მართავდა 18-ტონიან საბრძოლო მანქანას. ქალაქის ცენტრში, უნივერმაღთან, მკვეთრი მოხვევის დროს ჯავშანტრანსპორტიორს წინა მარჯვენა თვალი მოსძვრა, რომელიც საშინელი სისწრაფით შესკდა ორ ვიტრინას შორის მოქცეულ უნივერმაღის კედელს, იქიდან ასხლტა და უკან მომავალ „კოლხოზნიკს“ გადააფრინდა. არადა, ამ მანქანაში მოსკოვიდან ჩამოსული ოთხი საბჭოთა გენერალი იჯდა, რომლებიც გამოცდას ესწრებოდნენ.

გენერლები კი გადაურჩნენ ჯავშანტრანსპორტიორის 200 კგ-იან თვალს (თუმცა დიდი შიში კი ჭამეს), მაგრამ მან უნივერმაღის ვიტრინაში გამოფენილი სამი უძვირფასესი იაპონური სერვიზი შეიწირა.

ხმაურზე გამოცვივდნენ ძაფსაღები ფაბრიკის ღამის ცვლის მუშები და ქუთაისურ საიდუმლო ჯავშანტრანსპორტიორს „ვინაობის“ გამჟღავნება დაემუქრა. თუმცა „კა-გე-ბე“-შნიკებმა მოასწრეს ბრეზენტით (ხედავთ, რა დროს გამოადგათ?) მისი „შეფუთვა“.

სასაცილო ის არის, რომ შემთხვევის ადგილზე მოსულმა უნივერმაღის დირექტორმა დაზიანების აქტი მხოლოდ 45 მანეთზე შეადგინა, თუმცა ზარალი — სამი იაპონური სერვიზის და სხვა დამსხვრეული ძვირფასეულობისა \ — 4-5 ათას მანეთზე ნაკლები ნამდვილად არ იქნებოდა. თანაც ქუთაისის ქარხანა თანახმა იყო, აენაზღაურებინა ზარალი. როგორც აღმოჩნდა, ზარალის დასადგენად უნივერმაღს აუცილებლად საგანგებო კომისია უნდა სწვეოდა, რაც დირექტორს სულაც არ აძლევდა ხელს — მაშინ საბჭოთა საკუთრების დამტაცებლებს ძალიან მკაცრად სჯიდნენ, ხოლო იმ დირექტორს, ეტყობა, ნაეშმაკარი ჰქონდა.

ქუთაისელების „საიდუმლო პირმშოს“ ნამდვილად არ აკლდა ყურადღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა — მის გადაღებას ცდილობდნენ როგორც უცხოელები, ისე ჩვენებურები.

მდ. ცხენისწყალთან გამოცდისას ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟმა შეამჩნია ახალგაზრდა, რომელიც მანქანას ფოტოებს უღებდა. უცნობს დაედევნენ, მაგრამ მან იმარჯვა და ველოსიპედით ყანებში მიიმალა. КГБ-მ სასწრაფოდ შეყარა მთელი სოფელი და რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ „დამნაშავეც“ იპოვეს — იგი თბილისიდან დასასვენებლად ჩასული ფოტომოყვარული სტუდენტი აღმოჩნდა. „ყურის აწევის“ შემდეგ ჭაბუკს დამალული ფოტოფირი მოატანინეს და გაამჟღავნეს.

ეს თბილისელი სტუდენტი შედარებით ადვილად გადაურჩა КГБ-ს „კლანჭებს“, რასაც ვერ ვიტყვით სხვა „ფოტომოყვარულზე“.

საქარხნო გამოცდების შემდეგ ორივე „ობიექტი 1015“ ეშელონზე დატვირთეს (ხის კონსტრუქციებით გეომეტრიული ფორმები შეუცვალეს და ბრეზენტითაც საგულდაგულოდ შენიღბეს) და ქუთაისიდან მოსკოვის მახლობლად, კუბინკის პოლიგონზე გაგზავნეს. პოლიგონის დატკეპნილ თოვლზე გამოცდისას, როდესაც ჯავშანტრანსპორტიორი წრეს წრეზე ურტყამდა, მისმა ეკიპაჟმა შეამჩნია სამოქალაქო პირი, რომელიც იქვე მდგარ ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლს (ომის დროს სწორედ იმ ადგილებში აწამეს გერმანელებმა კომკავშირელი გოგონა) სურათებს უღებდა. აკრძალულ ზონაში უცხო პირის გამოჩენა საეჭვო იყო, ამიტომაც ჯავშანტრანსპორტიორის რაციით გადაცემულ შეტყობინებას КГБ ელვისებურად გამოეხმაურა და 20 წუთში პოლიგონზე „ძერჟინსკის პირმშოებით“ სავსე შვეულმფრენი დაეშვა. ცოტა ხანში ჩეკისტებმა დააკავეს ის უცნობი „ფოტომოყვარულიც“, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ატაშე აღმოჩნდა. ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლის გარდა მას ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის 14 სურათის გადაღება მოესწრო. ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟს სათანადო სიფხიზლისთვის 30-30 მანეთი დაურიგეს.

იმავე 1960 წელს კუბინკაში უახლესი ჯავშანტექნიკის გამოცდა-გამოფენა მოეწყო. პირველ დღეს ახალ საბრძოლო ტექნიკას გენერლები ეცნობოდნენ, მეორე დღეს — მარშლები, ხოლო მესამე დღეს უნდა მობრძანებულიყო ნიკიტა ხრუშჩოვი ამალითურთ.

საპოლიგონო გამოცდის პირველმა დღემ უჩვენა, რომ ორი ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორი „ობიექტი-1015“, ბევრად სჯობდა თავის მთავარ კონკურენტს — გორკის ავტოქარხნის БТР-60П-ს როგორც ხმელეთზე, ისე წყლის ზედაპირზე მანევრირებითა და გამავლობით.

თუმცა, უპირატესობა მაინც გორკელებს მიენიჭათ. ეს, მრავალი პოლიტიკური მიზეზის გარდა, წმინდა საბჭოთა მენტალიტეტის საქმეც იყო. ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორში ახალი დეტალების რაოდენობა 70-80%-ს აღწევდა (მათ შორის იყო საბორტე რედუქტორები და თვლების ჰიდროპნევმატიკური საკიდრები, რომელიც, სხვათა შორის, საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ ფრანგულ „სიტროენს“ მოპარა და ქუთაისელებს გადასცა), ხოლო გორკის БТР-60П ძირითადად, სერიული სატვირთო ავტომობილის ГАЗ-53-ის დეტალებისგან შედგებოდა. ამიტომაც საბჭოთა გენერლებმა ქუთაისელების იმ დროისთვის თანამედროვე საბრძოლო მანქანის შეიარაღებაში მიღებას ამჯობინეს ნაცადი დეტალებით აწყობილი, მაგრამ უარესი ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლების მქონე გორკის ჯავშანტრანსპორტიორი.

თუმცა, ამით ქუთაისელი ავტოქარხნელების საქმიანობა საბრძოლო ტექნიკის შექმნისათვის არ შეწყვეტილა. ვიეტნამში ბრძოლების გაჩაღებისთანავე უსტინოვმა მოსკოვში დაიბარა ქუ-



საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მიღებული ОСА-ს ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ბრიანსკის ქარხნის შასიზე აიწყო, თუმცა ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის ნიშნები მაინც შერჩა



ქართული „კრაზანები“ პირველად სახალხოდ 2010 წლის აღლუმზე რუსთაველის პროსპექტზე აჩვენეს

თაისის ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი დიმიტრი ქართველიშვილი და მას ობიექტი-1040-ის დიდი სერიებით გამოშვება უბრძანა.

ობიექტი-1015-ის მოდიფიკაცია ობიექტი-1040 იყო, სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის განკუთვნილი, რისთვისაც ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის სადესანტო ნაწილი გაუქმდა და მასში 5 ტ საერთო წონის რადიოელექტრონული ხელსაწყოები და რადიოლოკატორი განთავსდა. თავად რადიოლოკატორის ანტენების გვერდებში სამ-სამი (სულ ექვსი) საზენიტო რაკეტა დამონტაჟდა.

ეს 1967-68 წლებისთვის საკმაოდ თანამედროვე მობილური საზენიტო დანადგარი იყო. ვიეტნამელებს ამერიკული ავიაციისგან მოსვენება არ ჰქონდათ და ეფექტურ საზენიტო საშუალებებს სთხოვდნენ კრემლს. ამიტომაც უსტინოვმა არჩევანი ისევ ქუთაისელ ავტომშენებლებზე შეაჩერა. მათ ასობით საზენიტო კომპლექსი უნდა დაემზადებინათ. ეს კი ძალზე რთული და შრომატევადი საქმე იყო, ქუთაისელები ნამდვილად ვერ გასწვდებოდნენ.

ქუთაისის ავტოქარხანაში საგანგებოდ ჩავიდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, რომელმაც დაათვალიერა საბრძოლო მანქანების ამწყობი სპეციალური საამქრო და ესაუბრა ქარხნის დირექციას. გადაწყდა, ქუთაისის ქარხანა უარს ამბობდა თვითმავალი საზენიტო დანადგარების სერიულ გამოშვებაზე და საცდელ კომპლექსებს რუსეთის ერთ-ერთ ქარხანას გადასცემდა.

არადა, მაშინდელი საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უხვად იძლეოდა დაფინანსებას სამხედრო პროექტებზე — ოთხ საცდელ თვითმავალ საზენიტო დანადგარში ობიექტი-1040 მოსკოვმა ქუთაისის ქარხანას 28 მილიონი მანეთი გადმოურიცხა. ეს იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა იყო. მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი პერსპექტივისა, ქუთაისელებმა მაინც უარი თქვეს, რაც შეიძლება განპირობებული ყოფილიყო კიდევ ერთი ნიუანსით — სერიული წარმოების ასაწყობად რუსეთიდან ქუთაისში აუცილებლად უნდა ჩამოეყვანათ არანაკლებ 600 სპეციალისტი ოჯახებით, რაც 2000-მდე უცხო ტომის წარმომადგენლის დასახლებას ნიშნავდა. ეს რომ მომხდარიყო, ალბათ, დღეს, 40 წლის შემდეგ, ნახევარი ქალაქი რუსულად ილაპარაკებდა.

თუმცა დღეს უკვე ძნელია თქმა, ზემოხსენებული არგუმენტის გამო განაცხადა უარი საქართველოს მაშინდელმა პირველმა პირმა — მჟავანაძემ თუ უბრალოდ სამხედრო გეგმის ჩავარდნისა შეეშინდა.

რუსეთში გაგზავნილმა ქუთაისურმა ობიექტი-1040-მა მალე სახე იცვალა — მას ერთი ღერძი მოაკლეს, შეალამაზეს და მალე დღის სინათლე იხილა სახმელეთო ჯარების ПВО-ს ერთ-ერთმა მთავარმა კომპონენტმა — მობილურმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა ОСА-მ, რისთვისაც სახელმწიფო პრემიები და ჯილდოები ქართველი კონსტრუქტორების მაგივრად სხვებს ხვდათ წილად. 20 წლის შემდეგ კი ОСА-ს კომპლექსები კვლავ გამოჩნდა ქართულ მიწაზე, ოღონდ უკვე მოწინააღმდეგის როლში — კოპიტნარის აეროდრომიდან აფრენილ ქართულ Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებს აფხაზეთის ცაში რუსები ОСА-ებით „უმასპინძლდებოდნენ“.

2008 წლის აგვისტოს ომში კი უკვე ქართულმა საჰაერო თავდაცვამ გამოიყენა უკრაინაში ნაყიდი ОСА-АК-ები საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოჭრილი რუსული საბრძოლო თვითმფრინავების წინააღმდეგ.

**ირაკლი ალადაშვილი**

ნ158/40
ეროვნული ბიბლიოთეკა






ყველა ტყვია აატიელეთ? მაშინ უკანასკნელ შანსად პისტოლეტზე დამაგრებული ხიშტ-დანა გრჩებათ...

# ხიშტ-დანა... პისტოლეტისთვის



გინახავთ პისტოლეტიანი დანა, უფრო სწორად, დანიანი პისტოლეტი? ალბათ, არა, რადგან ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ეს ორი ატრიბუტი თითქოს შეუთავსებელია, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასე არ ფიქრობდნენ ხორვატულ-ამერიკული პისტოლეტის XD-40-ის შემქმნელები.

ტექნიკურად და ტაქტიკურად რამდენად მოსახერხებელი და ეფექტურია პისტოლეტზე დამაგრებული ხიშტ-დანის გამოყენება, ძნელი სათქმელია. შეიძლება იმ მსროლელისთვის, რომელმაც ახლოს, რამდენიმე მეტრში მდგარ მოწინააღმდეგეს ყველა ტყვია ააცილა, ეს ხიშტ-დანა თავდასხმისა თუ თავდაცვისათვის ბოლო არგუმენტი იყოს, მაგრამ, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა უვაზნოდ დარჩენილი პისტოლეტი შენ წინ მდგომს თავში ესროლო (მთლიანად პისტოლეტი), გათავისუფლებულ ხელში კი მარტო დანა მოიმარჯვო.

ასეა თუ ისე, თავისი ორიგინალური ფორმით — პისტოლეტისა და დანის ნაჯვარ ხორვატულ-ამერიკულ XD-40-ს აშშ-ის სამოქალაქო საიარაღო ბაზარზე ორიგინალური ფორმის გამო მყიდველი აუცილებლად ეყოლება.

ქართველი მკითხველი კი თუ კარგად დააკვირდება ამ პისტოლეტს (და ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს პისტოლეტის ლულის ქვეშ გამოჩრილ დანის ალესილ პირს) აღმოაჩენს, რომ ეს ჰიბრიდი სხვა არაფერია, თუ არა ხორვატული პისტოლეტი HS9, რომელიც საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს შსს-ს შეიარაღებაში ჯერ კიდევ სამი წლის წინ გამოჩნდა.

2009 წლის 20 თებერვალს „არსენალის“ „იარაღის მაღაზიაში“ ჩვენ უკვე ვწერდით ახალი ხორვატული HS9-ის გამოცდის შესახებ, როდესაც „არსენალმა“ თბილისთან ახლოს ერთ-ერთ პოლიგონზე ამ პისტოლეტით 32 ტყვია გაისროლა. გამოცდის შემდეგ „არსენალმა“ აღწერა ხორვატული პისტოლეტის თანამედროვე დიზაინი, მოხერხებულობა და ორი სახის ავტომატური დამცველი. თუმცა იმავე სტატიაში ყურადღებას შემდეგ გარემოებაზეც ვამახვილებდით: HS9-ს დახურული ჩახმახი ჰქონდა და პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მანამდე მხოლოდ ღიაჩახმახიანი „მაკაროვები“ თუ უსვრიათ, შეიძლება პრობლემები შეჰქმნოდათ, კერძოდ, სავაზნეში ვაზნის გაგზავნის (როგორც მარტივად ამბობენ, „იარაღის ლულის პირში ტყვიის მიცემის“) შემდეგ და იარაღის ასე ტარების დროს შეიძლება შემთხვევითი გასროლა მომხდარიყო, თუკი დახურულჩახმახიან პისტოლეტს მიუჩვეველი მისი მფლობელი სასხლეტს შემთხვევით ან თამაშის გამო გამოჰკრავდა. შსს-მ სპეციალური ბროშურაც კი გამოსცა, რომელიც თანამშრომლებს უკრძალავდა სავაზნეში გაგზავნილი ვაზნით პისტოლეტის ტარებას (არადა, ოპერატიულ თანამშრომლებს სწორედ ასეთ მდგომარეობაში უნდა ჰქონდეთ პისტოლეტი, დრო რომ აღარ დაკარგონ მისი გადატენისთვის). მიუხედავად გაფრთხილებისა, როგორც „არსენალისთვის“ გახდა ცნობილი, განვლილ სამ წელიწადში (მას შემდეგ, რაც ხორვატული HS9 შსს-მ შეიარაღებაში მიიღო) რამდენიმე პოლიციელი სწორედ ამ მიზეზით დაიჭრა.

ქართული პოლიციისთვის შესყიდული HS9, ფაქტობრივად, ხორვატიის არმიისთვის შექმნილი HS2000-ის საექსპორტო ვარიანტი იყო, რომლის სერიული წარმოება 1999 წელს დაიწყო.

2001 წელს აშშ-ის სამოქალაქო იარაღის ბაზარზე გამოჩნდა ექსკლუზიური იმპორტიორი ფირმა Springfield Armory-ი, რომელიც მყიდველის ხორვატული HS2000-ის ახალ საექსპორტო ვარიანტ X-treme Duty pistol-ს, იმავე Springfield XD-ს სთავაზობდა.

ამერიკის კომერციულ ბაზარზე ხორვატულ-ამერიკული XD-ს სხვადასხვა ვარიანტია. ისინი ერთმანეთისგან, ძირითადად, ლულის სიგრძითა და კალიბრით განსხვავდებიან. ლულის სიგრძე 76 მმ-დან (დამოკლებული ვარიანტი) 127 მმ-მდე („ტაქტიკური“ ვარიანტი) ვარირებს, ხოლო პისტოლეტი შეიძლება იყოს:

.40SW (10X22 მმ)-ზე და აშშ-ში ძალზე პოპულარული .45GAP და .45ACP (11,43X25 მმ) კალიბრის ვაზნებზე.

სხვადასხვა კალიბრის პისტოლეტების მჭიდის ტევადობაც სხვადასხვაა. თუკი ერთი მოდიფიკაციის მჭიდში 9 მმ-იანი „პარაბელუმის“ 16 ვაზნა ჩადის, კალიბრის მომატებისას მის მჭიდში .45ACP-ს მხოლოდ 13 ვაზნა ჩაეტევა.




**ჩვენი დოსიე: Springfield XD-40-ი ვაზნების გარეშე 650 გ-ს იწონის. მის მჭიდში .40SW (10X22 მმ) კალიბრის 12 ვაზნა ჩადის. პისტოლეტის სიგრძე 180 მმ-ია (ლულის სიგრძე 102 მმ), სიმაღლე 144 მმ, ხოლო სიგანე კი 28,5 მმ.**

ხორვატული HS2000 და მისი საექსპორტო ვარიანტები (საქართველოში გამოჩენილი HS9 და ამერიკაში გასაყიდი XD-ები) უკვე ლეგენდად ქცეული ავსტრიული GLOCK-17-ის „შვილობილები“ არიან, თუმცა იარაღის მსოფლიო ბაზარზე „გლოკზე“ არანაკლები პოპულარობით სარგებლობენ.

***ირაკლი ალადაშვილი***



არსენალი




# XD-45ACP

ISSN 1987 - 5061